ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის დეპარტამენტი

ნატალია რობიტაშვილი

# მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში

(წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

(სპეციალობა: ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასოც. პროფესორ ბ. გაბიძაშვილი

ბათუმი 2012

# შ ი ნ ა ა რ ს ი


შესავალი 4

თავი I

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის თეორიული საფუძვლები და კრიტერიუმები

1.1 მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკის თეორიული საფუძვლები და კრიტერიუმები 13

1.2 მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლები 21

1.3 სტატისტიკური დაკვირვება, როგორც მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ინფორმაციული წყარო 52

თავი II

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის თავისებურებანი და ტენდენციები

2.1 მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და პირობების სტატისტიკა 70

2.2. ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი 97

2.3 საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის თავისებურებანი 107

თავი III

საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ანალიზი და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი

3.1 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და მისი პროგნოზირება 124

3.2 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა სტატისტიკა 148

3.3 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების

ხელშემწყობ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების აქტუალური საკითხები 168

**დასკვნები და წინადადებები** **182**

**გამოყენებული ლიტერატურა** **191**

**საილუსტრაციო მასალა** **200**

# შესავალი

**საკვლევი თემის აქტუალობა.** მოსახლეობის ცხოვრების დონის ტრანსფორმაციული პროცესების გამოკვლევა თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის ცხოვრების დონის მეცნიერული კვლევა, ანალიზი და სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. მოსახლეობის ცხოვრების დონეს არსებული სოციალური გარემო განაპირობებს. სოციალური გარემო დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე, რომელშიც იმყოფება მოცემული საზოგადოება თავისი განვითარების მოცემულ ეტაპზე. შესაბამისად, საჭიროა გარკვეულ ეტაპზე გამოვავლინოთ და გადავჭრათ არსებული სოციალური პრობლემები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და შესაბამისად მის დიფერენციაციაზე. გარდამავალი პერიოდი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარებას მოითხოვს. საქართველოში მიმდინარე რეფორმები მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ცხოვრების დონის შემცირების ხარჯზე წარიმართა, რომლის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ ფაქტორს შრომისუნარიანი მოსახლეობის უმუშევრად დარჩენა წარმოადგენს. ამიტომ, მოსახლეობის ცხოვრების დონის ტრანსფორმაციული პროცესების სამართავად, სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მძლავრი დიფერენციაციის შესამცირებლად საჭიროა თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მეცნიერული გააზრება სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების საშუალებით.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გავლენას ახდენს სტატისტიკის მრავალ თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტაზე, მოითხოვს მათ ახლებურ დაყენებასა და შეცვლას. სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში აუცილებელია ახალი ხერხებისა და მეთოდების შემუშავება და დანერგვა სტატისტიკურ მონაცემთა ობიექტურობისა და შედეგების ანალიზის სრულყოფის მიზნით.

რადგანაც, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ძირითადი დებულებიდან გამომდინარე, ადამიანის სიცოცხლე მიჩნეულია საზოგადოების უმაღლეს

ფასეულობად, ამიტომ, ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეები ეკონომიკური და სოციალური გაჭირვებისაგან, შეიმუშავოს ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის დაძლევის რეალური, ეფექტური გეგმები და პროგრამები. აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივად შესწავლაა აუცილებელი. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის სტატისტიკური ანალიზი და მათი დიფერენციაციის რეალური სურათის დახასიათება, სახელმწიფოს მმართველობით ორგანოებს დაეხმარება ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შესწავლა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალურია. აქტუალურობა და ინტერესი აღნიშნული საკითხის გარშემო განპირობებულია იმით, რომ ყველა ადამიანს არსებობისა და ცხოვრებისათვის ესაჭიროება კვება, ჩაცმა-დახურვა და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რა სახის საქმიანობასაც არ უნდა ვეწეოდეთ საზოგადოებაში, ჩვენი მიზანი ყოველთვის მიმართული იქნება საკუთარი ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შეფასების მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობა, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის არსისა და მიმართულების განსაზღვრა. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ძირითადი ნიშნები კი სოციალური მდგრადობა და მოქალაქეების კეთილდღეობის სტაბილური ზრდაა. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომელიც თავისთავად არასტაბილურია, იზრდება სოციალური არამდგრადობის ხარისხი.

საქართველოში, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, წარმოჩინდა მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა განსხვავებული ფორმით, შინაარსითა და მასშტაბით. ქვეყანას მოუწია ურთულესი გზის გამოვლა. საქართველოში სტიქიურად მიმდინარე ეკონომიკის ტრანსფორმაციულ პროცესებს თან დაერთო მისი ნგრევა, რამაც გამოიწვია ხელფასებისა და რეალური შემოსავლების შემცირება, პირადი დანაზოგების გაუფასურება, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება და მისი მკვეთრი დიფერენციაცია.

შემოსავლების დიფერენციაციის შემდეგი მიზეზები გამოიყოფა:

1) ადამიანთა განსხვავებული ნიჭი და უნარი;
2) ცოდნა და განათლება;
3) პროფესიონალური გემოვნებანი და რისკი;
4) საკუთრების ფლობა;
5) ბატონობა ბაზარზე ( მონოპოლიზმი );
6) იღბალი, კავშირები, უბედური შემთხვევები და დისკრიმინაცია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ასევე მოქმედებს უთანაბრობის გაღრმავების სპეციფიური ფაქტორები, როგორიცაა საბაზრო რეფორმების საწყის ეტაპზე შრომის დაბალი ღირებულება და ჩრდილოვანი შემოსავლების მისაკუთრება.

მოსახლეობის შემოსავლების ცვალებადობასა და საზოგადოების ფენებად დაყოფას ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ. წარმოიშობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა ფენა, რაც განვითარებული საზოგადოებისათვისყოვლად მიუღებელია. საზოგადოება იყოფა მდიდრებად და ღარიბებად, თავს იჩენს რეგიონთშორისი და ნაციათშორისი უთანხმოება, რაც ქვეყნის ერთობის დამანგრეველია, ხდება კვალიფიციურ მუშაკთა გადინება საზღვარგარეთ ისეთ სფეროებში დასაქმების მიზნით, სადაც არ მოითხოვება შესაბამისი ცოდნა. შედეგად, უარესდება საზოგადოების საგანმანათლებლო და პროფესიონალური პოტენციალი, სამეცნიერო დარგები კი დეგრადაციას განიცდიან, ცხოვრების დაბალი დონის გამო ეცემა მოსახლეობის შრომითი აქტივობა, უარესდება ჯანმრთელობა, მცირდება შობადობა, რასაც მივყავართ დემოგრაფიულ კრიზისამდე.

ჩვენი ქვეყნისათვის უმთავრესი ამოცანაა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ქვეყანაში ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ გვქონდეს სრული ინფორმაცია. ამ მიზანს ემსახურება მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების საშუალებით დადგენილ იქნეს პრობლემის განვითარების თავისებურებანი, ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები.

ყოველგვარი კვლევა - ესაა პასუხები დასმულ კითხვებზე. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის კვლევის მიზნისა და ამოცანის

ფორმულირება დაფუძნებულია სოციოლოგიურ თეორიაზე და წარსულში გაწეული კვლევის შედეგებზე. ისინი საშუალებას გვაძლევენ ჩამოვაყალიბოთ სამუშაო ჰიპოთეზა, რომელსაც ჩავდებთ ემპირიული კვლევის პროექტში.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის ამოცანას წარმოადგენს:

– მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;

– მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალური სურათის დახასიათება;

– მოსახლეობის ცხოვრების დონის სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;

– მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და პირობების დახასიათება;

– მოსახლეობის პოტენციალური განვითარების ინდექსის გაანგარიშება;

– სიღარიბის სტატისტიკურ მაჩვენებელთა ანალიზი;

– მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის განსაზღვრა;

– ქვეყანაში მოქმედი სოციალური პროგრამების სტატისტიკური ანალიზი.

**თემის შესწავლის მდგომარეობა.** მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებს მრავალი მეცნიერება შეისწავლის, როგორიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, სტატისტიკა და სხვა საზოგადოების განვითარების შემსწავლელი მეცნიერებები. მეცნიერთა შორის, რომლებიც მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელ მაჩვენებლებს შეისწავლიდნენ, აღსანიშნავია, ჯერ კიდევ, ძველ რომსა და საბერძნეთში დიდი მოაზროვნეები – არისტოტელე, პლატონი და სხვები. ცხოვრების დონის ეკონონომიკურ ასპექტებს ფილოსოფიის, ისტორიის, სოციოლოგიის და სხვა მეცნიერებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იკვლევდნენ ფრანსუა კენე, მალთუსი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლები ა. სმითი, დ. რიკარდო, ცნობილი მოაზროვნეები კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ.ლენინი და სხვები. ქართველ მეცნიერთა შორის, რომლებიც შეისწავლიან მოსახლეობის ცხოვრების დონესთან დაკავშირებულ თეორიულ ეკონომიკურ, საფინანსო-საბანკო და სოციალურ საკითხებს, აღსანიშნავია პ. გუგუშვილი, პ. ლემონჯავა, ა. სილაგაძე, ე.

მექვაბიშვილი, გ. გამსახურდია, ე. კოდუა, ლ. ჩიქავა, ვ. პაპავა, რ. გოგოხია, ი. მესხია, გ. ხელაია, რ. კაკულია, რ. ასათიანი, ა. ჯიბუტი და სხვა.

მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონის სტატისტიკა სოციალური სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია. ამ დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსმა მეცნიერმა დ. პ. ჟურავსკიმ (1810-1856წ). იგი ცდილობდა რაც შეიძლება ზუსტად გამოევლინა მოსახლეობის დიფერენციაცია ცხოვრების პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია უ. ე. იანსონის (1835-1893წ) მოსახლეობის სოციალური კვლევები; ფ. ა. შერბინის (1849-1936წ), ა. ვ. ჩაიანოვისა (1888-1937წ) და ე. ნ. ანუჩინის (1831-1905წ) საოჯახო მეურნეობების სტატისტიკური კვლევები. სანიტარული სტატისტიკის ფუძემდებლებმა ფ. ფ. ერისმანმა (1842-1915წ) და პ. ი. კურკინმა (1858-1934წ) დაადგინეს მოსახლეობის ცხოვრების დონის გავლენა, მათ ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობაზე. ცხოვრების დონეზე, კერძოდ საარსებო მინიმუმსა და მუშების ხელფასზე 1918წ. წერდა თავის ნაშრომში ცნობილი რუსი ეკონომისტი და სტატისტიკოსი ს. გ. სტრიუმილინი. საინტერესოა მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევები ცნობილი ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების შრომებში. მათ შორისაა რუსი სტატისტიკოსები – ე. კაპუსტინი, ა. კრილოვი, ვ. მონანოვი, ჩეხი სტატისტიკოსები – ო. ტურეკი, კ. ლაური, ი. ვალტერი, გერმანელები – ი. კუჩინგი, ა. დონდა და სხვები.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შესწავლა ბევრი ქართველი სტატისტიკოსის ინტერესის საგანს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს. მათ შორის გამოირჩევა ბ. გაბიძაშვილის, გ. გამყრელიძის, შ. ბერაძის, ვ. ომიაძის, ქ. მარშავას, ზ. კირვალიძის, მ. ხმალაძის, მ. ტურავას და სხვათა შრომები. მათ შრომებში შესწავლილია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნება, შემოსავლები, დანახარჯები, ცხოვრების დონის დიფერენციაცია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის კვლევის ობიექტი საქართველოს მოსახლეობაა (შინამეურნეობები), ხოლო კვლევის საგანი მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის რაოდენობრივი მხარის შესწავლა თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, მათი განვითარების კანონზომიერებანი დროისა და სივრცის მიხედვით.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის თეორიულ საფუძველს ეკონომიკური თეორია წარმოადგენს. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები განსაზღვრავენ მოვლენებისა და პროცესების არსს, რაობასა და თვისებრიობას. ამ კანონებზე დაყრდნობით, სტატისტიკას შეუძლია შესასწავლ მოვლენებსა და პროცესებს მისცეს სწორი ციფრობრივი დახასიათება. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი მატერიალისტური დიალექტიკაა. იგი მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში, ასევე, სხვა მოვლენებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შესწავლა წარმოებს ისეთი სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით, როგორიცაა მასობრივი დაკვირვების, დაჯგუფების, საშუალო სიდიდეების, ვარიაციის მაჩვენებლების, ფარდობითი სიდიდეების, დინამიკურ მწკრივთა, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისა და სხვა სტატისტიკური მეთოდები.

**მეცნიერული სიახლე.** კვლევის შედეგად მიღებული სიახლეები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სტატისტიკურ აღრიცხვასა და შესწავლაში ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი სრულყოფის რეკომენდაციები, რადგან პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობასა და სიზუსტეზეა დამოკიდებული მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის კვლევის შედეგების სისწორე. რეალურად, საქართველოში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის უფრო მძლავრი დიფერენციაციაა, ვიდრე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ მონაცემებშია ასახული.
2. განხილულია მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის სტატისტიკის თეორიული საფუძვლები, კრიტერიუმები, ძირითადი მაჩვენებლები; დახასიათებულია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე ცალკეული მაჩვენებლის მიხედვით.
3. შესწავლილია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და პირობები, რაც სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული ინდიკატორები მოსახლეობის ცხოვრების დონის მრავალ ასპექტს აერთიანებს და საშუალებას იძლევა უფრო

სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ მოსახლეობის შემოსავლებზე, გაწეულ ხარჯებზე, სოციალურ უსაფრთხოებაზე, ჯანდაცვაზე, გარემო პირობებზე, განათლების დონეზე, დემოგრაფიულ ტენდენციებზე, დასაქმებაზე და სხვა, მთლიანობაში ქვეყანის სოციალურ მდგომარეობაზე.

4. საქართველოს მაგალითზე გაანგარიშებულია გაეროს ექსპერტების მიერ რეკომენდირებული ცხოვრების დონის ინდიკატორი – ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენადაა ადამიანი მოცემულ ქვეყანაში სულიერად ამაღლებული და მაღალზნეობრივი. ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი სიახლეს წარმოადგენს სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში.
5. გაანგარიშებულია საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის ხარისხი სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების მეშვეობით. გამოვლენილია მოსახლეობის მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან ფენების შემოსავალებს შორის სხვაობა, რაც საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრ დიფერენციაციაზე მიუთითებს. სადისერტაციო ნაშრომში მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის განმსაზღვრელი მაჩვენებლები გაანგარიშებულია უახლესი სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების მეშვეობით. ცხოვრების დონის კონკრეტული მაჩვენებლების მიხედვით დადგენილია, თუ რა კუთხით მივმართოთ მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციის შემცირების ღონისძიებანი.
6. სადისერტაციო ნაშრომში განსაზღვრულია სიღარიბის დონე და მასშტაბები, მისი გამომწვევი ფაქტორები, სიღარიბის დაძლევის გზები და სოციალური უსაფრთხოების საკითხები. სიღარიბის მაჩვენებლების საშუალებით გამოვლენილია ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონე და მთლიანი მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის რეალური სურათი. სიღარიბის დონისა და მასშტაბების განსაზღვრა აუცილებელია მისი დაძლევის ღონისძიებათა სწორად წარმართვის მიზნით.
7. ექსტრაპოლაციის მეთოდის მეშვეობით განსაზღვრულია მოსახლეობის შემოსავლების შესაძლო დონეები უახლესი და შორეული მომავლისათვის, გაკეთებულია მასზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი. მოვლენის განვითარებაზე ყოველთვის გავლენას ახდენენ გარკვეული ფაქტორები, რომლებიც იწვევენ შესასწავლი მოვლენის ნიშნის სიდიდის

ცვალებადობას დროსა და სივრცეში. პროგნოზირება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ შესასწავლი მოვლენის განვითარების შესაძლო დონეები, რადგან მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის სტატისტიკური შესწავლისას ყოველთვის ჩანს წარსულის ნაშთი, აწმყოს სურათი და მომავლის ჩანასახები.

8. სადისერტაციო ნაშრომში ცხოვრების დონის ამაღლებისა და დიფერენციაციის შემცირების კონკრეტული წინადადებებია მოცემული.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** ჩატარებული კვლევების საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია:

- ჩატარებული კვლევის შედეგები საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში;
- სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებული განმარტებები, კატეგორიები, მაჩვენებელთა სისტემები, მეთოდები, გაანგარიშებები გამოყენებადია სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკაში; ასევე მათი გამოყენება შესაძლებელია სტატისტიკის ეროვნილი სამსახურის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებლებში როგორც სალექციო კურსების, ასევე პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად;
- სადისერტაციო ნაშრომი გამოყენებადი და საინტერესო იქნება სამეცნიერო დაწესებულებებისათვის და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

**ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა შედგა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის „ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის" დეპარტამენტის გაფართოებული სხდომაზე (ოქმი N 3, 28 სექტემბერი 2011 წელი), სადაც იგი მოწონებული და რეკომენდირებული იქნა დაცვისათვის.

კვლევის შედეგები აპრობირებულია მოხსენებებში და გამოსვლებში მეთოდოლოგიურ სემინარებსა და კონფერენციებზე შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებზე „გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია" და „ინოვაციები ბიზნესში"; აგრეთვე, სამეცნიერო ნაშრომებში საქართველოს რეცენზირებად საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჟურნალებში. მათგან, უახლესი ნაშრომები, რომლებშიც გადმოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული და პრაქტიკული სიახლეებია წარმოდგენილი, შემდეგია:

1. „მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის გაანგარიშების სტატისტიკური მეთოდის შესახებ", ჟურნალი „ეკონომიკა" №5-6 (**ISSN 0206-2828)**, თბილისი, 2009წ, გვ 44-48;
2. „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური ანალიზი", საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის „გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია" მასალები, ქუთაისი, 16-17 V 2009 წ, გვ 73-77;
3. ჩაის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში (ჩაის ბაზრის მარკეტინგული კვლევის ანალიზი), ჟურნალი „ეკონომიკა" №8-9 (**ISSN 0206-2828)**, თბილისი, 2009წ, გვ.221-226;
4. „მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში", საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციები ბიზნესში" მასალები, ბათუმი, 2010წ, გვ.141-146;
5. „მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სტატისტიკა", ჟურნალი „ეკონომიკა" №3-6 (**ISSN 0206-2828)**, თბილისი, 2010წ, გვ 45-55;
6. „საქართველოს მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა", ჟურნალი „ეკონომიკა" №7-8 (**ISSN 0206-2828)**, თბილისი, 2011წ, გვ.141-147;
7. „საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის სტატისტიკა", ჟურნალი „ეკონომიკა" №7-8 (**ISSN 0206-2828)**, თბილისი, 2011წ, გვ 67-76.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომის საერთო მოცულობა შეადგენს 210 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნების, წინადადებებისგან და თან ერთვის დისერტაციის დროს გამოყენებული 140 დასახელების ლიტერატურული წყაროს ჩამონათვალი.

# თავი I

## მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის თეორიული საფუძვლები და კრიტერიუმები

### 1.1. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკის თეორიული საფუძვლები და კრიტერიუმები

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შესწავლა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე წარმოადგენდა ისტორიკოსთა, სოციოლოგთა, ეკონომისტთა, სტატისტიკოსთა და სხვა მრავალი სფეროს მეცნიერთა კვლევის საგანს. თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ტრანსფორმაციული პროცესების მეცნიერული გამოკვლევა და ამ მიმართულებით გამოყენებითი ხასიათის რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმები არასწორად გატარდა. იგი სწორედ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეეხო სამუშაო ადგილების დაკარგვით, შემოსავლების შემცირებით, ცხოვრების დონის დაცემით... ამასთან, მოხდა მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მკვეთრი დიფერენციაცია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, პირველ ეტაპზე, მოითხოვს მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების მეცნიერულ გააზრებასა და განზოგადებას, რაც საფუძველს მოგვცემს მისი ტრანსფორმაციული პროცესების უკეთ შესწავლისა და ანალიზისათვის.

მოსახლეობის ცხოვრების დონე არაა მუდმივი სიდიდე. იგი ცვალებადი და დინამიურია. მოსახლეობის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნილებების განვითარების დონეზე, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ პარამეტრებზე.

შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვალებადობაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მოთხოვნილება, მისი დინამიკა და სტრუქტურა.

„ცხოვრების დონის კატეგორიის შესწავლისას ძირითადი როლი სოციალურ მოთხოვნილებას განეკუთვნება. ერთის მხრივ, იგი ადამიანთა ბიოლოგიურ მოთხოვნილებების ერთიანობას წარმოადგენს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია ადამიანის ფიზიკური და სულიერი არსებობისათვის ანუ მისი სასიცოცხლო პროცესის კვლავწარმოებისა და განვითარებისათვის. მეორეს მხრივ, ადამიანი წარმოადენს სოციალურ-საზოგადოებრივ ელემენტს, რაც თავისთავად წარმოშობს მის საზოგადოებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს." (მესხია 2004:15)

მოთხოვნილებებში უნდა გაერთიანდეს როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადი მოთხოვნილება. საზოგადოებრივი მოთხოვნილება განისაზღვრება მისი ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფის პირობებით. მათ ძირითადად განეკუთვნებიან მოთხოვნილებები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო მმართველობისა და საზოგადოების კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფასთან, გარემო პირობების დაცვასთან, ქვეყნის თავდაცვასთან და ა.შ. პირადი მოთხოვნილება კი წარმოიშობა ადამიანის ცხოვრების პროცესში და დროთა განმავლობაში ვითარდება. ესაა ადამიანის სწრაფვა არ ჩამორჩეს ცხოვრების ტემპს, მიაღწიოს ცხოვრების ისეთ პირობებს, რომ უზრუნველყოს თავისი სრული კეთილდღეობა და ყოველმხრივ განვითარება. პირადი მოთხოვნილების სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად განვიხილოთ: პირველი რიგის მოთხოვნილება – ესაა კვებაზე, ჩაცმა-დახურვაზე, საცხოვრებელზე, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლისათვის, ხოლო დანარჩენი მოთხოვნილებანი ყალიბდება პირველის დაკმაყოფილების შემდგომ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ნორმატიულ და რეალურ მოთხოვნილებებს. ნორმატიული მოთხოვნილება მოხმარების ნორმებითაა დადგენილი. რეალური ისეთი მოთხოვნილებაა, რომელსაც ადამიანები ფაქტობრივად იღებენ მატერიალური და სულიერი სიკეთისა და მომსახურების სახით.

ცხოვრების დონის კატეგორია სოციალური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია თავისი შინაარსით, არსითა და მაჩვენებელთა სისტემით. ეკონომიკური საქმიანობის შედეგები უმეტესწილად საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას უკავშირდება და შესაბამისად სოციალური მდგომარეობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენაა მიმართული. „სოციალური ეკონომიკის საგანი – საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის ფორმირების პროცესია, რომელიც

გულისხმობს ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას, ერთის მხრივ, მოგების მიღებისადმი სწრაფვის, და მეორე მხრივ, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შეხამების ოპტიმალური გარემოს შექმნის გზით. თანამედროვე პირობებში მიჩნეულია, რომ სოციალური ეკონომიკა კვლევის ამოცანებით, თეორიული საფუძვლებით, მეთოდოლოგიით, ფაქტობრივად წარმოადგენს მსოფლიო გლობალური პრობლემის – სიღარიბის გამოწვევას". (ჭითანავა 2008:24) სოციალური ეკონომიკა დაკავშირებულია ადამიანების მოთხოვნილებებთან, სამომხმარებლო მოთხოვნასთან, მოხმარების სტრუქტურასთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლებთან, მათ სახეებთან და წყაროებთან, ქონებრივ მდგომარეობასთან, ფულად დანაზოგებთან და სხვა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ეკონომიკა განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს.

ცხოვრების დონის კატეგორიის პარალელურად, თანამედროვე პერიოდში მთლიანი მოსახლეობის და ასევე ცალკეული ადამიანის ცხოვრების სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის დასახასიათებლად გამოიყენება „ცხოვრების ხარისხი". თუ ცხოვრების დონე მიუთითებს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების რაოდენობრივად უზრუნველყოფაზე, ცხოვრების ხარისხი განსაზღვრავს თვისებრივ მხარეს და გულისხმობს მიწოდებული მატერიალური და სულიერი ფასეულობების მაღალ ხარისხს, ანუ, რამდენად უზრუნველყოფილად ცხოვრობენ ადამიანები.

ჩემი აზრით, ცხოვრების დონისა და ხარისხის დახასიათებისათვის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენენ:

- საცხოვებელი პირობები;
- შემოსავლის წყაროები;
- სტატუსი საზოგადოებაში;
- თავისუფალი დროის გამოყენების სპეციფიკა;
- ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას განსხვავებულადაა გაგებული ტერმინი მოსახლეობის ცხოვრების დონე. რადგან იგი საკმაოდ რთული და მრავალმხრივია. ამიტომ, ცხოვრების დონის ცნება მოითხოვს მისი შინაარსის სიღრმისეულ შესწავლას.

მოსახლეობის ცხოვრების დონე არის ადამიანების მფლობელობაში არსებული მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ერთობლიობა. იგი გულისხმობს მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების როგორც მოცულობას, ასევე მათზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს. აქედან გამომდინარეობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ვიწრო და ფართო გაგება. პირველი, გულისხმობს ადამიანთა მხოლოდ პირად მოხმარებას, ხოლო მეორე – ცხოვრების ყველა მხარეს, სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსს, როგორც სოციალურს, ასევე ეკონომიკურ მხარეს. მოსახლეობის ცხოვრების დონე მოიცავს მოსახლეობის შემოსავლებს, დანახარჯებს, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სფეროს, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემას და საპენსიო უზრუნველყოფას, მოსახლეობის საბინაო-კომუნალურ პირობებს, ჯანდაცვის, დასვენებისა და ტურიზმის, განათლებისა და კულტურის, აგრეთვე სამართლებრივ, საბაჟო, საშინაო და საგარეო სავაჭრო სისტემებს და სხვა. აქედან, ცხადია, რომ იგი მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ სფეროს და განისაზღვრება მთელი რიგი კომპლექსური, სინთეზური სტატისტიკური მაჩვენებლებით. მხოლოდ ერთი, რომელიმე მათგანის გამოკვლევით არ შეიძლება დავახასიათოთ მთლიანობაში მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის რაოდენობრივი ინდიკატორებით კვლევა, ანუ სტატისტიკური შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

„სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს, შემდეგნაირად გამოიყურება:

1) განზოგადებული მაჩვენებლები[1]:

- მთლიანი შიდა პროდუქტი;
- მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ინდექსის და სამომხმარებლო ფასების ინდექსის თანაფარდობა;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
- ფულადი შემოსავლების ინდექსის და სამომხმარებლო ფასების ინდექსის შეფარდება;

- სიღარიბის დონე – მოსახლეობის რიცხოვნობაში იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთაც აქვთ საცხოვრებელ მინიმუმის სიდიდეზე დაბალი შემოსავალი;
- უმუშევრობის დონე;
- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;
- ბავშვთა სიკვდილიანობა;
- განათლების დონე.

2) მოსახლეობის შემოსავალი:

- მოსახლეობის შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი;
- მოსალოდნელი რეალური ფულადი შემოსავლები;
- შრომის ანაზღაურება;
- პენსიები;
- სტიპენდიები, სხვადასხვა დახმარებები;
- ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების მსყიდველობითი უნარი.

3) ხარჯები და მოხმარება:

- მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების საერთო მოცულობა;
- ფულადი ხარჯები;
- სამომხმარებლო ხარჯები;
- მოხმარება კვების პროდუქტების, არასასურსართო საქონლის, მომსახურების (მატერიალური ქონების სხვადასხვა დონის მქონე მოსახლეობის ჯგუფები) მიხედვით;
- კვების რაციონის ქიმიური შემადგენლობა და კალორიულობა;
- გადასახადები;
- დანაზოგები (შემნახველი ბანკები, კომერციული ბანკები, ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები).

4) ქონება და საცხოვრებელი:

- დაგროვილი ქონება ღირებულებით და ნატურალურ გამოსახულებაში;
- საცხოვრებელი პირობები;

- საცხოვრის კეთილმოწყობა.

5) საზოგადოების ფენებად დაყოფა:

- მოსახლეობის განაწილება საშუალო სულადობრივი შემოსავლების მიხედვით;
- მოსახლეობის შემოსავლების კონცენტრაციის კოეფიციენტი (ჯინის ინდექსი);
- ფულადი შემოსავლების მოცულობის განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით;
- საცხოვრებელი მინიმუმი;
- მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი;
- რაციონალური სამომხმარებლო ბიუჯეტი;
- მოსახლეობის იმ ნაწილის რიცხოვნება და წილი, რომელთაც აქვთ მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე (მინიმუმზე) დაბალი საშუალო სულადობრივი შემოსავლები;
- ხელფასის მინიმალური ზომა;
- პენსიის მინიმალური ზომა;
- სიღარიბის პროფილე (მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებსაც აქვთ სასიცოცხლო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი);
- სიღარიბის დონის (სიღრმის) ინდექსი;
- სიღარიბის სიმწვავის ინდექსი.

6) მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის პირობები:

- მოსახლეობის უზრუნველყოფა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებით (სკოლებით, სამედიცინო და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებით, თეატრებით, ბიბლიოთეკებით, ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებით);
- ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები;
- დროის ბიუჯეტი;
- მოსახლეობის დაავადებულობა;
- გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა;
- რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი”. (დიმიტრიევი 1995:36)

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სტატისტიკის კომიტეტის მიერ შემუშავებულია ცხოვრების დონის შეფასების ინდიკატორების სისტემა, რომელიც მოიცავს 5 ძირითად ბლოკს. მასში გაერთიანებულია როგორც მაკროეკონომიკური, ასევე მიკროეკონომიკური სინთეზური და სტრუქტურული პარამეტრები. პირველ ბლოკში – ცხოვრების დონის ინტეგრალურ მაჩვენებლებში გაერთიანებულია მაკროეკონომიკური, დემოგრაფიული, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობისა და საპენსიო უზრუნველყოფის მაჩვენებლები. მეორე ბლოკში – მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლებში გაერთიანებულია მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს საოჯახო მეურნეობის შემოსავლებს, მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გადანაწილებას და უთანაბრობას, მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლებს. მესამე, მეოთხე და მეხუთე ბლოკში შესაბამისად გაერთიანებულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ პირად მოხმარებას, მოსახლეობის საბინაო პირობებს და სოციალურ დაძაბულობას". (ივანოვი 2003:93)

ცხოვრების დონის დასახელებულ მაჩვენებელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემოსავლები და გასავლები. სწორედ მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური შესწავლა შინამეურნეობათა კვლევის საფუძველზე საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე, ცხოვრების პირობები და ხარისხი.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შესწავლისას სტატისტიკის წინაშე შემდეგი ამოცანები დგას:

- მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შესახებ სწორი, უტყუარი ინფორმაციის მოპოვება;
- ცხოვრების დონის არსებული სურათის დახასიათება;
- მონაცემთა საფუძველზე მოსახლეობის ცხოვრების პირობები და ცხოვრების ხარისხი განსაზღვრა;
- დიფერენციაციის დონის გაანგარიშება მოსახლეობის სხვადასხა სოციალურ ფენებს შორის;

- მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის დადგენა და სავარაუდო პროგნოზები;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის შემცირების გზების დასახვა.

## 1.2. მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემოსავლების, ხარჯების, ცხოვრების პირობების, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის, სიღარიბის დონის, სოციალურ ფენებისა და სოციალური პროგრამების მოცულობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის არსებობა.

მოსახლეობის შემოსავლების ფორმირების და მათი გამოყენების პროცესები წარმოადგენს მათ განკარგულებაში არსებულ ფულად და ნატურალურ ფორმაში არსებულ რესურსებს, რომელსაც მოსახლეობა ღებულობს ტრანსფერტის სახით საკუთარი ქონების გამოყენებისა და შრომითი აქტიურობის სამაგიეროდ და მიმართულია როგორც პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასევე წარმოებისა და დაგროვების მიზნით.

ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მოსახლეობის შემოსავლები. აღნიშნული მაჩვენებლები ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არიან. ცხოვრების დონეზე მეტყველებს საშუალო შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლების თანაფარდობით მოსახლეობის რიცხოვნებასთან.

მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებისა და გამოყენების პროცესების, ღარიბთა, საშუალო და მდიდართა ფენების სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის რაოდენობრივი შეფასება. ასევე, მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკის ამოცანაა შემოსავალთა მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის გაანგარიშება და ანალიზი, შემოსავალთა წყაროებისა და მათი გამოყენების, მსყიდველობითუნარიანობის, საზოგადოებაში შემოსავლების არათანაბრად გადანაწილების შესწავლა, მაკროეკონომიკური მაჩვენებლებზე მოსახლეობის შემოსავლების დამოკიდებულების სტატისტიკური ანალიზის მეთოდების შემუშავება და შეფასება.

მოსახლეობის შემოსავლები დამოკიდებულია არა მხოლოდ შინაგან ფაქტორებზე, როგორიცაა შემოსავლები დაქირავებული შრომიდან,

თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან და სხვა, არამედ შემთხვევით ფაქტორებზეც, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა. მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური ანალიზისათვის საჭიროა მოსახლეობის წლიური დინამიკის გაანგარიშება ისეთი შემოსავლის წყაროებიდან, როგორიცაა ხელფასი, პენსია, სტიპენდია, დახმარება და ა.შ. ეს გაანგარიშებები მნიშვნელოვანია ეკონომიკის ოპერატიული მართვისა და ინფლაციის მაღალი ტემპების შედეგების პროგნოზირებისათვის.

სტატისტიკა შემოსავლებს შეისწავლის მისი შემადგენლობისა და მიღების წყაროების მიხედვით. შემოსავლების უმეტესი ნაწილი ფულად ფორმაშია გამოსახული. სტატისტიკის ამოცანას წარმოადგენს მისი სტრუქტურის შესწავლა. სტატისტიკური მეთოდები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ და შევაფასოთ მოსახლეობის შემოსავლების დონე და დინამიკა როგორც მთლიანობაში, ასევე ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და საოჯახო მეურნეობების მიხედვით, განვსაზღვროთ შემოსავლების დიფერენციაცია ეკონომიკური დარგების, საოჯახო მეურნეობების მიხედვით, გავიანგარიშოთ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების საშუალო დონე და შევაფასოთ მოსახლეობის სიღარიბის დონე.

მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკურ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისათვის. მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური ანალიზი საფუძველია ქვეყნის სოციალური და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისათვის. მოსახლეობის შემოსავლების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია კრებსითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლა. ამასთან, მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკა წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლების მაკროეკონომკურ პროცესებზე გავლენის შესწავლის ინფორმაციის წყაროს. ამიტომ, მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური მონაცემები მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოებისათვის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის.

მოსახლეობის რეალური შემოსავლები ყოველთვის ხასიათდება მოხმარებული საქონლისა და ფასიანი მომსახურების რაოდენობით, რომლებიც შეიძლება შეძენილი იქნას მოსახლეობის საბოლოო შემოსავლებით, საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად და დაგროვების მიზნით. რეალური შემოსავლები დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების

ფასების დინამიკაზე. ისინი შეიძლება გაიზარდოს საბოლოო შემოსავლების ზრდისა და უცვლელი ფასების შემთხვევაში და პირიქით, შემცირდეს უცვლელი შემოსავლებისა და ფასების ზრდის შემთხვევაში. ამიტომ, მოსახლეობის რეალური შემოსავლები განიხილება განსაზღვრულ პერიოდში საბოლოო შემოსავლებისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსთან ურთიერთკავშირში.

სხვადასხვა პერიოდის რეალური შემოსავლების მაჩვენებელთა შესადარებლად გაიანგარიშება მათი ინდექსები და განისაზღვრება შემოსავლების დინამიკა.

შემოსავლების შესწავლისას გამოიყენება როგორც შემოსავლების მაჩვენებლები მთლიანობაში და მოსახლეობის სოციალური ჯგუფების მიხედვით, ასევე საშუალოდ, ერთ სულ მოსახლეზე. ხშირად მაჩვენებლები განისაზღვრება საშუალოდ საოჯახო მეურნეობაზე. ეს მაჩვენებლები გაიანგარიშება შესაბამისი წლიური შემოსავლების გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ რაოდენობასთან. ხოლო საოჯახო მეურნეობების შემთხვევაში კი მათ რაოდენობასთან. განსაზღვრული მაჩვენებლები ახასიათებენ მოსახლეობის შემოსავლების დონეს. ასეთია, საბოლოო და რეალური შემოსავლები მთელი მოსახლეობის, მისი სოციალური ჯგუფების, დასაქმების, პენსიონრებისა და მოსწავლეების მიხედვით საშუალო სულადობრივი მაჩვენებლები.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის შემოსავლების შესასწავლად, უნდა შეესაბამებოდეს ახალ ეკონომიკურ პირობებს და პასუხობდეს საერთაშორისო დონის სტანდარტებს. მოსახლეობის შემოსავლების მონაცემების და სხვა მაკროეკონომიკური მონაცემების ასეთ სტანდარტად გვევლინება ეროვნული ანგარიშის სისტემა (ეას), რომელიც დამტკიცდა გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ 1993 წელს.

მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემის ძირითადი პრინციპებია (ეას-ის პრინციპებზე დაფუძნებული):

- მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი გამიჯნვა სხვა ეკონომიკური ოპერაციებისაგან, რომლებიც კავშირშია ფინანსური ვალდებულებების აღებასთან, ეკონომიკური აქტივების ფორმის შეცვლასთან და სხვა;
- შემოსავლების ყველა იმ სახის დაფარვა, რომლებსაც მოსახლეობა ღებულობს როგორც ფულადი ისე ნატურალური სახით;

- მოსახლეობის შემოსავლების თანმიმდევრული ასახვა, რომელთა ფორმირებაც ხორციელდება მათი გადანაწილების პროცესის ყველა სტადიაზე;
- მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლების დაკავშირება ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან (მშპ, ეროვნული შემოსავალი, საბოლოო მოხმარება, დანაზოგი) და მაჩვენებლებთან, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკური პროცესის მოსაზღვრე ასპექტებს: წარმოება, საწარმოების და ორგანიზაციების შემოსავლების მოძრაობა, შემოსავლების გამოყენება, ფინანსური რესურსების მოძრაობა და ა.შ.

მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკაში გამოიყენება მონაცემები, რომელთა ფორმირება ხორციელდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და გასავლების ბალანსის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის ბალანსის შემადგენელ ნაწილს. სახალხო მეურნეობის ბალანსი წარმოადგენდა მონაცემთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციულ ბაზას მაკროეკონომიკური ანალიზისათვის ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკის პირობებში. მიუხედავად ამისა, ის ვერ აკმაყოფილებს ასეთი ანალიზის მოთხოვნებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში. გარდამავალ პირობებში ეკონომიკური პროცესების ადეკვატური ასახვისათვის, საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტმა (ამჟამად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა) თანმიმდევრულად განახორციელა გადასვლა სახალხო მეურნეობის ბალანსის გამოყენებიდან ეროვნული ანგარიშთა სისტემის გამოყენებაზე, რომელიც დაფუძნებულია განსხვავებულ კონცეფციებზე. მოცემული გადასვლა გულისხმობს უარის თქმას იმ მაჩვენებლების, განსაზღვრებების, კლასიფიკაციების და მეთოდების გამოყენებაზე, რომლებიც მიღებული არაა ეას-ში და ეწინააღმდეგება მის პრინციპებს. თუმცა, მონაცემების განსაზღვრებისა და შეფასებისას არ არის გამორიცხული ზოგიერთი სპეციფიკური თვისებების შენარჩუნება, საქართველოს ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე.

მოცემული მიმართულებით წარმოებული სამუშაოების შედეგად, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური რეგულარულად ადგენს ძირითად ეროვნულ ანგარიშებს, მათ შორის სახალხო მეურნეობის სექტორისთვის, რომლებშიც ასახულია სახალხო მეურნეობის დარგთა წარმოება, ჩამოყალიბება, განაწილება, გადანაწილება და შემოსავლების გამოყენება. ამ ანგარიშების საფუძველზე შესაძლოა ფორმირებული იქნას

მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ეას-ის პრინციპებთან.

ცნება "შემოსავალს" გააჩნია რთული ხასიათი და სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული ეკონომიკურ ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ შემოსავლის განსაზღვრება დამოკიდებულია ანალიზის მიზნებზე და პრაქტიკულ ამოცანებზე, რომელთა გადასაწყვეტად გამოიყენება მონაცემები შემოსავლების თაობაზე. მაგალითად, ფულადი მოთხოვნილების შესწავლისას, შემოსავლად ითვლება ფულადი შენატანების თანხა, რომელსაც რეგულარულად ღებულობს თვითმმართველი სუბიექტი და რომელიც გავლენას ახდენს ფულად მოთხოვნაზე. ასეთი განსაზღვრებისას გამორიცხულია ნატურალური ფორმით შემოსული შემოსავლები, თუმცა მათ შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ საოჯახო მეურნეობისთვის. შემოსავლის განსაზღვრების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებადი განსაზღვრება, რომელის მიხედვითაც შემოსავალი ემსახურება როგორც თვითმმართველი სუბიექტის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას მიკროდონეზე, აგრეთვე ფისკალური პოლიტიკის საკითხების შემუშავებას. სხვა მიდგომა, რომელიც გამოიყენება ცხოვრების დონის ანალიზისას, გულისხმობს შემოსავლის ცნებაში საქონელზე და მომსახურებაზე თვითმმართველი სუბიექტის მოთხოვნების ჩართვას, რომლებიც წარმოქმნიან მთლიან შიდა პროდუქტს. შემოსავლის მოცემული განსაზღვრება გამოიყენება ეას-ში. ყველა ზემოხსენებული მიდგომა ავსებს ერთმანეთს და გამოიყენებას ჰპოვებს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის დროს.

„1993წ. ეას-ში შემოსავლის ცნება დაფუძნებულია კონცეფციაზე, რომელიც შემოთავაზებული იყო ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ხიკსის მიერ ნაშრომში "ღირებულება და კაპიტალი". მისი არსი მდგომარეობს შემდგომში: შემოსავალი უნდა განისაზღვროს, როგორც მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ამავდროულად ამ პერიოდის დასასრულისთვის შენარჩუნებული იქნას საწყისი კაპიტალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობის შემოსავლის სიდიდემ უნდა უჩვენოს, თუ რამდენის დახარჯვა შეუძლია მათ მოხმარებაზე, ისე რომ არ გაღარიბდნენ.

ჯ. ხიკსმა ეკონომიკურ ანალიზში შემოიტანა შემოსავლების ორი კატეგორია. პირველი მოიცავს რეგულარული, მოსალოდნელი შენატანების ნაკადს (ex-ante), მეორე კატეგორია – ფაქტიური შენატანების ნაკადს (ex-post). მისი აზრით,

ანალიზის ჩატარებისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირველ კატეგორიას, ვინაიდან ის უფრო მეტად ხსნის თვითმმართველი სუბიექტების ყოფაქცევას. მის მისაღებად მეორე კატეგორიიდან უნდა გამოვრიცხოთ არაგათვალისწინებული, შემთხვევითი შენატანები, კერძოდ, ინფლაციის შედეგად აქტივების ღირებულების ნამატი.

ჯ. ხიკსის მიერ შემოთავაზებული შემოსავლის საერთო კონცეფციიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები.

1. შემოსული ფულის ნებისმიერი თანხა არ წარმოადგენს შემოსავალს. მაგალითად, სახლის გაყიდვის შედეგად მიღებული ფული არ წარმოადგენს შემოსავალს, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს უბრალოდ აქტივების (კაპიტალის) ფორმის შეცვლასთან: ძირითადი კაპიტალის (სახლი) ფორმით აქტივის ნაცვლად მის მესაკუთრეს ამჟამად გააჩნია აქტივები იმავე თანხაზე ნაღდი ფულის ფორმის სახით. თუ ეს ფული ჩადებული იქნება ბანკში დეპოზიტზე, მაშინ შემოსავლად ჩაითვლება დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი. თუკი ამ ფულზე შეძენილი იქნა სამომხმარებლო საქონელი (მაგალითად, ავეჯი) ან მომსახურება (მაგალითად საზღვარგარეთ მოგზაურობა), მაშინ მოცემული ხარჯები აღრიცხული იქნება როგორც საბოლოო მოხმარება და ნეგატიური დანაზოგი. ეს ნიშნავს, რომ შემოსავალი უდრის ნოლს, ხოლო სამომხმარებლო ხარჯები დაფინანსებული იქნა კაპიტალის შემცირების ხარჯზე (სახლის ღირებულების ოდენობაზე). სამომხმარებლო ხარჯები შეიძლება დაფინანსებული იქნას სესხების ხარჯზე, ამ შემთხვევაში ასევე ადგილი აქვს ნეგატიურ დანაზოგს, ანუ კაპიტალის შემცირებას აღებული ფინანსური ვალდებულებების შედეგად (დავალიანების წარმოშობა).

2. დანაზოგი არ უდრის ნაღდი ფულის თანხის, დეპოზიტის და სხვა ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები და სხვ.) ნამატს. ფინანსური აქტივების გაზრდა შესაძლებელია არა დანაზოგის ხარჯზე (ანუ კაპიტალის გაზრდაზე იმ შემოსავლების გამოყენება, რომლებიც რჩება სამომხმარებლო ხარჯების გამოკლების შემდეგ), არამედ აქტივების ფორმის შეცვლის ან ფინანსური ვალდებულებების აღების ხარჯზე. ნაღდი ფულის ნამატი შეიძლება აღინიშნოს მატერიალური (მაგალითად, სახლები) და ფინანსური აქტივების (მაგალითად, აქციები, ობლიგაციები) გაყიდვის შედეგად ან კრედიტის მიღებისას. სხვა მხრივ, დანაზოგი შეიძლება ნაწილობრივ იქნას გამიზნული მატერიალური აქტივების (მაგალითად, ბინები) შესაძენად. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივების ნამატი უდრის დანაზოგის მხოლოდ ნაწილს.

3. კაპიტალის ნამატი, მიღებული მოულოდნელი მიზეზების შედეგად, არ ითვლება შემოსავლად და არ არის ჩართული დანაზოგში. აქტივების ღირებულების ზრდა ინფლაციის ან სხვა გარე ფაქტორების (მაგალითად, ბინის ღირებულების ზრდა ახლომახლო მეტროს ხაზის გაყვანის შემდგომ) შედეგად არ განიხილება როგორც შემოსავალი და დანაზოგი.

ჯ. ხიკსისეულ შემოსავლების ზოგად კონცეფციაზე დაფუძნებულია მრავალი განსაზღვრება და კლასიფიკაცია, რომლებიც დამუშავებული იყო 1993წ. ეას-ში ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (მშპ, ეროვნული შემოსავალი, ერთობლივი შემოსავალი, დანაზოგი და სხვა) გამოსათვლელად. ამავე საფუძველზეა აგებული მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს განაწილების პროცესის სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ეტაპებს". (ნაზაროვი 2002:575)

ჩემი აზრით, მოსახლეობის შემოსავლები მოიცავს როგორც ფულად, ასევე არაფულად (ნატურალური სახით) შემოსავლებსაც, მათ შორის საკუთარი წარმოების პროდუქციასა და დროთა განმავლობაში დაგროვილ ქონებას (როგორიცაა საცხოვრისი, ხანგრძლივი მოხმარებისა და ფუფუნების საგნები და სხვა).

მთავარი მაჩვენებლის სახით, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლებს, ეას-ში გამოიყენება საოჯახო მეურნეობის ერთობლივი შემოსავლის მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს შემოსავალს მიღებულს საოჯახო მეურნეობის მიერ გადანაწილების შედეგად, და რომელიც შემდგომში გამოიყენება მათ მიერ საბოლოო მოხმარებასა და დანაზოგზე. იგი ახასიათებს საოჯახო მეურნეობების უნარს, დააფინანსოს საქონლის და მომსახურების საბოლოო მოხმარება და განახორციელოს დანაზოგი ანგარიშზე.

გადანაწილების პროცესის შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავლების საერთო სიდიდეს, ნატურალური ფორმის სახით შემოსავლების ჩათვლით, ასახავს შემდეგი მაჩვენებელი – ერთობლივი შემოსავალი. შემოსავლების ეს ყველაზე ზოგადი ცნება, რომელიც გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში, აერთიანებს საოჯახო მეურნეობაში ყველა შენატანს შემოსავლისა (როგორც ფულადი ისე ნატურალურ-ნივთიერი ფორმით) და შეღავათების სახით (დაბეგვრისგან ან მისი ნაწილისგან განთავისუფლება, მატერიალური კეთილდღეობის ან მომსახურების შეძენაზე რეალიზებული უფლება) მიღებულს. გარდა ამისა, საოჯახო მეურნეობის ერთობლივ შემოსავალში შეიტანება შემოსავლები, რომელთა მიღება ხდება პირადი

დამხმარე სოფლის მეურნეობის ან სხვა სახის საოჯახო მეურნეობის წარმოებისას.

გერმანელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი პროფესორი პ.ლიპპე თვლის, რომ ერთობლივი შემოსავლის სტრუქტურა საჭიროა გადაიხედოს და მასში შეტანილი იქნას დიასახლისთა საქმიანობა, უფასო მოსახურება, პირობითად დარიცხული შემოსავლები და ნატურალური გასამრჯელო.

საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავალი და შესწორებული, ანუ კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავალი წარმოადგენენ საქონლის და მომსახურების მაქსიმალურ ღირებულებას, რომლის დახარჯვაც შეუძლიათ საოჯახო მეურნეობებს მიმდინარე პერიოდში ისე, რომ არ მიმართონ საკუთარი ფულადი სახსრების შემცირებას, სხვა აქტივების რეალიზაციას, საკუთარი ვალდებულებების გაზრდას. ამასთანავე, კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავალი ახასიათებს საქონლის და მომსახურების ღირებულებას, რომლის დახარჯვაც შეუძლიათ საოჯახო მეურნეობებს საბოლოო მოხმარებაზე, ამ ხარჯების დაფინანსების წყაროს მიუხედავად.

შესწორებული ანუ კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავლის მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოსავლების გადანაწილების პროცესის ანალიზისას ეკონომიკური რეფორმების და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების პერიოდში, როდესაც დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ადრე სოციალურ-კულტურულ მომსახურეობას აწარმოებდნენ უფასოდ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეტწილად აწარმოებენ მათ კომერციულ საფუძველზე. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის ერთობლივი შემოსავლის დინამიკა, რომელიც არ ითვალისწინებს მოცემულ პროცესებს, იქნება გაცილებით სწორი, ვიდრე კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავლის დინამიკა, რამაც შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს ცხოვრების დონის რეალური ცვლილებების შეფასებისას.

საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავალი და კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავალი რეალურად ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლების დინამიკას ფასების ცვლილებების გათვალისწინებით. მათი გამოთვლა ხდება ნომინალურ გამოსახულებაში შესაბამისი მაჩვენებლების გაყოფით სამომხმარებლო ტარიფების ინდექსზე.

საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავლის და კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავლის გამოთვლა ხდება თითოეულ მოსახლეზე შესაბამისი მაჩვენებლების (ნომინალურ და რეალურ გამოსახულებაში) გაყოფის

გზით მუდმივი მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მონაცემზე საანგარიშო პერიოდში. ამ მონაცემის გამოყენება მიზანშეწონილია მოსახლეობის შემოსავლების მოცულობის და დინამიკის რეგიონალური შედარებებისას.

მოსახლეობისთვის უფასო და შეღავათიანი მომსახურების სრული მოცულობის ღირებულებითი შეფასება, როგორც მოსახლეობის ერთობლივი შემოსავლების შემადგენელი ნაწილი ითვლის ასევე მსგავსი მომსახურების ფაქტიურ ღირებულებას, რომელსაც განახორციელებს სახელმწიფო და არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები და ასევე კომერციული ორგანიზაციები თავისი თანამშრომლებისთვის.

შედარებით მარტივია მიკროდონეზე ამა თუ იმ სახის შეღავათიანი და უფასო მომსახურების გათვალისწინება მოსახლეობის შემოსავლების სახით, ე.ი. მთელი მოსახლეობის მიმართ, კონკრეტულ საოჯახო მეურნეობის ან რეციპიენტის გათვალისწინების გარეშე. მაგრამ საკმაოდ ძნელია კონკრეტული საოჯახო მეურნეობის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ერთობლივი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ხვდება მეურნეობაში სოციალური მომსახურების კომპლექსის სახით. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ აუცილებელია ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რა დონეზე გამოიყენა მოცემულმა საოჯახო მეურნეობამ ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის და სხვა დაწესებულებების მომსახურება, არამედ ამ დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების რეალური ღირებულება და ფასი, რომლითაც შეძენილი იქნა ეს მომსახურება მოცემული მეურნეობის მიერ.

ერთობლივი შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობამ მიიღო საკუთარი მებაღეობისა და მეცხოველეობის წარმოებით, გამოითვლება თითოეული პროდუქტისთვის ცალ-ცალკე გაყიდვის ფასის მიხედვით. პირადი დამხმარე მეურნეობიდან ნატურალური შენატანის ღირებულება, რომელიც შეადგენს საოჯახო მეურნეობის მიერ მოხმარებული პროდუქციის ნაწილს, განისაზღვრება შესაბამისი სახეობის პროდუქციის გაყიდვის საშუალო ფასით. პროდუქციის იმ ნაწილის ღირებულება რომელიც იყო რეალიზებული, მიეკუთვნება ფულად შემოსავალს. ამასთანავე, როგორც წესი, საქონლისა და ფრინველის საკვებისთვის განკუთვნილი პროდუქციის მოცულობის ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენება უფრო დაბალი ფასები, ვიდრე ფასები, რომლითაც ხდებოდა იმ პროდუქციის ღირებულების შეფასება, რომელიც გაიყიდა და წავიდა მოცემული საოჯახო მეურნეობის პირად მოხმარებაზე.

მოსახლეობის ერთობლივი შემოსავლების არაფულადი ელემენტის სახით შეიძლება მიღებული იქნას, ეგრეთ წოდებული, პირობითად დარიცხული შემოსავალი საოჯახო მეურნეობის საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრების გამო. მოცემული მაჩვენებლის ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ საოჯახო მეურნეობის წევრებს, საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისას, გააჩნიათ არაპირდაპირი შემოსავალი, ვინაიდან არ იხდიან ბინის ქირას.

ეკონომიკურ გათვლებში მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მონაცემების გამოყენება მნიშვნელოვნად ამახინჯებს სურათს არა მხოლოდ საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების და სოციალური დანაწევრების ხარისხის დახასიათებისას, არამედ არ იძლევა საშუალებას ადეკვატურად შეფასდეს ქვეყანაში სიღარიბის გავრცელებადობა, ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის დეფიციტის ხარისხი, ამახინჯებს მოსახლეობის შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურულ მონაცემებს, არასრულად აჩვენებს სახელმწიფო პოლიტიკის როლს სოციალური ტრანსფერტების სისტემის ფორმირებაში.

მოსახლეობის ერთობლივი შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს ფულადი შემოსავლები. ფულადი შემოსავალი შედგება ფულადი ფორმის შენატანებისგან, რომელიც ერიცხება საოჯახო მეურნეობას ან მის ცალკეულ წევრს რეგულარულად. საოჯახო მეურნეობის ფულადი შემოსავლის წყაროებს წარმოადგენენ: დაქირავებული მუშაკის ხელფასი და სხვა შენატანები დამქირავებლებისგან; სუფთა შემოსავალი დამოუკიდებელი საქმიანობისგან; მოგება სამეწარმეო საქმიანობისგან; პირადი ინვესტიციებისგან მიღებული შემოსავალი (რენტა, პროცენტები, დივიდენდები); ჰონორარები და საკომისიო შენატანები. საოჯახო მეურნეობების ფულად შემოსავლად ასევე განიხილება ალიმენტები, პენსიები, სტიპენდიები, ჯილდო და სხვა რეგულარულად მიღებული დახმარება ნაღდი ფულის სახით.

დაქირავებული მუშაკის ხელფასში და ხელფასის მსგავს შემოსავლებში ჩართულია საოჯახო მეურნეობის ყველა წევრის, რომლებიც იღებენ ხელფასს ძირითადი და მეორადი დასაქმებიდან, შრომის საფასურის საერთო თანხა გადასახადების დაქვითვამდე. შემოსავლების მოცემული სახეობა მოიცავს ხელფასს, არასამუშაო საათების შრომის ანაზღაურებას, პრემიებს, შემწეობას, დანამატს (სოციალური ხასიათის დანამატის ჩათვლით, რომელსაც უშუალოდ დამქირავებელი იხდის). მაკროდონეზე ეროვნული ანგარიშების შედგენისას, დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი შედგება

ანაზღაურების ფულადი და ნატურალური ფორმებისგან, რომელსაც უხდის დამქირავებელი დაქირავებულ მუშაკებს. დამოუკიდებელი საქმიანობის შემოსავლებში გათვალისწინებულია საოჯახო მეურნეობის წევრების შემოსავლები ფულადი ფორმით, რომლებიც მიღებულია დამოუკიდებელი საქმიანობის, რეგულარული ან შემთხვევითი ბიზნესისა და დამოუკიდებელი პროფესიული მოღვაწეობისგან.

ეკონომიკური ანალიზის დროს მოსახლეობის შემოსავლების შემადგენლობაში გამოყოფენ შემოსავლებს, რომლებიც შემოდის სოციალური ტრანსფერტების სახით და რომელთა საფუძველს წარმოადგენს პენსიები და შემწეობები. ამ შემოსავლებს საოჯახო მეურნეობის წევრები ღებულობენ კონკრეტული სოციალური რისკის შემთხვევაში (სამსახურის, მარჩენალის, შრომისუნარიანობის დაკარგვა და სხვა).

ერთობლივი ფულადი შემოსავლების გარდა, ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება მოსახლეობის პირადი შემოსავლების მაჩვენებელი. მოცემული შემოსავლები შედგებიან ფულადი და ნატურალური შემოსავლებისგან, რომლებსაც მოსახლეობა ღებულობს ანაზღაურების სახით დაქირავებით მუშაობის შესრულებისას; შემოსავლები პირადი დამხმარე მეურნეობიდან; დამოუკიდებელი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები; სახელმწიფო და არასახელმწიფო მოხმარების ფონდებისგან შემოსული ფულადი შენატანები; საფინანსო-საკრედიტო სისტემიდან შემოსული შემოსავლები სამეწარმეო შემოსავლების და საკუთრებიდან შემოსავლების სახით.

მოსახლეობის პირადი ერთობლივი შემოსავალი წარმოადგენს მოსახლეობის პირად შემოსავალს, გადასახადების გამოქვითვის, სავალდებულო გადასახადების და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ნებაყოფლობითი შენატანების გაკეთების შემდეგ.

აგრეგირებული სახით შემოსავლების ყიდვისუნარიანობის ცვლილებების შესასწავლად გამოიყენება მოსახლეობის რეალური შემოსავლების მონაცემები. მოსახლეობის რეალური საერთო შემოსავლები განისაზღვრება როგორც პირად ერთობლივ შემოსავალს დამატებული სახელმწიფო ან არასახელმწიფო წყაროების ხარჯზე მოსახლეობისთვის გაწეული უფასო ან შეღავათიანი მომსახურების ღირებულება სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე გათვლით. მოსახლეობის რეალური ერთობლივი შემოსავლები – პირადი ერთობლივი შემოსავლებია სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე გათვლით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საოჯახო მეურნეობის შემოსავლების ანალიზისას, როგორც წესი, გამოიყენება მოსახლეობის საშუალო შემოსავლის რამოდენიმე ცნება. ამ მონაცემების გამოთვლა ხდება როგორც მთლიანად მოსახლეობაზე, ისე მის ცალკეულ ჯგუფზე, ასევე საოჯახო მეურნეობაზე, ოჯახზე ან თითოეულ მოსახლეზე. ამასთანავე, შემოსავლების ხვედრითი მონაცემების გათვლისას ყველაზე ხშირად გამოიყენება საშუალო მონაცემი და მედიანა. მედიანა შეფასებას აძლევს რეალურად არსებული საოჯახო მეურნეობის შემოსავლის სიდიდეს. საშუალო შემოსავალი, მედიანასგან განსხვავებით, აბსტრაქტული სიდიდეა და საოჯახო მეურნეობების ერთობლიობის დასახასიათებლად გამოიყენება.

მოსახლეობის შემოსავლები, რომლებიც წარმოადგენენ აგრეგირებულ ღირებულებით მაჩვენებელს, მართებული იქნება გაითვალოს დროის შედარებით დიდ მონაკვეთში, უკეთესია ერთი წლით. ეს დაკავშირებულია, პირველ რიგში იმასთან, რომ საოჯახო მეურნეობაში რესურსების შენატანი შემოსავლების სახით განიცდის არა მხოლოდ სეზონურ მერყეობას (განპირობებულია მთელი რიგი დარგების სპეციფიკით, კლიმატით, საწარმოო ციკლის და მოთხოვნილების თავისებურებით), არამედ საგარეო ეკონომიკურ და სხვა პირობების არარეგულარულობას, რაც გავლენას ახდენს საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაზე. ამავდროულად, მართვის მოთხოვნილება ხშირად განაპირობებს წლის განმავლობაში მოსახლეობის შემოსავლების დონის შეფასების აუცილებლობას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პირველადი შემოსავლების და მიმდინარე ტრანსფერტების ჯამი წარმოქმნის საოჯახო მეურნეობების ერთობლივ შემოსავალს, ხოლო ნატურალური ფორმით სპეციალური ტრანსფერტების დამატებით – საოჯახო მეურნეობების შესწორებული ანუ კორექტირებული სახით ერთობლივ შემოსავალს. საოჯახო მეურნეობების შემოსავალი, რომლის ფორმირება ხდება ეკონომიკაში შემოსავლების განაწილების და გადანაწილების პროცესების შედეგად, გამოიყენება საბოლოო მოხმარების და დანაზოგის დაფინანსებისათვის. ასეთი ოპერაციები აისახება საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავლის და შესწორებული ერთობლივი შემოსავლის გამოყენების ანგარიშებში.

ერთობლივი შემოსავლის ორი სახეობა შეესაბამება საბოლოო მოხმარების ორ კონცეფციას, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ესს-ში:

- ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე,

- ფაქტიური საბოლოო მოხმარება.

ეს განპირობებულია სხვაობით, რომელიც არსებობს იმ ეკონომიკურ ერთეულებს შორის, რომლებიც ფინანსირებას უწევენ ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე და იღებენ მოგებას ამ ხარჯებიდან. მაგალითად, ხარჯებს უფასო სოციალურ-კულტურულ მომსახურებაზე ახორციელებენ სახელმწიფო მართვის ორგანოები. ხოლო მოგებას მათგან ღებულობენ საოჯახო მეურნეობები. საბოლოო მოხმარებაზე ხარჯების კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, თუ ვინ ახორციელებს ამ ხარჯების ფინანსირებას, ხოლო ფაქტიური საბოლოო მოხმარების კონცეფცია – თუ ვინ ღებულობს მოგებას. პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ საბოლოო მოხმარებისთვის ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე მიეკუთვნება იმავე სექტორს, რომელიც ახორციელებს მათ ფინანსირებას; მეორე შემთხვევაში ყოველი სექტორისთვის ნაჩვენებია საქონლის და მომსახურების ფაქტიური საბოლოო მოხმარება.

საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარების ფაქტობრივი ხარჯები – წარმოადგენს საოჯახო მეურნეობა-რეზიდენტების ხარჯებს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რომლის დაფინანსებაც ხდება მათი ერთობლივი შემოსავალიდან. მათ მიეკუთვნებათ:

- ხარჯები სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების შეძენაზე;
- ნატურალური სახით მიღებული (შრომის ანაზღაურების, საჩუქრების და ა.შ. სახით მიღებული) საქონლისა და მომსახურების მოხმარება;
- საოჯახო მეურნეობების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის წარმოებული საქონლის და მომსახურების მოხმარება; მომსახურების ნაწილს მიეკუთვნება მხოლოდ საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრების მომსახურება და დაქირავებული შიდა მოსამსახურის მომსახურება.

საოჯახო მეურნეობების საბოლოო მომსახურების ხარჯები უნდა ითვალისწინებდეს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ (მაგალითად, მივლინებების დროს, ტურისტული მოგზაურობისას) საქონლის და მომსახურების შეძენას და გამორიცხავდეს ანალოგიურ შენაძენებს არარეზიდენტების მიერ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე.

საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები, რომელთა წარმოება ხდება შემოსავლების ხარჯზე, განისაზღვრება მათი მეშვეობით სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ფაქტიური ოდენობით.

საოჯახო მეურნეობების ფაქტიური საბოლოო მოხმარება – წარმოადგენს საოჯახო მეურნეობა-რეზიდენტების მიერ საბოლოო მოხმარებისათვის შეძენილი

ყველა საქონლის და მომსახურების ღირებულებას, მიუხედავად ფინანსირების წყაროსა. მას მიეკუთვნება:

- საოჯახო მეურნეობების ხარჯები სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე;
- სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელსაც საოჯახო მეურნეობა ღებულობს სახელმწიფო მართვის დაწესებულებებსა და არაკომერციული ორგანიზაციებისგან უფასოდ ნატურალური ფორმით სოციალური ტრანსფერტების სახით.

საოჯახო მეურნეობების დანაზოგი მათი ერთობლივი შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც რჩება საბოლოო მოხმარებაზე ხარჯების გამოკლების შემდეგ (ან შესაბამისად შესწორებული ერთობლივი შემოსავალის ნაწილი, რომელიც რჩება ფაქტიური საბოლოო მოხმარების გამოკლების შემდეგ). დანაზოგი წარმოადგენს ბალანსირებად მუხლს საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავალის და შესწორებული სახით ერთობლივი შემოსავალის გამოყენების ანგარიშებში.

საოჯახო მეურნეობების დანაზოგი წარმოადგენს ინვესტიციების ფინანსირების მნიშვნელოვან წყაროს ეკონომიკაში. დანაზოგის შეფარდებას ერთობლივ შემოსავალთან ეწოდება დანაზოგის ნორმა. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს მოსახლეობის მისწრაფებას დაზოგვისკენ და დიდი მნიშვნელობა გააჩნია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების საოჯახო მეურნეობების ქცევაზე ზეგავლენის ანალიზის დროს.

მოსახლეობის შემოსავლების გამოყენების სტატისტიკა შეისწავლის საოჯახო მეურნეობების ხარჯებს და დანაზოგს. როგორც წესი, ანალიტიკური მიზნებით მოსახლეობის შემოსავლები იყოფა ორ ჯგუფად: ხარჯები, რომლებიც კავშირშია მოხმარებასთან და ხარჯები, რომლებიც კავშირში არაა მოხმარებასთან. ეას-ში საოჯახო მეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები განეკუთვნება ფულად ხარჯებს, რომელთაც აწარმოებს საოჯახო მეურნეობა სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე.

ხარჯები, რომლებიც კავშირში არაა მოხმარებასთან, გულისხმობენ გადასახადს შემოსავალზე და სხვა პირდაპირ შემოსავალზე, გადარიცხვებს პენსიაზე და სოციალურ დაზღვევაზე და სხვა სადაზღვევო შენატანებს, ფულად გზავნილებს და საჩუქრებს. მათ არ მიეკუთვნებათ დანაზოგზე დანამატი, ინვესტირებული ან სესხით გაცემული თანხები, სესხის დაბრუნება და სხვა ფინანსური ოპერაციების ხარჯები.

მოსახლეობის შემოსავლების გამოყენების მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს მისი ხარჯების მოცულობის და სტრუქტურის მაჩვენებლები. სწორედ ეს მაჩვენებლებია ყველაზე მგრძნობიარე ფასებისა და შემოსავლების, ასევე კონკრეტულ საქონელზე ფასებს შორის თანაფარდობის ცვლილების მიმართ.

სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურის მაჩვენებლები წარმოადგენენ საოჯახო მეურნეობების სამომხმარებლო ქცევის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებები დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელი რჩება, სამომხმარებლო ხარჯების შიგნით პროპორციების მკვეთრი ცვლილება მოსახლეობის ცხოვრების დონის დინამიკის თვალსაჩინო ილუსტრირებას იძლევა. ამ მონაცემებში ტერიტორიალური განსხვავება (ერთი ქვეყნის ფარგლებში ან ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და ნაციონალური ტრადიციებით მსგავს რეგიონებს შორის) ილუსტრირებას უკეთებს რეგიონებს შორის ცხოვრების დონის განსხვავებას.

ეს იმ ფაქტთანაა დაკავშირებული, რომ მომხმარებლის შემოსავლები (მათი უმრავლესობის) და მათი ფაქტიური გამოყენება წარმოადგენს საოჯახო მეურნეობის მიერ საბიუჯეტო პოლიტიკის წარმოების შედეგს, რომელიც დამოკიდებულია შემოსავლის ოდენობაზე, ფასების დონეზე და საოჯახო მეურნეობების წევრების მოთხოვნილებებზე. ამდაგვარად, ყოველი საოჯახო მეურნეობისთვის არსებობს საქონლის და მომსახურების გარკვეული ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის მოთხოვნილებებს და განსაზღვრულია შემოსავლების სიდიდით.

საოჯახო მეურნეობების შემადგენლობა სპეციფიკურ გავლენას ახდენს მოხმარების მოცულობასა და სტრუქტურაზე. ამ ფაქტის შესწავლისთვის ხორციელდება ერთნაირი სიდიდის, მაგრამ სხვადასხვა შემადგენლობის მქონე, საოჯახო მეურნეობების ჯგუფების მოხმარების ანალიზი. საოჯახო მეურნეობის ზომის გაზრდასთან ერთად ხარჯი თითოეულ წევრზე (სულადობის ხარჯები) მცირდება, განსაკუთრებით საერთო მოხმარების ნივთებზე – ამგვარად ვლინდება ეკონომია დიდი მეურნეობის მართვის შედარებითი სარგებლობის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით, შემოსავლების გამოყენების ეკონომიკური ანალიზისას უნდა გამოვიყენოთ არა მხოლოდ მონაცემები, რომლებიც გათვლილია თითოეულ წევრზე ან მეურნეობაზე მთლიანად, არამედ გამოვიყენოთ ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა, რომლებიც გათვლილია

სხვადასხვა ტიპის საოჯახო მეურნეობებზე. მოცემულ შემთხვევაში დამაჯგუფებელი ნიშანთვისებებია: საოჯახო მეურნეობის ზომა, სქესის და ასაკის მიხედვით მისი წევრების შემადგენლობა, საოჯახო მეურნეობის ადგილმდებარეობა, დასახლებული პუნქტის ტიპი და სხვა.

მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურაში გამოყოფენ შემდეგ პოზიციებს: სასურსათო (კვების პროდუქტები და ალკოჰოლი), არასასურსათო საქონელი, მომსახურება, გადასახადები და დანაზოგი. ხარჯების სტრუქტურის დეტალური შესწავლისთვის გამოიყენება დაჯგუფება აგრეგაციის სხვადასხვა სახით, რომელიც აგებულია ინდივიდუალურ მოხმარებაზე ხარჯების კლასიფიკატორის საფუძველზე.

მოსახლეობის შემოსავლების რეალური შემცველობის შეფასებისათვის გამოიყენება მოსახლეობის ყიდვითი უნარის მაჩვენებელი. მოცემული მაჩვენებელი გამოითვლება როგორც კონკრეტული სასურსათო და არასასურსათო საქონლის და მომსახურების რაოდენობა, რომლის შეძენაც შესაძლებელია დროის კონკრეტულ პერიოდში შემოსავლის გარკვეულ სახეობაზე. როგორც წესი, გამოითვლება ქვეყნის (რეგიონის) მიხედვით ერთ მუშაკზე საშუალო (ან მინიმალური) ხელფასის (პენსიის ერთ პენსიონერზე) ყიდვითი უნარის დამოკიდებულება ქვეყნის (რეგიონის) მიხედვით კონკრეტულ საქონელზე ფასების საშუალო დონესთან.

მოსახლეობის შემოსავლების ყიდვითი უნარის სტატისტიკური შეფასება ხორციელდება მოსახლეობის შემოსავლების და სამომხმარებლო ფასების დინამიკაში ცვლილებების განსაზღვის მიზნით, ასევე მოსახლეობის შემოსავლების ყიდვითი უნარის რეგიონთაშორისი სხვაობის დასაზუსტებლად.

ამდაგვარი გათვლები ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების (საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტის სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით), დასაქმებული ჯგუფების (მუშაკთა კატეგორიის ან ეკონომიკის დარგის), პენსიონერთა და დახმარების მიმღებთა ჯგუფების შემოსავლების ყიდვითი უნარის მიხედვით.

მოსახლეობის შემოსავლების ყიდვითი უნარის შესწავლა შესაძლებელია საქონლის და მომსახურების ფიქსირებული ნაკრების რაოდენობის მეშვეობით. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება 288 სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისაგან შემდგარი ნაკრები, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის მიმდინარე საყიდლების საფუძველს. ამ შემთხვევაში ყიდვითი უნარის განხაზღვრა ხდება საქონლის

ნაკრებების რაოდენობის მიხედვით, რომელთა შეძენა შეიძლება ფულად შემოსავალის მეშვეობით. ამ მონაცემის გამოყენება თვალსაჩინოდ ახასიათებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს, მათ შემოსავლის წყაროებს, რეგიონების მიხედვით ყიდვით უნარს შორის სხვაობას.

განმაზოგადებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის სახით, რომელიც ახასიათებს ეას-ში აგრეგირებული სახით მოსახლების მიერ მოხმარებული მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების მოცულობის ღირებულებას, განიხილება საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარების მაჩვენებელი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია მშპ-ის შემადგენლობაში. მისი გამოთვლა ხდება მიმდინარე და მუდმივ, ფიქსირებულ ფასებში. ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარების მაჩვენებელი გათვლილი ერთ სულ მოსახლეზე.

საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარება გულისხმობს საოჯახო მეურნეობების ხარჯებს გაწეულს სამომხმარებლო საქონელისა და მომსახურების შეძენაზე ყველა სავაჭრო საწარმოში, ქალაქის ბაზრებში და არაორგანიზებული (ქუჩის) სავაჭრო წერტილებზე, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, სამგზავრო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, სასტუმროებზე, კულტურაზე, ჯანდაცვაზე, განათლებზე (ფასიან დაწესებულებებში). საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარება ასევე გულისხმობს საქონლის და მომსახურების მოხმარებას ნატურალური ფორმით, რომლებიც წარმოებულია საკუთარი თავისთვის (პირადი დამხმარე მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, პირობითად გაანგარიშებული მომსახურება საკუთარ სახლში (ცხოვრებაზე) ან მიღებულია შრომის ანაზღაურების სახით.

მოსახლეობის მოხმარების მახასიათებელია – საოჯახო მეურნეობების მომსახურე დაწესებულებების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე. მოცემული მონაცემი გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებების სექტორის ხარჯებს, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ხარჯზე; ხარჯებს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც გამიზნულია ინდივიდუალური მოხმარებისთვის (ჯანდაცვა, განათლება, კულტურა); საოჯახო მეურნეობების მომსახურე დაწესებულებების ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე; კომერციული ორგანიზაციების მიერ თავისი მუშაკებისთვის გაწეული სოციალური ხასიათის უფასო მომსახურების ხარჯებს.

საოჯახო მეურნეობების ფაქტიური საბოლოო მოხმარება გულისხმობს მათ ხარჯებს სამომხმარებლო საქონლის, მომსახურების ყიდვაზე და ინდივიდუალური საქონლის და მომსახურების ღირებულებას, რომელთაც (საქონელი და მომსახურება) საოჯახო მეურნეობები ღებულობენ სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან და არაკომერციული ორგანიზაციებიდან უფასოდ ნატურალური ფორმით სოციალური ტრანსფერტების სახით. სახალხო მეურნეობის ბალანსში ითვლებოდა მოსახლეობის მიერ მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების მოხმარების საერთო მოცულობა – მაჩვენებელი, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ახლოს დგას საოჯახო მეურნეობების ფაქტიურ საბოლოო მოხმარებასთან.

სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში ყველაზე მეტად გამოიყენება მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მოხმარების დონის შეფასებები. გათვლები იწარმოება სურსათ-სანოვაგის შემდეგი ჯგუფების მიხედვით: პურეულობა, კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეულობა, ხილი და კენკრა, ხორცი და ხორცის პროდუქტები ხორცზე გადათვლით, რძე და რძის ნაწარმი რძეზე გადათვლით (გამოიყოფა ცხოველური წარმოშობის კარაქი), შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქარზე გადათვლით (გამოიყოფა შაქარი), კვერცხი, თევზი და თევზეულობა თევზზე გადათვლით, მცენარეული ცხიმი. პირველად, პროდუქტში კვების პროდუქტების გადათვლა ხორციელდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ერთიანი კოეფიციენტების გამოყენებით.

მოხმარების მოცულობა ფასდება დროის გარკვეული პერიოდის (კვარტალი, წელიწადი) განმავლობაში მთლიანად მთელს მოსახლეობაზე და ერთ სულ მოსახლეზე. მოხმარების დონის გათვლები იწარმოება ნატურალურ მონაცემებში – კილოგრამებში, ლიტრებში და ცალობაში. სასურსათო მოხმარების დონის განმაზოგადებელ მონაცემს წარმოადგენს საკვების კალორიულობა, რომელიც ფასდება კკალ-ით ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამის განმავლობაში. გარდა ამისა, ხდება საკვები ნივთიერებების (ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები) შემადგენლობის გათვლა მოხმარებული კვების პროდუქტებში საოჯახო მეურნეობის ერთ წევრზე.

სურსათ-სანოვაგის ფაქტიური და ნორმატიული მოხმარების შედარებისთვის განისაზღვრება მისი რეგიონალური მინიმალური დონეები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობის ბუნებრივ-კლიმატურ, ნაციონალურ და სქესობრივ ასაკობრივ თავისებურებებს. ფაქტიური და ნორმატიული დონის

მოხმარების შედარება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კვების კონკრეტული პროდუქტების მოხმარების დეფიციტი ან პრეფიციტი.

მონაცემები მოსახლეობის ხარჯების და მათ მიერ სურსათის მოხმარების შესახებ ხშირად გამოიყენება მოთხოვნილების ელასტიურობის შეფასებისთვის. ჩვეულებრივ მოთხოვნილების ელასტიურობის კვლევა ხდება ორ ასპექტში: შემოსავალთან დამოკიდებულებაში და ფასთან დამოკიდებულებაში.

ელასტიურობის კოეფიციენტი უჩვენებს ურთიერთკავშირს საქონლის შეძენის და მოხმარების ზრდასა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას შორის (ერთ-ერთი მაჩვენებლის პროცენტებში ზრდა მეორე მაჩვენებლის ერთი პროცენტით ზრდა). ელასტიურობის კოეფიციენტის გაანალიზება ხდება საქონლის ცალკეული ჯგუფების შედარების გზით დროში და სივრცეში და ასევე საქონლის ჯგუფებს შორის. მოსახლეობის ხარჯების (მოხმარების) და შემოსავლების ელასტიურობის კოეფიციენტები გამოიყენება მონაცემთა შედარებისას სხვადასხვა მატერიალური კეთილდღეობის დონის მოსახლეობის (საოჯახო მეურნეობების) ჯგუფების მიხედვით.

უფრო კორექტულია ელასტიურობის კოეფიციენტის გათვლა ერთგვაროვანი შემადგენლობის (საოჯახო მეურნეობების წევრთა სქესი და ასაკი) მქონე საოჯახო მეურნეობების მიხედვით, ე.ი. ერთგვაროვანი სამომხმარებლო ერთეულებით.

ელასტიურობის კოეფიციენტები გამოითვლება საოჯახო მეურნეობების ერთობლიობით დროის გარკვეული მომენტისთვის ან დინამიკაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში შემდეგი ფორმულით:

$$\mathbf{K} = \frac{\Delta y}{\Delta x} \times \frac{x}{y}$$

სადაც,

x –მინიმალური შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობის შემოსავალი;

Δx – მინიმალური და მაქსიმალური შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობების შემოსავლებს შორის სხვაობა;

y _მინიმალური შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობებში კონკრეტული პროდუქტის მოხმარება;

Δy –მინიმალური და მაქსიმალური შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობებში კონკრეტული პროდუქტის მოხმარების დონეებს შორის სხვაობა.

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები დიფერენცირებულია. ყველაზე მცირე შემოსავალი შინამეურნეობების კვლევისას დიფერენცირებულია, როგორც 200 ლარამდე შემოსავალი, ხოლო ყველაზე დიდი – 2000 ლარზე მეტი.

როდესაც საქმე ეხება 200 ლარამდე შემოსავლებისა და 2000 ლარზე მეტი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების საშუალო თვიურ ხარჯებს გაწეულს სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე (200 ლარამდე 2006წ–100.9ლ, 2010წ–94.1ლ. 2000 ლარს ზემოთ 2006წ.–321.0ლ. 2010წ–341.5ლ)

ელასტიურობის კოეფიციენტი 2006 წლისათვის – K=0.2-ის ტოლია, ხოლო 2010 წლისათვის კი – K=0.3-ის.

შემოსავლიდან მოხმარების ელასტიურობის კოეფიციენტის ოდენობის მიხედვით მსჯელობენ კონკრეტულ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის შესახებ. რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლები ხარისხითაა დაკმაყოფილებული მოთხოვნილება კონკრეტულ საქონელზე.

დამოკიდებულება შემოსავალსა და მოხმარებას შორის შეიძლება გამოსახული იყოს მათემატიკური ფუნქციების სახით, რომლებიც ცნობილია ენგელის მოხმარების მრუდების სახელით. ენგელის მრუდი განპირობებულია შემოსავალსა და კონკრეტულ საქონელზე და მის ჯგუფებზე მოხმარებას შორის კავშირის ხასიათით.

დამოკიდებულება შემოსავალსა და მოხმარებას შორის საკმაოდ კარგად გამოისახება ხაზოვანი ფუნქციით. კავშირი შემოსავალსა და გასავალს შორის მიზანშეწონილია გამოისახოს მრუდის ტოლობის (პარაბოლა ან ჰიპერბოლა) სახით. ელასტიურობის კოეფიციენტების საშუალებით ფასდება საოჯახო მეურნეობების მიერ შეძენილი მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების ხარისხის ცვლილების დამოკიდებულება მათი შემოსავლების დონესთან. ამ შემთხვევაში შეძენილი საქონლის ხარისხის მახასიათებელს წარმოადგენს შენაძენის საშუალო ფასი. შემოსავლიდან შეძენილი საქონლის ხარისხის კოეფიციენტი გამოითვლება ამ ორი ცვალებადობის ხაზოვანი დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ხარისხის ელასტიურობის კოეფიციენტი უჩვენებს შეძენილი საქონლის, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ხარისხობრივი განსხვავება, საშუალო ღირებულების მაქსიმალურ ზრდას.

მოსახლეობის შემოსავალის, ხარჯების და დანაზოგის მონაცემების ანალიზისთვის ეას-ი 1993წ. რეკომენდაციას უწევს შემდეგი კლასიფიკაციების გამოყენებას:

1. შემოსავლების ძირითადი წყაროს მიხედვით;
2. ინდივიდუალური მოხმარება მიზნის მიხედვით.

საოჯახო მეურნეობების კლასიფიკაცია შემოსავლების ძირითადი წყაროს მიხედვით ითვალისწინებს შემდეგი ჯგუფების გამოყოფას:

- დაქირავებულ მუშაკთა საოჯახო მეურნეობები;
- მეწარმეთა საოჯახო მეურნეობები;
- თვითდასაქმებული პირის (არაკორპორაციული საწარმოს, საოჯახო მეურნეობის მფლობელები, თავისუფალი პროფესიის მქონე პირები) საოჯახო მეურნეობები;
- საკუთრებიდან შემოსავლების (პროცენტები, დივიდენდები) მიმღები პირების საოჯახო მეურნეობები;
- ტრანსფერტების (პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები) მიმღები პირების საოჯახო მეურნეობები.

ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია მიზნების მიხედვით წარმოადგენს ეას-ის ერთ-ერთ ფუნქციონირებად კლასიფიკაციას. მის საფუძველზე შეგვიძლია მივიღოთ მონაცემები საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარების შესახებ (ხარჯები საბოლოო მოხმარების და უფრო ფართე კონცეფციის მქონე ფაქტიური საბოლოო მოხმარების თაობაზე) საქონლისა და მომსახურების დეტალურ ჯგუფებზე დაყოფის გზით, რომელთა ფორმირება ხორცილედება მათი გამოყენების მიმართულების შესაბამისად. ამასთანავე, თითოეულ ჯგუფზე გამოიყოფა საქონელსა და მომსახურებაზე ხარჯების დაფინანსების წყაროები: საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავლებისა და სახელმწიფო მართვის და არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯზე. მოცემული მონაცემები წარმოადგენენ ღირებულ მასალას მოსახლეობის კეთილდღეობის დონის და მოხმარების სტრუქტურის ანალიზისთვის.

„მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელთა სისტემის შინაარსი და შემადგენლობა დაჯგუფებულია ძირითადი მახასიათებლების მიხედვით და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. პირველადი შემოსავლები (სალდო) – შემოსავლები, რომლებიც შედის საოჯახო მეურნეობებში დამატებული ღირებულების პირველადი განაწილების მეშვეობით. ისინი გულისხმობენ დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას, საოჯახო მეურნეობების არაკორპორაციული საწარმოების საქმიანობიდან შემოსული შემოსავლები (შერეული შემოსავალი და მოგება) და საკუთრებიდან შემოსული შემოსავლები. ყველა ზემოთხსენებული შემოსავალი შეიძლება იქნას

მიღებული საოჯახო მეურნეობების მიერ თვითმმართველი სუბიექტებისგან – როგორც რეზიდენტების ასევე არარეზიდენტებისგან.

1.1 დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება – გასამრჯელო ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელსაც უხდის დამქირავებელი (რეზიდენტი ან არარეზიდენტი) დაქირავებულ მუშაკს (რეზიდენტს) საანგარიშო პერიოდში შესრულებული მუშაობისთვის. შრომის ანაზღაურება არ ხორციელდება უფასო ნებაყოფლობითი სამუშაოს შესრულებისთვის, მათ შორის იმ სამუშაოსთვის, რომელსაც ასრულებენ საოჯახო მეურნეობების წევრები არაკორპორაციულ წარმოებაში, რომელიც მიეკუთვნება იმავე საოჯახო მეურნეობას.

1.2. საოჯახო მეურნეობების არაკორპორაციული საწარმოებების საქმიანობისგან მიღებული შემოსავლები – ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას საოჯახო მეურნეობების დასაქმებისა და შემოსავლის მიღების მიზნით. მათი, როგორც იურიდიული სუბიექტის, ჩამოყალიბება არ ხორციელდება საოჯახო მეურნეობისგან ან მისი წევრებისგან დამოუკიდებლად.

1.2.1. მოგება – მთლიანი დამატებითი ღირებულების ნაწილი, რომელიც რჩება მწარმოებელს, დაქირავებულ მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების და წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების გადახდასთან დაკავშირებილი ხარჯების გამოქვითვის შემდეგ. მოცემული მუხლი გულისხმობს მოგებას (ან წაგებას) მიღებულს წარმოებისგან საკუთრებიდან შემოსავლების დაქვითვამდე. ეას-ის დებულებების თანახმად, მოგებას საოჯახო მეურნეობების სექტორში მიეკუთვნება მოგება, რომელიც წარმოიქმნება სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, მფლობელის მიერ საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებასთან დაკავშირებით.

1.2.2. შერეული შემოსავალი – არაკორპორაციული საწარმოებისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან საოჯახო მეურნეობებს და რომლებშიც საოჯახო მეურნეობების წევრებს შეუძლიათ აწარმოონ აუნაზღაურებადი შრომითი ხარჯები. მოგება მოიცავს შრომის ანაზღაურების ელემენტს, რომლის განცალკევებაც მფლობელის ან მწარმოებლის შემოსავლისგან შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მოგებას ეწოდება შერეული შემოსავალი. ამ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად, მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების შემოსავლები, მცირე ინდმეწარმეების შემოსავალი.

1.3. შემოსავლები საკუთრებიდან (სალდო) – პირველადი შემოსავლები, რომელთა მიღება (გადახდა) ხდება დროებით ხმარებაში მიწის, ფინანსური და

სხვა აქტივების მიცემისას. ისინი მოიცავენ შემდეგი სახის შემოსავლებს: პროცენტები; კორპორაციების განაწილებული შემოსავალი; პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მიღებული რეინვესტირებული შემოსავლები; სადაზღვევო პოლისების მქონე პირთათვის დაკისრებული გადასახადი და რენტა.

1.3.1. საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები – საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ფორმა, რომელთაც ღებულობს მესაკუთრე ისეთი ფინანსური აქტივებისგან, როგორიცაა დეპოზიტი, ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა), სესხი და სხვა. მესაკუთრის მიერ ფინანსური აქტივების სხვა ინსტიტუციონალური ერთეულებისადმი დათმობის შედეგად უკანასკნელებს უჩნდებათ ვალის გადახდის ფინანსური ვალდებულებები გაცემული აქტივს დამატებული პროცენტების ოდენობით.

1.3.1.1. პროცენტები. საოჯახო მეურნეობები ღებულობენ პროცენტებს დეპოზიტებისა და ფასიანი ქაღალდებისგან, გარდა აქციებისა, ძირითადად სერტიფიკატებისა და ობლიგაციებისგან. პროცენტები სერტიფიკატებისა და ობლიგაციებისგან წარმოადგენენ შემოსავლის ფიქსირებულ ან ცვალებად თანხას, რომელიც უნდა იქნას გადახდილი საანგარიშო პერიოდში, ასევე სხვაობას გამოსასყიდის ღირებულებასა და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციას შორის. ობლიგაციებისგან მიღებული მოგება ასევე განიხილება როგორც პროცენტები. საოჯახო მეურნეობებს ასევე შეუძლიათ მიიღონ პროცენტები ვექსელებისგან, თუმცა მოცემული ფინანსური ინსტრუმენტი დღეს-დღეობით ფინანსურ ოპერაციებში ფართოდ არ გამოიყენება. საოჯახო მეურნეობები იხდიან პროცენტებს სესხებზე, სამომხმარებლო კრედიტზე.

1.3.1.2. კორპორაციების განაწილებული კრედიტი – გულისხმობს დივიდენდებსა და კვაზი-კორპორაციების მფლობელების შემოსავლების ამოღებას.

დივიდენტები - საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის ფორმა, რომელსაც ღებულობენ აქციონერები იმ კორპორაციის განკარგულებაში თანხების გადაცემისას, რომლის კოლექტიურ მფლობელებსაც (აქციონერები) ისინი წარმოადგენენ. ამდაგვარად, დივიდენდებს ღებულობენ ის საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ფლობენ აქციებს.

კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღება – არაკორპორაციული საწარმოს (კვაზი-კორპორაცია) მეპატრონეს შეუძლია ამოიღოს მოცემული საწარმოს შემოსავლის ნაწილი ან მთელი შემოსავალი. მოცემული ამოღება

წარმოადგენს საკუთრებიდან შემოსავლის ფორმას, რომელსაც ღებულობს მეპატრონე მასში სახსრების ჩადებისას, და ანალოგიურია დივიდენდების მეშვეობით კორპორაციის შემოსავლის განაწილებისა. ამ სახის შემოსავალს ღებულობენ საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ფლობენ არაკორპორაციულ საწარმოს, რომელიც განეკუთვნება კვაზი-კორპორაციებს, ე.ი. ისეთ საწარმოებს, რომლებიც იურიდიულად განცალკავებულები არიან თავისი მეპატრონეებისგან (გააჩნიათ საბუღალტრო აღრიცხვის სრული სისტემა, ბანკში ანგარიშები) და მოქმედებენ ისევე, როგორც კორპორაციები. ამით ისინი განსხვავდებიან სხვა არაკორპორაციული საწარმოებებისგან, რომლებიც მიეკუთვნებიან საოჯახო მეურნეობებს და იურიდიულად და ფაქტიურად არ არიან განცალკავებული მეპატრონეებისგან (მოსახლეობის დამხმარე მეურნეობები, მცირე ფერმები, მაღაზიები). შემოსავალი, რომელსაც მფლობელი ღებულობს ასეთი ტიპის საწარმოებების საქმიანობისგან, მიეკუთვნება კატეგორიას "შერეული შემოსავალი". კვაზი-კორპორაციებიდან შემოსავლის ამოღებას არ განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადები და სხვა გადასახადები, რომელთაც იხდის მოცემული საწარმო; აქტივების (ძირითადი კაპიტალი, მატერიალური საბრუნებელი სახსრები, მიწა და სხვა არაწარმოებული აქტივები) გაყიდვის შედეგად შემოსული თანხების ამოღება; დაგროვილი დანაზოგების და სხვა რეზერვების, მაგალითად, ამორტიზირებული გადარიცხვების, ამოღება (აისახება როგორც კაპიტალის ამოღება).

1.3.1.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მიღებული შემოსავლების ინვესტირება წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტირების საწარმოების არაგანაწილებულ შემოსავალს, ე.ი. შემოსავლის ნაწილი, რომელიც ინვესტორის მიერ არ ამოიღება, არამედ ემატება საწარმოს კაპიტალს. საოჯახო მეურნეობები (მათი წევრები) შეიძლება გამოდიოდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტირების საწარმოების ინვესტორების როლში (ე.ი. საზღვარგარეთ საწარმოების მფლობელები ან აწილის მფლობელები). თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტირების საწარმოების არაგანაწილებული შემოსავალი მფლობელის მიერ ფაქტიურად არ ამოიღება, ეას-ში ის პირობითად ნაჩვენებია როგორც ინვესტორისთვის გადაცემული (მოცემულ შემთხვევაში საოჯახო მეურნეობებს). შემდგომში ხდება ამ შემოსავლის რეინვესტირება საზღვარგარეთ მდებარე საწარმოს კაპიტალში.

1.3.1.4. საკუთრებიდან შემოსავალი, სადაზღვევო პოლისების მქონე პირთათვის დაკისრებული, წარმოადგენს ფასიან ქაღალდებში, მიწასა და სხვა

აქტივებში სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების ინვესტირებისგან მიღებულ სუფთა შემოსავალს. თავისი საქმიანობის პროცესში სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო ფონდები ახდენენ სადაზღვევო პოლისების მქონე პირების თავისუფალი სახსრების აკუმულირებას და ამის საფუძველზე ახდენენ სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების ფორმირებას. ისინი მოიცავენ: რეზერვებს სიცოცხლის დაზღვევიდან და არასახელმწიფო საპენსიო ფონდების რეზერვებს; პრემიების წინასწარი გაცემა და სხვა სახის დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) სამომავლო შენატანები. მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების შენახვა და მართვა ხორციელდება სადაზღვევო ორგანიზაციების და საპენსიო ფონდების მიერ, ისინი ითვლებიან პოლისის მფლობელების აქტივებად. ამასთან დაკავშირებით, სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების ინვესტირებისგან მიღებული სუფთა შემოსავალი განიხილება როგორც შემოსავალი საკუთრებიდან, რომელსაც ღებულობს სადაზღვევო პოლისის მფლობელები, მათ შორის საოჯახო მეურნეობები.

1.3.1.5. რენტა – შემოსავალი საკუთრებიდან, რომელსაც უხდის არენდატორი არაწარმოებული მატერიალური აქტივების (მიწა, წიაღისეული, წყლის ობიექტები, ტყე და სხვა) მეპატრონეს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ აქტივების გამოყენებისთვის.

1.3.2. საკუთრებიდან გადახდილი შემოსავლები.

1.3.2.1. საოჯახო მეურნეობის მიერ სამომხმარებლო კრედიტის სესხებზე გადახდილი პროცენტები.

1.3.2.2. რენტა. საბაზრო ეკონომიკაში საოჯახო მეურნეობები შესაძლებელია გამოდიოდნენ მიწის და სხვა არაწარმოებული მატერიალური აქტივების მფლობელების სახით და ღებულობდნენ რენტას, ამ აქტივების სხვა საქმიანი სუბიექტისთვის ხმარებაში გაცემისგან. დღეს-დღეობით საქართველოში ეს ძირითადად საოჯახო მეურნეობების რენტის გადასახადია მიწის გამოყენებისთვის.

2. მიმდინარე ტრანსფერტები ფულადი ფორმით (სალდო) – მიმდინარე ხასიათის გადანაწილებული გადასახადები და შენატანები, რომლებიც ხორციელდება ცალმხრივი წესით ნაცვლად რაიმე საქონლის, მომსახურების და აქტივების მიღების ან გადაცემის გარეშე. მათ მიეკუთვნებათ გადასახადების შემდეგი სახეები: შემოსავალზე, საკუთრებაზე და სხვა მიმდინარე გადასახადები; ანარიცხები სოციალურ დაზღვევაზე; სოციალური დახმარებები;

სადაზღვევო პენსიები და სადაზღვევო ანაზღაურებები; სხვა მიმდინარე ტრანსფერტები.

2.1. საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული მიმდინარე ტრანსფერტები გულისხმობენ სოციალურ დახმარებებს, სოციალურ ანაზღაურებებს და სხვა.

2.1.1. სოციალური დახმარებები (გარდა ნატურალური ფორმით სოციალური ტრანსფერტებისა) – დახმარებები, რომელთაც საოჯახო მეურნეობებს უხდის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები, სადაზღვევო კომპანიები, დამქირავებლები გარკვეული გარემოებების (საოჯახო მეურნეობების შემოსავლების და კეთილდღეობის შემცირებისას) დადგომის შემთხვევაში. ამ გარემოებებს მიეკუთვნება შემდეგი: დაავადების, ტრავმის, ბავშვის დაბადების, ინვალიდობის, სიბერის და სხვა შემთხვევაში მკურნალობის აუცილებლობა; კმაყოფაზე მყოფთა (მეუღლე, ბავშვები, მოხუცებული ნათესავები, ინვალიდები და სხვა) რჩენის აუცილებლობა; საერთოდ მუშაობის ან სრული დროით მუშაობის შეუძლებლობა პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, დაავადების, ტრავმის, ბავშვის გაჩენის და სხვა შემთხვევაში; მარჩენალის გარდაცვალება; განათლებაზე ხარჯების გადახდის აუცილებლობა; დაბალი შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობების (პენსიონერები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა) საცხოვრებლის გადახდის უუნარობა.

სოციალური დახმარებები შეიძლება განხორციელებული იქნას ფულადი ან ნატურალური ფორმით. მიმდინარე ტრანსფერტების შემადგენლობაში ასახულ სოციალურ დახმარებებს მიეკუთვნება: ფულადი ფორმის ყველა სოციალური დახმარება, რომლებსაც უზრუნველყოფენ სოციალური დაზღვევის ფონდები; სოციალური დახმარებები ნატურალური ფორმით, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ნატურალური ფორმით სოციალურ ტრანსფერტებს. პრაქტიკაში სოციალური დახმარებების ეს ნაწილი წარმოადგენს საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც შემოთავაზებულია უსასყიდლოდ ან იმ ღირებულებით, რომელსაც არ გააჩნია ეკონომიკური მნიშვნელობა. ამ სახის სოციალური დახმარებით დამქირავებელი უზრუნველყოფს თავის მუშაკებს ზემოხსენებული გარემოებების შემთხვევაში. საქონელი და მომსახურება, რომელსაც დამქირავებელი აწვდის მუშაკებს მუშაობის ანაზღაურების მიზნით, მიეკუთვნება მუშაობის ანაზღაურებას ნატურალური სახით.

საოჯახო მეურნეობებს შეუძლიათ მიიღონ სოციალური დახმარებები დანარჩენი მსოფლიოსგან, მაგალითად, პენსიები საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და ა.შ.

საქართველოში სოციალური დახმარებები აერთიანებენ პენსიების და დახმარებების შემდეგ სახეობებს: პენსიები ასაკის გამო; პენსიები და დახმარებები სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს; პენსიები ინვალიდობის გამო, მარჩენალის დაკარგვის გამო; სოციალური პენსიები; დახმარებები დროებითი შრომისუუნარობის გამო, საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების დროს; უმუშევრობის გამო; ფეხმძიმობისა და მშობიარობის; დახმარებები ბავშვებისთვის ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან, ბავშვობიდან ინვალიდებისთვის, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს და სხვა. ამ პენსიებს და დახმარებებს მოსახლეობა ღებულობს ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტიდან, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და საქველმოქმედო ფონდებიდან. (წყარო: საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ)

სოციალური დახმარებების შემადგენლობაში გამოყოფენ: სოციალური დაზღვევის შემწეობები (დახმარებები) და სოციალური დახმარების შემწეობები.

2.1.2. სადაზღვევო ანაზღაურება (გარდა სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურებისა), რომელსაც ღებულობენ საოჯახო მეურნეობები საკუთრების, პირადი და სხვა სახის დაზღვევით იმ მოვლენის დადგომისას, რომლის გამოც იყო წარმოებული დაზღვევა. ისინი არ გულისხმობენ სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურებას და სოციალური დახმარებების (პენსიები) გაცემას, რომლებსაც აწარმოებს სადაზღვევო კომპანიები.

2.2. გადახდილი მიმდინარე ტრანსფერტები – მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, საკუთრებაზე, ანარიცხები სადაზღვევო პრემიებზე და სხვა.

2.2.1. მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, საკუთრებაზე და სხვ. – წარმოადგენს გადასახადებს, რომლებსაც რეგულერულად იხდიან ინსტიტუციონალური ერთეულები (მათ შორის საოჯახო მეურნეობები) მოგების და სხვა შემოსავლების, საკუთრების ფლობის, საქონლის გამოყენებასა და სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით. ისინი არ გულისხმობენ პროცენტებს, ჯარიმებს და საურავს, რომელთა აღებაც ხდება გადასახადების გადაუხდელობის ან დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში.

2.2.2. დაქირავებული მუშაკების მიერ საკუთარი ხელფასიდან გაკეთებული შენატანები სოციალურ დაზღვევაზე; თვითდასაქმებული და არადასაქმებული პირების მიერ წარმოებული შენატანები სოციალურ დაზღვევაზე. მოცემული ანარიცხები განიხილებიან როგორც მიმდინარე ტრანსფერტები, რომლებსაც

იხდიან საოჯახო მეურნეობები სადაზღვევო კომპანიებს ან დამქირავებლებს (რეალურ ან პირობით სოციალურ ფონდებში) სოციალური დახმარებების მიღების მიზნით.

2.2.3. წმინდა სადაზღვევო პრემიები – საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული ნებაყოფლობითი შენატანები სადაზღვევო კომპანიებში საკუთრების, პირადი და სხვა სახის დაზღვევის მიზნით. მათ უწოდებენ წმინდას, რადგანაც ისინი ასახულია მიმდინარე ტრანსფერტების შემადგენლობაში მათი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიების მომსახურების ანაზღაურებას.

2.2.4. სხვა მიმდინარე ტრანსფერტები, საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული და წარმოებული, გულისხმობენ ასევე მიმდინარე ტრანსფერტებს არაკომერციულ ორგანიზაციებში, რომლებიც საოჯახო მეურნეობების მომსახურეობაში არიან, მიმდინარე ტრანსფერტები საოჯახო მეურნეობებს შორის, ჯარიმები და საურავი, კომპენსაციის გადახდა და სხვა მიმდინარე ტრანსფერტები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი არაა.

მიმდინარე ტრანსფერტები საოჯახო მეურნეობებს შორის – ფულადი გადარიცხვები და საჩუქრები (გარდა საჩუქრებისა ნატურალური სახით) საოჯახო მეურნეობა-რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

ჯარიმები და საურავი – სავალდებულო გადასახადები, რომლებსაც იხდიან საოჯახო მეურნეობები სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე კანონების, წესების, ხელშეკრულების პირობების, კონტრაქტების დარღვევის, ზარალის მიყენების და სხვათა გამო. მათი გადახდა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. მათ განეკუთვნებათ თანხები, რომლებსაც აზღვევინებენ დანაშაულის ჩადენასა და მატერიალური ღირებულებების დანაკლისში დამნაშავე პირებს; ადმინისტრაციული ჯარიმები და სხვა სანქციები, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებული ჯარიმების ჩათვლით.

კომპენსაციის გადახდასა და სხვა მიმდინარე ტრანსფერტებს, რომლებიც ზემოხსენებულ მუხლებში ნახსენები არაა, განეკუთვნებიან: საწარმოს მიერ წარმოებული ერთდროული მატერიალური დახმარება მუშაკებს, რომელიც არ განეკუთვნება სოციალურ დახმარებას; სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაცია, რომელსაც საწარმო უხდის მუშაკებს მორალური ზარალისთვის; კომპენსაციის გადახდა პირებისთვის, რომლებიც დაზარალდნენ საომარი მოქმედებებისგან, კატასტროფებისგან და ა.შ. ლტოლვილებისა და იძულებით

გადაადგილებული პირებისთვის დახმარების აღმოსაჩენი ხარჯები; მოსახლეობის შენატანები სამომხმარებლო კოოპერაციაში. კაპიტალური ხასიათის ქონების (მაგალითად, საცხოვრებელი) დაკარგვის გამო კომპენსაციის გადახდა მოცემულ მუხლს არ განეკუთვნება და განიხილება როგორც კაპიტალური ტრანსფერტები.

3. ერთობლივი შემოსავალი = 1 + 2 – შემოსავალი, რომელსაც საოჯახო მეურნეობები ღებულობენ გადანაწილების შედეგად, რომელიც შემდგომში გამოიყენება მათ მიერ საბოლოო მოხმარებასა და დანაზოგზე. ის ახასიათებს საოჯახო მეურნეობების შესაძლებლობებს დააფინანსონ მათ მიერ საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარება და განახორციელონ დანაზოგი.

4. სოციალური ტრანსფერტები ნატურალური ფორმით – ინდივიდუალური არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომლებსაც მოსახლეობას სთავაზობს სახელმწიფო მართვის ორგანოები. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს შემოსავლების გადანაწილებას, რომელიც ხორციელდება არაფულადი ფორმით, არამედ მოსახლეობისთვის საქონლისა და სოციალურ-კულტურული მომსახურების (ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის და ა.შ.) უსასყიდლოდ შეთავაზების გზით იმ დაწესებულებების მიერ, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე და სხვადასხვა არასახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ (პროფკავშირები, რელიგიოზური, საქველმოქმედო ორგანიზაციები); აქვე გათვალისწინებულია ის უსასყიდლო მომსახურება, რომელსაც სთავაზობენ საწარმოების და ორგანიზაციების სოციალურ-კულტურული ქვედანაყოფები თავიანთ მუშაკებს და მათი ოჯახის წევრებს. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მოსახლეობისთვის ნატურალური ფორმით სოციალური ტრანსფერტების შეთავაზება მიმართულია მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე (მაგალითად, ჯანდაცვის, განათლების და სხვა მომსახურება), ამ დაწესებულებების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიზნების შესაბამისად. ნატურალური ფორმით სოციალური ტრანსფერტები შედგებიან ორი ნაწილისგან: სოციალური დახმარებები ნატურალური ფორმით და ინდივიდუალური არასაბაზრო საქონელი და მომსახურება.

4.1. სოციალური დახმარებები ნატურალური ფორმით გულისხმობენ სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, რომლებსაც სახელმწიფო დაწესებულებები იძენენ საბაზრო მწარმოებლებთან საოჯახო მეურნეობებისთვის გადასაცემად.

4.2. ინდივიდუალური არასაბაზრო საქონლის და მომსახურების ტრანსფერტები წარმოადგენენ მოსახლეობისთვის სახელმწიფო დაწესებულებების მიერ უსასყიდლოდ შემოთავაზებული მომსახურებისა და საქონლის ღირებულებას.

5. ერთობლივი შემოსავალი კორექტირებული სახით = 3 + 4 ასახავს მოსახლეობის მიერ შემოსავლების გადანაწილების პროცესის შედეგად მიღებულ საერთო სიდიდეს, ნატურალური ფორმით შემოსავლების ჩათვით.

6. ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე განისაზღვრება, როგორც საოჯახო მეურნეობა-რეზიდენტების ხარჯები სამომხმარებლო საქონელსა და მოსმახურებაზე, რომლებიც ფინანსირდება მათი ერთობლივი შემოსავლებიდან. მათ განეკუთვნებათ: ხარჯები სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე; შრომის ანაზღაურების სახით ნატურალური ფორმით, საჩუქრებით და ა.შ. მიღებული საქონლისა და მომსახურების მოხმარება; საოჯახო მეურნეობების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის წარმოებული საქოლისა და მომსახურების მოხმარება (მომსახურების მხრიდან ეს მიესადაგება მხოლოდ საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრების და ფასიანი შიგა მოსამსახურის მომსახურებას).

საოჯახო მეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე უნდა ითვალისწინებდეს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ შეძენილ საქონელსა და მომსახურებას (მაგალითად, მივლინების, ტურისტული მოგზაურობის დროს) და გამორიცხავდეს რეზიდენტების ანალოგიურ შენაძენს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე. საოჯახო მეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე განისაზღვრება ფაქტიური საზღაურის ოდენობით სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც წარმოებულია მათი შემოსავლების ხარჯზე.

7. ფაქტიური საბოლოო მოხმარება = 6 + 4 – დაფინანსების წყაროსგან დამოუკიდებლად საოჯახო მეურნეობა-რეზიდენტების მიერ საბოლოო მოხმარებისთვის შეძენილი ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ის გულისხმობს საოჯახო მეურნეობების ხარჯებს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე; სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომლებსაც საოჯახო მეურნეობა ღებულობს სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან უსასყიდლოდ სოციალური ტრანსფერტების სახით ნატურალური ფორმით.

8. დანაზოგი = 3 – 6 ან 5 – 7 – საოჯახო მეურნეობის ერთობლივი შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება საბოლოო მოხმარებაზე ხარჯების

გამოკლებისას (ან შესაბამისად შესწორებული სახით ერთობლივი შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება ფაქტიური საბოლოო მოხმარების გამოკლების შემდეგ). დანაზოგი წარმოადგენს ბალანსირებულ მუხლს საოჯახო მეურნეობების ერთობლივი შემოსავლების და შესწორებული ანუ კორექტირებული სახით ერთობლივი შემოსავლების გამოყენების ანგარიშებში”. (ნაზაროვი 2002:586):

## 1.3 სტატისტიკური დაკვირვება, როგორც მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ინფორმაციული წყარო

მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სტატისტიკური გამოკვლევის სტადიებიდან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სტატისტიკურ დაკვირვებას.

სტატისტიკური დაკვირვება სტატისტიკური კვლევის პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია. მის სწორად და მაღალორგანიზებულად ჩატარებაზეა დამოკიდებული სტატისტიკური საქმიანობის შედეგების სისწორე.

სტატისტიკური დაკვირვება, როგორც სოციალური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი, სოციალურ მოვლენებისა და პროცესების შესახებ მიზანმიმართულ, სისტემურ, უშუალო გამოვლენასა და დაფიქსირებას გულისხმობს. სტატისტიკური დაკვირვება შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების ამსახველი მასობრივი პირველადი მონაცემების გეგმაზომიერი, მეცნიერულად ორგანიზებული შეგროვებაა. დაკვირვება გარკვეულ შემეცნებით მიზნებს ემსახურება და ექვემდებარება კონტროლსა და შემოწმებას.

სტატისტიკური დაკვირვება სამ ძირითად ეტაპს მოიცავს: მომზადება, მასალის შეგროვება და მიღებული მასალის სიზუსტის ხარისხის კონტროლი.

განასხვავებენ დაკვირვების სამ ორგანიზაციულ ფორმას – ანგარიშგებას, სპეციალურად ორგანიზებულ სტატისტიკურ დაკვირვებასა და სარეგისტრაციო დაკვირვებას. მოვლენათა შესახებ ინფორმაციის მიღების საფუძველსა და ინფორმაციის პირველად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებში წარდგენილი სტატისტიკური ანგარიშგებები. მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემებთა მისაღებად უფრო ხშირად სტატისტიკური დაკვირვების სპეციალურად ორგანიზებულ სახეებს მიმართავენ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული შერჩევითი და სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, რომლებიც უკანასკნელ წლებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა სტატისტიკური მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. იგი საჭიროა სოციალურ მოვლენათა და პროცესთა შესახებ უფრო ვრცელი და შინაარსიანი ინფორმაციის მისაღებად, რომლებიც არასაკმარისად ან საერთოდ არ აისახება სტატისტიკურ ანგარიშგებებში.

ამასთან ანგარიშგებანი გამარტივდა და საწარმოთა გამოკვლევები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული მხოლოდ ორი ფორმა მოქმედებს. პირველი ფორმა განკუთვნილია ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსათვის განურჩევლად ეკონომიკური საქმიანობის სახეობისა, საკუთრების ფორმისა და საწარმოს ზომისა. მეორე ანგარიშგებითი ფორმა გათვალისწინებულია იმ ინდივიდუალური საწარმოებისათვის, რომლებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას. იმ ფაქტორების გამო, როგორიცაა ყოველთვიური ანგარიშგებების ფორმების გაუქმება, ანგარიშგების ფორმაში მაჩვენებელთა სიმცირე და სხვა, საჭიროს ხდის მონაცემთა მიღება წარმოებდეს სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების მეშვეობით. მაგალითად, მოსახლეობის აღწერები, მოსახლეობის შემოსავლებისა დანახარჯების კვლევა ყოველწლიური შინამეურნეობათა კვლევის საშუალებით და სხვა.

სარეგისტრაციო დაკვირვება, რომელიც მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შეემატა დაკვირვების ორგანიზაციულ ფორმებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე პროცესებზე უწყვეტი სტატისტიკური დაკვირვების ფორმაა და გააჩნია ფიქსირებული დასაწყისი, განვითარების სტადია და ფიქსირებული დასასრული. იგი ეფუძნება სტატისტიკური რეგისტრის წარმოებას, რომელიც ისეთი სისტემაა, სადაც მუდმივად ხდება დაკვირვების ერთეულის მდგომარეობაზე სპეციალურ დაკვირვება და შესასწავლ მაჩვენებლებზე სხვადასხვა ფაქტორთა გავლენის შეფასება. მასში დაკვირვების თითოეული დასაკვირვებელი ერთეული მაჩვენებელთა ერთობლიობით ხასიათდება. მათგან ერთი ნაწილი უცვლელი რჩება მთელი დაკვირვების განმავლობაში და რეგისტრირდება ერთხელ, სხვა მაჩვენებლები, რომელთა ცვლილების პერიოდულობა უცნობია, განახლდება ცვლილების შესაბამისად, მესამენი კი გვევლინება დინამიკური მწკრივების მაჩვენებლების ფორმით. ყველა მაჩვენებელი ინახება გამოსაკვლევი ერთობლიობის ერთეულებზე დაკვირვების სრულ დამთავრებამდე.

მოსახლეობის რეგისტრი, როგორც სარეგისტრაციო დაკვირვების ერთ-ერთი ფორმა, ქვეყნის მოსახლეობის სახელდებითი და რეგულარულად განახლებადი ჩამონათვალია, რომლის დაკვირვების პროგრამა შეზღუდულია ისეთი საერთო ნიშნებით, როგორიცაა – სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ქორწინების

თარიღი, რომლებიც უცვლელია დაკვირვების მთელი პერიოდისათვის, ხოლო ქორწინებრივი მდგომარეობა – ცვალებადი ნიშანია. როგორც წესი, რეგისტრში შენახულია მხოლოდ ის ცვალებადი ნიშნები, რომელთა ცვლილება დოკუმენტალურადაა გაფორმებული. მასში შეიტანება ინფორმაცია თითოეულ დაბადებულსა და იმიგრანტზე და ამოიღება მონაცემები გარდაცვლილსა და ემიგრანტზე. მოსახლეობის რეგისტრის შევსება მიმდინარეობს ქვეყნის ცალკეული რეგიონის მიხედვით. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ ცნობები გადაეცემა შესაბამის ტერიტორიულ რეგისტრებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის რეგისტრი, როგორც ნებისმიერი რეგისტრი, მოიცავს ერთეულთა მნიშვნელოვან ერთობლიობაზე დაკვირვების შედეგს და შეიცავს მონაცემებს ნიშანთა შეზღუდული რიცხვის შესახებ. რეგისტრების წარმოება ითვალისწინებს სპეციალური გამოკვლევის ჩატარებას, მათ შორის მოსახლეობის აღწერას.

სტატისტიკური დაკვირვების სახეებიდან, ერთობლიობის ერთეულთა მომცველობის ხარისხის მიხედვით, სოციალურ სტატისტიკაში გამოიყენება სრული და არასრული დაკვირვება. სრული დაკვირვების დროს შეისწავლება ერთობლიობის ყველა ერთეული, ხოლო არასრულისას მისი გარკვეული ნაწილი. არასრული დაკვირვება ოთხი სახისაა: შერჩევითი დაკვირვება, ძირითადი მასივის მეთოდი, მონოგრაფიული დაკვირვება, ანკეტური გამოკვლევა. სტატისტიკური დაკვირვება შეიძლება იყოს უწყვეტი (სისტემატური, მიმდინარე) და წყვეტილი (პერიოდული, ერთდროული) დაკვირვებები.

სოციალურ-სტატისტიკურ გამოკვლევებში ძირითადად გამოიყენება არასრული დაკვირვება, რომლის მნიშვნელოვანი სახეა შერჩევითი. იგი მოვლენების შესწავლის ყველაზე სრულყოფილი სახეა.

შერჩევითი დაკვირვების დროს გამოირიცხება გენერალური ერთობლიობიდან წინასწარგანსაზღვრულ ერთეულთა შერჩევა და შერჩევაც შემთხვევით ხასიათს ატარებს. შერჩევა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მიღებულ იქნეს რაც შეიძლება სრულად ასახული შესასწავლი მოვლენები და ნიშნები რეპრეზენტატულობის მინიმალური შეცდომებით.

შერჩევა ორი სახისაა: განმეორებითი და განუმეორებელი. განმეორებით შერჩევაში გამორიცხული არ არის ერთი და იგივე დაკვირვებაში დაკვირვების ერთეულის ხელახალი მოხვედრა. ასეთი შერჩევის დროს ადგილი აქვს რეპრეზენტატულობის შეცდომებს. განუმეორებელი შერჩევის დროს შერჩეული

ერთეული მხოლოდ ერთხელ შეირჩევა, რაც ამცირებს გენერალური ერთობლიობის შემადგენლობას და ყოველი მომდევნო ერთეულის შერჩევაში მოხვედრის ალბათობას წინასთან შედარებით. ასეთი შერჩევა უფრო ზუსტ შედეგს იძლევა, ვიდრე განმეორებითი შერჩევა, რადგან არარეპრეზენტატული ერთეული შესწავლის შემდეგ კვლავ ბრუნდება ერთობლიობაში, რაც კიდევ უფრო გაადიდებს დაშვებული შეცდომების რიცხვს. ამასთან, სოციალური მოვლენების უმეტეს ნაწილზე შეუძლებელია განმეორებითი დაკვირვების ჩატარება.

სოციალურ-სტატისტიკური კვლევების დროს გენერალური ერთობლიობიდან ერთეულთა შერჩევა წარმოებს ინდივიდუალური და სერიული წესით. ინდივიდუალურის დროს შეირჩევა ცალკეული ერთეულები, ხოლო სერიულის დროს – მთელი სერიები, პარტიები. შერჩევითი ერთობლიობები იქმნება შერჩევის პროცესში, რაც საშუალებას იძლევა კვლევის ამოცანებიდან, მასობრივ მოვლენათა და რიგ კონკრეტულ პირობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, გენერალური ერთობლიობიდან დაკვირვების ერთეულის შერჩევისათვის სხვადასხვა მეთოდი იქნას გამოყენებული.

მარტივი შემთხვევითი შერჩევა ხორციელდება მთელი ერთობლიობიდან დაკვირვების ერთეულის შერჩევის ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი ალბათობის პრინციპის საფუძველზე. ამასთან შერჩევის ერთეული ემთხვევა დაკვირვების ერთეულს. იგი არ ატარებს ქაოსურ ხასიათს. გენერალური ერთობლიობიდან შერჩევით ერთობლიობაში დაკვირვების ერთეულის მოხვედრის თანაბარ შესაძლებობათა პრინციპი ალბათობის თეორიის კლასიკურ მოდელს უნდა დაემთხვეს.

შემთხვევით შერჩევას ზოგჯერ საკუთრივ-შემთხვევითსაც უწოდებენ. რადგან საკუთრივ-შემთხევითი შერჩევისათვის საჭიროა გენერალური ერთობლიობის ყველა ერთეულის სრული ჩამონათვალი, ხოლო ერთობლიობის ერთეულები შეიძლება კენჭისყრამდე წარმოიქმნას ან გაქრეს, ეს მეთოდი სოციალურ სტატისტიკაში იშვიათად გამოიყენება.

ამასთნ, ორივე ხერხს საერთო ნაკლი გააჩნია: ისინი წარმატებულად მხოლოდ 800-1000-ზე მეტი ერთეულის გენერალური ერთობლიობისათვის შეიძლება გამოვიყენოთ. ერთეულთა რიცხვის გაზრდის შემთხვევაში ამ ხერხის გამოყენება ძალზე შრომატევადია. ამიტომ უფრო მოხერხებულია მექანიკური შერჩევის

მეთოდის გამოყენება, ერთგვაროვანი  და რაიმე ნიშნის მიხდვით დალაგებული გენერალური ერთობლიობის შემთხვევაში. თავისი ბუნებით ის  განუმეორებელი შერჩევაა, რადგან ერთხელ შერჩეული ერთეულები აღარ უბრუნდება გენერალურ ერთობლიობას და აღარ მონაწილეობს ახალ შერჩევაში. ამ ხერხის გამოყენებისათვის წარმოებს გენერალური ერთობლიობის ყველა ელემენტის ერთიანი სიის შედგენა, საიდანაც თანაბარი ინტერვალებით შეირჩევა რესპონდენტთა შესაბამისი რიცხვი. ამასთან, წინასწარ განისაზღვრება ერთეულთა ამორჩევის პროპორცია, რომელიც გაიანგარიშება შერჩევითი და გენერალური ერთობლიობის ერთეულთა ურთიერთშეფარდებით.

შესასწავლ მოვლენათა ერთობლიობის სპეციფიკურ თავისებურებათა და კვლევის ამოცანების გათვალისწინებით მექანიკური შერჩევა შეიძლება სიების, ტერიტორიული უბნების, დროისა და პერიოდების მიხედვით. ამასთან, ტერიტორიული შერჩევა შეიძლება განხორციელდეს წერტილების, კვადრატების, სწორი კუთხეების, ხაზების მიხედვით.

მექანიკური შერჩევის სახესხვაობას წარმოადგენს სისტემატური ან როგორც მას უწოდებენ რანჟირებული შერჩევა, რომლის დროსაც შერჩევა ხდება შესასწავლი მონაცემების ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით მოწესრიგებული ერთობლიობიდან ერთეულთა მექანიკური შერჩევით, რაც ნაკლებ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მოუწესრიგებელი ერთობლიობიდან მარტივი შერჩევა.

ზუსტია და მოსახერხებელი – სერიული შერჩევის ხერხი, რომლის დროსაც გენერალური ერთობლიობა მოცემული ნიშნის მიხედვით შეიძლება დავყოთ ერთგვაროვან ნაწილებად – სერიებად, შერჩევა კი განხორციელდეს თითოეული სერიიდან ცალ-ცალკე. იგი განუმეორებელი შერჩევაა. ამასთან სერიიდან შერჩეულ ერთეულთა რიცხვი მასში არსებულ ერთეულთა საერთო რიცხვის პროპორციულია,

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ე.წ. ბუდობრივი შერჩევის ხერხი., რომელიც კვლევის ერთეულად მიიჩნევს არა ცალკეული ერთეულებს, არამედ ჯგუფების შერჩევას და შერჩეულ ჯგუფებში სრულ გამოკითხვას.

კარგ შედეგებს იძლევა ტიპური შერჩევის ხერხი, რომლის გამოყენების დროსაც გენერალური ერთობლიობა წინასწარ დაიყოფა  ჯგუფებად – რაიონებად, სადაც ყოველი მათგანი რაიმე მიმართებაში არსებითად

ერთგვაროვანია. ამიტომ ასეთი დაყოფა უნდა განხორციელდეს არსებითი ნიშნის ან ნიშნების მიხედვით. შემდეგ კი მოხდეს შერჩევა ჩვეულებრივ შემთხვევითი ან სხვა ხერხით თითოეული ქვეჯგუფიდან ცალ-ცალკე. მისი სწორად ჩატარება მოითხოვს გენერალური ერთობლიობის გულმოდგინედ შესწავლას; თითოეული ტიპური ჯგუფიდან ჯგუფების სიდიდის პროპორციული ერთეულების რაოდენობისა და ყველა ქვეჯგუფისათვის საჭირო შერჩევის ერთნაირი პროცენტის დადგენას.

სოციალურ დაკვირვებათა სპეციფიკა მოითხოვს მომენტურ დაკვირვებას ანუ დროში დაკვირვებას. ამ შემთხვევაში შერჩევითი ერთობლიობის ყველა ერთეულის მდგომარეობა ფიქსირდება დროის ერთიანი, გარკვეული მომენტისათვის.

რეალიზების ფორმის მიხედვით განასხვავებენ ერთსაფეხურიან და მრავალსაფეხურიან შერჩევებს. ზემოთ განხილული მეთოდები ერთსაფეხურიანი შერჩევის მაგალითებს წარმოადგენს. მრავალსაფეხურიანი შერჩევები რამდენიმე საფეხურად ხორციელდება და თითოეულ მათგანზე ერთი ან რამდენიმე მეთოდი გამოიყენება. პირველ რიგში შეირჩევა მსხვილი ტერიტორიული ან საწარმოო ქვედანაყოფები (ადამიანთა მოღვაწეობის სფეროები და ა.შ.). შემდეგ უფრო მცირე მასშტაბის დანაყოფები (ქალაქები, საწარმოები და ა.შ.), ხოლო ბოლო საფეხურზე ხორციელდება შერჩეულ ერთეულებზე ან სერიებზე უშუალოდ დაკვირვება. პირველ საფეხურზე გამოიყენება ბუდობრივი შერჩევა, საიდანაც შერჩევა უკვე შემთხვევითი ხერხით წარმოებს. სოციალურ-სტატისტიკური კვლევები ძირითადად ემყარება 3-5 საფეხურიან შერჩევას. ამასთან, რაც მეტია საფეხურები, მით მეტია შერჩევის შეცდომა.

სოციალურ გამოკვლევებში ასევე გამოიყენება ერთჯერადი და მრავალჯერადი შერჩევა. ერთჯერადი შერჩევა ყველაზე მარტივია, რადგან დაკვირვების ერთეულები გენერალური ერთობლიობიდან შეირჩევა ერთხელ შერჩევის ამა თუ იმ მეთოდის საფუძველზე დადგენილი პროცენტით (10%-იანი, 20%-იანი შერჩევა და ა.შ.).

მრავალჯერადი შერჩევა, როგორც მრავალსაფეხურიანი შერჩევის ნაირსახეობა, უფრო რთულია და მისი ჩატარებისათვის პირველ რიგში შერჩევა წარმოებს გენერალური ერთობლიობიდან, რომლის შედეგებით განისაზღვრება საჭირო მონაცემები. სხვა მახასიათებელთა მისაღებად შერჩეული

მონაცემებიდან კეთდება მეორედ შერჩევა – ქვეშერჩევა და ა. შ. შერჩევის ასეთი ხერხი გამოიყენება მაშინ, როცა მოცემულ გამოკვლევაში შერჩევის აუცილებელი რიცხოვნობა სხვადასხვა მახასიათებლისათვის განსხვავებულია.

შემთხვევით (ალბათურ) შერჩევასთან ერთად სოციალურ-სტატისტიკურ კვლევებში გამოიყენება აგრეთვე მიზანმიმართული შერჩევა, რომელიც ხორციელდება სტიქიური შერჩევის, კვოტური შერჩევისა და ძირითადი მასივის მეთოდის მიხედვით.

სტიქიური შერჩევის მეთოდი გამოიყენება რადიოთი, ტელევიზიით ან პრესაში გამოქვეყნებული ანკეტებით გამოკითხვის დროს. მოცემულ შემთხვევაში წინასწარ არ შეიძლება მასივის სტრუქტურის განსაზღვრა, გენერალური ერთობლიობიდან ჩვენთვის საინტერესო ჯგუფების პროპორციულად მიღება. ამიტომ, როგორც წესი, კვლევის დასკვნები მხოლოდ გარკვეული ერთობლიობით ვრცელდება. სწორედ ეს არის შერჩევის ამ წესის ნაკლი.

ყველაზე უფრო ზუსტი და ფართოდ გამოყენებული მეთოდია – კვოტური შერჩევა, რომელიც სამართლებრივ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ინტერვიუს მეშვეობით ხორციელდება. იგი წარმოადგენს უპირატესად სოციალურ-დემოგრაფიული ხასიათის ელემენტთა გენერალური ერთობლიობის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფორმულირებული სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტის მიკრო მოდელს. სოციალური სტატისტიკის სხვა დარგებში კვოტური მეთოდი, რომელიც წინასწარ მონაცემებს მოითხოვს გენერალურ ერთობლიობას და მონაცემთა შერჩევის გამო სირთულეებით ხასიათდება, ძალზე იშვიათად გამოიყენება.

კვოტური შერჩევის დროს, შერჩევითი ერთობლიობის ერთეულთა რიცხვი, რომელსაც საჭირო მონაცემები ახასიათებს, უნდა შეესაბამებოდეს მათ წილს გენერალურ ერთობლიობაში. ამ მიზნის მისაღწევად დგება ე.წ. „გაანგარიშებითი ცხრილები", რომლებშიც არჩეულ ნიშანთა რაოდენობა ოთხს არ აღემატება. „ფიქსირებულ" ნიშანთა დიდი რიცხვის დროს რესპონდენტთა შერჩევა ძალზე შრომატევადია და ინტერვიუერთა მუშაობა კი რთული, რაც საბოლოოდ ზრდის სისტემატური შეცდომების დაშვების ალბათობას. კვოტები შეიძლება მოცემული იყოს როგორც დამოუკიდებელი, ასევე ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების მიხედვით.

სოციალურ სტატისტიკაში მონაცემთა მოსაპოვებლად ხშირად მიმართავენ დოკუმენტურ დაკვირვებას, რომლის დროს, როგორც წესი, ხდება გამოსაკვლევი ობიექტის ქცევის აქტების დაფიქსირება, რომელსაც განსაზღვრავს გარემო და არა დამკვირვებელი. დოკუმენტები სხვადასხვა სისრულით ასახავენ საზოგადოების სულიერი და მატერიალური ცხოვრების მხარეებს. დოკუმენტებს წარმოადგენენ არა მხოლოდ საანგარიშო მონაცემები, არამედ ბეჭდვითი გამოცემებიც, აუდიო-ფონო ჩანაწერები, სახელმწიფო და ცენტრალური არქივის მასალები, კვლევისათვის სპეციალურად შედგენილი ანკეტები, კითხვარები, კადრების განყოფილების სიები, ამომრჩეველთა სიები, ტელე და რადიოგადაცემები, კრებათა ოქმები, პრესის მასალები და სხვა.

„სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების მოპოვების მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს გამოკითხვა. ცოდნის ყველა სფეროში, რომლის შესახებაც დამკვირვებელი ცდილობს მიიღოს ინფორმაცია, იგი ამ მეთოდის სხვადასხვა მოდიფიკაციას აწყდება. მიუხედავად ამ მეთოდის პოპულარობისა, იგი არ შეიძლება სოციალური ინფორმაციის მიღების უნივერსალურ მეთოდად ჩაითვალოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირველადი ინფრმაციის მოპოვებისას ამ მეთოდს სხვადასხვა დატვირთვა აქვს. გამოკითხვით მიღებული მონაცემები გამოიყენება განზოგადებული სოციალურ-სტატისტიკური მაჩვენებლების მისაღებად საზოგადოების ცხოვრების წესზე ან სხვა მეთოდით მიღებული ინფორმაციის შესამოწმებლად.

გამოკითხვა, როგორც პირველადი ვერბალური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი ემყარება დამკვირვებელსა და რესპონდენტს შორის უშუალო ან გაშუალებულ ურთიერთქმედებას." (სოციოლოგის სამუშაო წიგნი 1977:378) დამკვირვებელი ერევა რესპონდენტის ქცევაში, გამოკითხვას წარმართავს საჭირო გზით და ამ დროს გაწეული ზემოქმედება აისახება კვლევის შედეგებზე. გამოკითხვები საშუალებას იძლევა ინფორმაცია მიღებულ იქნას შედარებით სწრაფად და იაფად. გამოკითხვათა შედეგები უნდა გადამოწმდეს და შეივსოს დოკუმენტების ანალიზით ან სხვა სოციალური ინფორმაციით, დაკვირვებებით, საქმიანობის შესწავლის შედეგებით.

არსებობს გამოკითვის მეთოდის ორი დიდი და ძირითადი კლასი: ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ. სოციალურ-სტატისტიკური კვლევების პრაქტიკაში ანკეტირება გამოკითხვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეა. აქ დამკვირვებელსა და რესპონდენტს შორის ურთიერთობა ხორციელდება ანკეტის

მეშვეობით. თავის მხრივ ანკეტა კითხვათა სისტემაა, რომელსაც ერთიანი საკვლევი ჩანაფიქრი აერთიანებს და მიმართულია საკვლევი ობიექტისა და ანალიზის საგნის შესახებ რაოდენობრივ-თვისებრივი მაჩვენებლების მიღებისაკენ.

ანკეტირება შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ინდივიდუალური ანკეტირების დროს კითხვარები დგინდება წინასწარ შეთანხმებულ დროს სამუშაო ადგილის ან საცხოვრებლის მიხედვით.

ჯგუფური გამოკითხვა გამოკითხვის მეთოდის ყველაზე პოპულარული სახესხვაობაა. მასში იგულისხმება ერთდროული, ინდივიდუალური ანკეტირების მეთოდი, როცა ანკეტები ურიგდება ერთ ადგილას თავმოყრილ ადამიანთა ჯგუფს, სადაც ანკეტორი მუშაობს რამოდენიმე კაციან ჯგუფთან.

ინტერვიუ – გამოკითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომლის დროსაც მონაცემთა მიღება ხდება გარკვეული პროგრამის მიხედვით, რესპონდენტისა და ინტერვიუერის პირადი ურთიერთობის გზით. ინტერვიუს ორი ფუნქცია აქვს: პროცესების, ფაქტების, მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღება და რესპონდენტზე ზემოქმედება. ჩვენთვის საინტერესოა პირველი ფუნქცია.

ინტერვიუს მეთოდის პოპულარობა სტატისტიკურ კვლევაში ძალზე მაღალია. იუნესკოს მონაცემებით მისი გამოყენების სიხშირე კვლევის მეთოდებს შორის პირველ ადგილზეა, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. რესპონდენტთა შეხედულებებზე, მოტივებზე, აზრებზე ღრმა ინფორმაციის მიღება;
2. ინტერვიუირების სიტუაცია ხელს უწყობს უშუალო სიტუაციის აღმოცენებას;
3. საშუალება იქმნება რესპონდენტის ფსიქოლოგიურ რეაქციაზე დაკვირვებისა;
4. ინტერვიუერის კონტაქტი რესპონდენტთან კითხვარის შემეცნებითი ამოცანის სრულად რეალიზების საშუალებას იძლევა;
5. ურთიერთობის ვერბალური ხასიათი ხსნის კითხვების არათანმიმდევრულობის აღქმის პრობლემას.

ამ მეთოდს ნაკლიც გააჩნია: მოითხოვს დიდ მატერიალურ და დროით დანახარჯებს და რთულია თვით ინტერვიუერების მომზადებაც.

გამოკითხვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის დროს ინტერვიუს თავისებურებანი სხვადასხვანაირად გამოვლინდება.

ინტერვიუ სამუშაო ადგილის, დასაქმების მიხედვით ანუ სამსახურეობრივ ადგილზე ძალზე მიზანშეწონილია, როცა ხდება საწარმოო ან სასწავლო კოლექტივების შესწავლა, ხოლო კვლევის ობიექტი დაკავშირებულია საწარმოო ან სასწავლო საქმეებთან.

ინტერვიუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვითე მოხერხებულია იმ დროს, როცა კვლევის საგანი არაოფიციალურ ატმოსფეროს მოითხოვს. საოჯახო ატმოსფეროში ადამიანს მეტი დრო აქვს, ურთიერთობებიც ნაკლებად ოფიციალურია. ამასთან, ინტერვიუს პროცესში ყოველთვის სჯობს გამოვრიცხოთ “მესამე” პირი.

პირველადი სოციალური ინფორმაციის ისეთი ფორმები, როგორიც არის ანკეტირება, ინტერვიუ, საფოსტო (პრესით) გამოკითხვა, სატელეფონო ინტერვიუ, გამიზნულია მასობრივი გამოკითხვებისათვის. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მიმართულია ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც ასახავს რესპონდენტთა ცოდნას, დამოკიდებულებას, ფასეულობებს და განწყობებს მოვლენებისადმი, სინამდვილისადმი.

პრაქტიკაში ხშირია სიტუაცია, როცა რაიმე მოვლენის შესაფასებლად ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია ობიექტის გამოყოფა და ინფორმაციის წყაროს სახით მისი გამოყენება. ყველაზე ხშირად ასეთი სიტუაციები დაკავშირებულია ამა თუ იმ მოვლენის, პროცესის ცვლილების პროგნოზირებასთან. მსგავსი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ მხოლოდ საექსპერტო გამოკითხვის შედეგად, კომპეტენტურ პირთაგან – ექსპერტებისაგან, რომელთაც ღრმა ცოდნა აქვთ კვლევის საგანსა და ობიექტზე. საექსპერტო გამოკითხვა – როგორც გამოკითხვის მეთოდის განსაკუთრებული სახე მიმართულია ჰიპოთეზების დასაზუსტებლად, პროგნოზების შესამუშავებლად და გარკვეულ სოციალურ მოვლენათა და პროცესთა ინტერპრეტაციის შესავსებად. მათი თავისებურება ის არის, რომ აქ დომინირებს ღია ფორმულირებები, ხოლო დახურული კითხვები განკუთვნილია სიმტკიცის დონის შესაფასებლად, უკვე გამოთქმული მოსაზრებების განსამტკიცებლად ან უარსაყოფად. იგი კომპეტენტური სპეციალისტების – მეცნიერთა ან პრაქტიკოს-ექსპერტთა ხელში, რომლებიც შეფასებისათვის ქულათა სისტემას იყენებენ, სოციალური ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საექსპერტო გამოკითხვა შედარებით მარტივია და რეკომენდირებულია სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისას. იგი გამოიყენება სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური სამუშაოების რეცენზირებისათვის, ლექციათა შესაფასებლად და ა.შ.

საექსპერტო გამოკითხვის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს „დელფის მეთოდი", რომლის დროსაც თავდაპირველად ხდება ექსპერტთა მიერ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტებზე პოზიციათა დაფიქსირება და აზრთა თანხვედრის დონის გამოვლენა, პირველი ექსპერტიზის შემდეგ კი გამოთქმული შეფასებების მოწესრიგება სარწმუნოობის, ალბათობის, უტყუარობის, პრიორიტეტულობის დონის მიხედვით.

საექსპერტო გამოკითხვის მნიშვნელოვანია: ექსპერტთა კომპეტენტურობის მიხედვით შერჩევა და წარმოდგენილი მასალის შესახებ თავისი მოსაზრებებისა და არგუმენტების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა; გამოკითხვის თემისა და კვლევის ამოცანების ზუსტად, მეცნიერულად ფორმულირება. ამასთან, მონაცემთა ანალიზი უფრო თვისებრივია, ვიდრე რაოდენობრივი.

მისაღები ინფორმაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საექსპერტო გამოკითხვა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს – ანონიმური ანკეტის საშუალებით ინდივიდუალური გამოკითხვის და ჯგუფური დისკუსიის სახით.

საქართველოს მოსახლეობის საბიუჯეტო გამოკვლევები შერჩევითი მეთოდის გამოყენებით ტარდება ყოველწლიურად.

„საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში 1995-97 წლებში შემუშავდა და დაინერგა საქართველოს შინამეურნეობების ზოგადი გამოკვლევის პროექტი. ეს პროექტი განხორციელდა კანადის სტატისტიკურ სამსახურთან (Statistics Canada) თანამშრომლობით, მსოფლიო ბანკის საინსტიტუციო მშენებლობის კრედიტის საფუძველზე. ამ სამუშაოს ფარგლებში შინამეურნეობებზე დაკვირვება დაიწყო 1996 წლის ივლისიდან მთელ საქართველოში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს გარდა.

შინამეურნეობებზე დაკვირვება წარმოადგენს ოჯახების ყოველკვარტალურ გამოკითხვას თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში: კახეთი; თბილისი; შიდა ქართლი (2002 წელს შერჩევის ბაზის გადასინჯვამდე მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე შერჩევა არ იყო რეპრეზენტატული და შესაბამისად შერჩეული ოჯახები ჩაირთვებოდნენ შიდა ქართლის რეგიონში.); ქვემო ქართლი; მცხეთა-მთიანეთი; სამცხე-ჯავახეთი; აჭარა; გურია; სამეგრელო; იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ჩართვით.

შინამეურნეობების გენერალური ერთობლიობა მოიცავს მოსახლეობის არაინსტიტუციონალურ ნაწილს. დაკვირვების ობიექტები ის შინამეურნეობები არიან, რომლებიც შერჩევაში მოხვედრილ მისამართებზე ცხოვრობენ.

თავდაპირველად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შინამეურნეობების წარმომადგენლობითი შერჩევის მოცულობა ისე განისაზღვრა, რომ დაკვირვების შედეგად მიღებული განსხვავებული ტიპის მაჩვენებლებისთვის მოთხოვნილი სტატისტიკური სიზუსტე დაკმაყოფილებულიყო როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონების დონეზეც. შერჩევა დაახლოებით მოიცავდა 3300 მისამართს. შერჩევა ორსაფეხურიანი, სტრატიფიცირებული პროცედურით ხორციელდებოდა. პროცედურის პირველ საფეხურზე მხდება პირველადი შერჩევითი ერთეულების - სააღწერო უბნების შერჩევა: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიქმნა სააღწერო უბნების მონაცემთა ძირითადი ბაზა მათი იდენტიფიკატორების, მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისამართების რაოდენობის ჩვენებით. აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს დაკვირვებით მოცული ტერიტორია დაახლოებით 16600 სააღწერო უბნად იყო დაყოფილი, 1,2 მილიონამდე შინამეურნეობებითა და 4,4 მილიონი მოსახლეობით.

ყოველი რეგიონის შიგნით არსებულ სტრატებში შესარჩევი მისამართების რაოდენობა დანაწილდა ამ სტრატებში მოხვედრილი მოსახლეობის რიცხოვნობის პროპორციულად. თითოეულ სტრატაში სააღწერო უბნების სიიდან შემთხვევითი, უბნის სიდიდის პროპორციული ამოკრებით შერჩეულ იქნა დაკვირვების უბნები, ისე რომ: 1) სტრატაში ყოფილიყო სამის ჯერადი უბნების რაოდენობა (კვარტლის სხვადასხვა თვეებში დაკვირვების თანაბრად განაწილების მიზნით), 2) საქალაქო სტრატების უბნებში მოხვედრილიყო 7-12 ასარჩევი მისამართი თითოეულში, ხოლო სასოფლო სტრატების უბნებში - 16-20 მისამართი (ეს გაკეთდა სოფელში საჭირო ინტევიუერების რიცხვის მინიმიზაციისათვის).

შერჩევის პროცედურის პირველ საფეხურზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განფენილი 12 ათასი სააღწერო უბნიდან შემთხვევითი შერჩევის წესით 300 სააღწერო უბანი შეირჩა, მეორე საფეხურზე კი შერჩეული უბნებიდან სისტემატური შერჩევის წესით 3300-მდე შინამეურნეობა იქნა ამოკრეფილი.

1996-2001 წლებში გამოკვლევა უცვლელად მიმდინარეობდა შერჩევის ასეთი სქემით. 2001 წელს დაიწყო მომზადება შერჩევის ახალი დიზაინის შემუშავებისათვის. ამას საფუძვლად დაედო სტატისტიკის დეპარტამენტისა და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებული მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის სამუშაოების შედეგები.

კერძოდ, შესწავლილ იქნა სტრატიფიკაციისა და კლასტერიზაციის ეფექტის გავლენა დიზაინეფექტის სიდიდეზე. გამოთვლილ იქნა ინტრაკლასტერული და ინტერკლასტერული კორელაციები და გაანალიზდა მიღებული შედეგები. შემოწმდა შერჩევის წონების ვარიაციის გავლენა დიზაინეფექტის სიდიდეზე. შესწავლილ იქნა უარების გავლენა წონების ვარიაციაზე, როგორც რეგიონალურ, ასევე ქვეყნის მაშტაბით. შედარებულ იქნა სხვადასხვა შერჩევითი და არაშერჩევითი მიზეზების გავლენა დიზაინეფექტისა და საიმედოობის სიდიდეებზე. STAT -ს საშუალებით დადგინდა უარებისა და წონების ვარიაციის გავლენა დიზაინეფექტის სიდიდეზე.

მიღებული შეფასებების საიმედოობის ამაღლების მიზნით გადაწყდა საქმიანობის კონცენტრირება შემდეგი მიმართულებით:

1. შერჩევის მოცულობების დაზუსტება რეგიონებში, სტრატებსა და გამოკვლევის პირველად უბნებში, ეფექტურობის ასამაღლებლად, როგორც რეგიონის ასევე ქვეყნის დონეზე. ეფექტურობა განისაზღვრება გამოკვლევის არსებული ბიუჯეტის ფარგლებში შეფასების საიმედოობის ამაღლებით.
2. მონაცემთა შეწონვის არსებული სისტემის დეტალური ანალიზის განხორციელება. კერძოდ მოიძებნა დაკვირვების უბნები, სადაც დაფიქსირებული იყო ექსტრემალური წონები, გაირკვა ამის მიზეზები და მოიძებნა პრობლემის გადაჭრის გზები.
3. ექსტრემალური (ძალიან დიდი და ძალიან პატარა) წონების მქონე უბნებისათვის შედარდა ოჯახების რაოდენობები საწყისი და აქტუალიზირებული სიით და გასწორდა გამოვლენილი შეცდომები.
4. შემუშავებული იქნა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა შესწორებების შედეგად შეფასებების დინამიკური მწკრივების სტაბილურობის შენარჩუნებას.

შერჩევის მოდელის შემუშავება დასრულდა 2001 წელს. 2002 წლიდან დაიწყო შერჩევის ახალ მოდელზე გადასვლა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ეტაპობრივად, რათა არ მომხდარიყო სიღარიბის მონიტორინგისათვის აუცილებელი პანელურ მონაცემთა ბაზის წყვეტა. 2003 წლის I კვარტალიდან გამოკვლევა გაგრძელდა განახლებული შერჩევის სისტემით.

შერჩევის დიზაინის გადასინჯვით არ მომხდარა შერჩევის საერთო მოცულობის ცვლილება, მხოლოდ შეიცვალა შერჩევის საწყისი ერთეულების ზომები და შერჩევის გაფანტულობა, კერძოდ, შერჩევის ახალი დიზაინის მიხედვით გაიზარდა დაკვირვების წერტილების რაოდენობა.

2008 წლის II კვარტალიდან ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით სტატისტიკის დეპარტამენტმა გააორმაგა შერჩევის მოცულობა და გამოსაკვლევი შინამეურნეობების რაოდენობამ 6800 ერთეული შეადგინა. შერჩევის მოცულობა განსაზღვრულია იმგვარად, რომ დაკვირვების მასალებმა უზრუნველყონ სტატისტიკური სიზუსტე როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე. შერჩევაში გამოყენებული როტაციის პრინციპის შესაბამისად ხდება წლის მანძილზე მთელი შერჩევის თანდათანობითი განახლება. შერჩევაში მოხვედრილი თითოეული შინამეურნეობა მასში რჩება ერთი წელი და ამ შინამეურნეობიდან ინფორმაციის მიღება ხდება კვარტალში ოთხჯერ.

შერჩეული უბნები ყოველი რეგიონისთვის სტრატების დონეზე თანაბრად დაყოფილია 12 საროტაციო ჯგუფად, რათა თითოეულ თვეში შესაბამისი საროტაციო ჯგუფის მისამართები ჩანაცვლებული იყოს ახალი მისამართებით. ამრიგად, ყოველთვიურად მთელი შერჩევის 8,3 პროცენტით განახლება ხდება. ერთი წლის მანძილზე ხდება მთელი შერჩევის განახლება. თითოეული შინამეუნეობა შერჩევაში რჩება ერთი წლით და მისგან ხდება ამ პერიოდში კვარტალური ინფორმაციის აღება ოთხჯერ.

გამოკითხვას ატარებს 150-მდე ინტერვიუერი, რომლებზეც პერსონალურად არის მიმაგრებული დაკვირვების უბნები. ინტერვიუერთა მუშაობას მეთვალყურეობას უწევენ რეგიონული ზედამხედველები. რეგიონული ზედამხედველები ახორციელებენ მიღებული ინფორმაციის პირველად კონტროლს, შერჩევით ამოწმებენ ინტერვიუერთა მუშაობას შერჩეულ

მისამართებზე, უწევენ მათ აუცილებელ დამატებით ინსტრუქტაჟს. თავის მხრივ, სტატისტიკის დეპარტამენტის შინამეურნეობების კვლევის სპეციალისტთა ჯგუფი სისტემატურად ეწევა ინსპექტირებას ადგილებზე, ინტერვიუერთა და ზედამხედველთა შერჩევით კონტროლს, მათ კონსულტირებას ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების ეკონომიკური თუ სოციოლოგიური ასპექტების შესახებ. შერჩევაში მოხვედრილ ყველა შინამეურნეობას, ინფორმაციის მოწოდებისათვის გაწეული მუშაობის წასახალისებლად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ეძლევათ სარგოები.

ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ინფორმაციის საიმედოობის ამაღლებისაკენ და არაშერჩევითი შეცდომების მინიმუმამდე დაყვანისაკენ.

ამავე მიზანს ემსახურება კონტროლისა და კოდირების, აგრეთვე კომპიუტერული კონტროლის სისტემა. კერძოდ, სტატისტიკის დეპარტამენტის ლოგიკური კონტროლისა და კოდირების ჯგუფი აკონტროლებს თითოეულ კითხვარს, აკეთებს მათში აუცილებელ კოდირებას, წინასწარ მიცემული ინსტრუქციის თანახმად აკეთებს მათში დასაშვებ კორექტივებს, აუცილებელ შემთხვევაში აბრუნებს ინტერვიუერთან კითხვარებს ადგილზე კორექტირებისათვის. ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას თითოეული ინტერვიუერის მუშაობის ხარისხის შესახებ, რაზედაც ხდება შესაბამისი რეაგირება როგორც ცენტრალური აპარატის, ასევე ზედამხედველების მიერ დამატებითი ინსტრუქტირებისა და კონსულტირების გზით.

გამოკვლევის მონაცემებისაგან შეფასებების მიღებისას ხდება ეგრეთწოდებული p-შეფასების ფუნქციის გამოყენება: შერჩევითი დაკვირვების

$$y_i\left(i = 1\mathrm{K}\ n_{resp}\right)$$

მონაცემებიდან ხდება $y$ მაჩვენებლის შეფასებითი $\bar{y}$ მნიშვნელობების მიღება ფორმულით

$$\bar{y} = \sum_{i=1}^{n_{resp}} \frac{y_i}{P(i)}$$

სადაც $P(i)$ არის შერჩევაში $i-$ური მისამართის მოხვედრის ალბათობა, ხოლო $n_{რესპ}$ არის მიღებული პასუხების რაოდენობა. შერჩევის კონსტრუქციიდან გამომდინარე ყოველ გამოყოფილ სტრატაში მისამართების შერჩევის

ალბათობები ტოლია, ხოლო სტრატებს შორის ისინი იცვლებიან. მასთან, შეწონვის ამ მექანიზმში მიუღებელი პასუხების შემთხვევაში გათვალისწინებულია წონების კორექტირების მრავალსაფეხურიანი მექანიზმი:

გამოუპასუხება კლასიფიცირდება ორ ძირითად კლასად:

1. შერჩეული მისამართი აღარ გამოიყენება საცხოვრისად ან იქ არავინ ცხოვრობს;
2. რესპონდენტი ამა თუ იმ მიზეზით უარს ამბობს ინტერვიუზე.

პირველ შემთხვევაში ხდება ასეთი მისამართის კუთვნილი წონის ამოგდება შეფასებიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება ამ მისამართის კუთვნილი წონის გადანაწილება სტრატის სხვა, მიღებული პასუხების მქონე მისამართებზე. ამასთან, თუ უარების რაოდენობა, რომელიმე კვარტალში სტრატაში შერჩევის ნახევარზე მეტი დაგროვდა, მაშინ მოცემული სტრატის მონაცემები (ეგრეთწოდებული კოლაფსის სქემის შესაბამისად) უერთდება მასთან ყველაზე მეტად მსგავსი სხვა ერთი ან რამდენიმე სტრატის მონაცემებს, გამოკლებული მისამართების წონების ამ ახალ ერთობლიობაზე გადანაწილებით. ამ მიმართულებით შეწონვის მექანიზმი ითვალისწინებს ასეთ ოთხსაფეხურიან კორექტირების (კოლაფსის) შესაძლებლობას.

დაკვირვებათა ახალი სისტემა იძლევა შესაძლებლობებს გაკეთდეს კორექტული შეფასებები ქვეყნის მასშტაბითა და ზემოთ მითითებული დიდი რეგიონების ჭრილებში, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო დასახლებების ჭრილებში, ბარისა და მთის რეგიონების ჭრილებში, მსხვილ ასაკობრივ და სქესობრივ ჭრილებში, აგრეთვე სხვადასხვა წარმოებული ნიშნების მიხედვით, მაგალითად, შინამეურნეობების შემოსავლების ან ხარჯების ჯგუფების, ოჯახის სიდიდის მიხედვით და ა. შ.

შეფასებები შეიძლება გაკეთდეს შემდეგი კლასის მონაცემებისათვის:

- დემოგრაფიული მონაცემები;
- შინამეურნეობათა საცხოვრისის დახასიათება;
- შინამეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო აქტივობა;
- მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის შეფასებები;
- დასაქმების სტრუქტურა, ხელფასები, წმინდა შემოსავლები დასაქმებიდან;
- შემოსავლები;
- ხარჯები;

- შემოსავლებისა და ხარჯების განაწილებები;
- სიღარიბის მაჩვენებლები

შეფასებების გაკეთება კორექტული არის კვარტალური პერიოდულობით, ამასთან, ეკონომიკური სტატუსის, დემოგრაფიული მონაცემებისა და საცხოვრისის მახასიათებელი მაჩვენებლების შეფასებების მიღება შეიძლება საანგარიშო პერიოდის გასვლიდან მესამე თვის ბოლოს, შემოსავლების, ხარჯების, დასაქმების სტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო აქტივობის მონაცემებისა კი საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ მეექვსე თვის ბოლოს.

დაკვირვებები ხორციელდება ექვსი ძირითადი (შინდა01 – შინდა05 და შინდა07) კითხვარის საშუალებით ("შინდა" - შინამეურნეობაზე დაკვირვების შემოკლებული სახელწოდებაა). ეს კითხვარებია:

შინდა 01 – პირველი ინტერვიუ – ფორმა ასახავს შინამეურნეობის ქონებრივ მდგომარეობას და შეიცავს მონაცემებს მის კუთვნილ საცხოვრებელზე, მიწაზე, საქონელზე, ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე. პირველი ინტერვიუ ტარდება წელიწადში ერთხელ, შინამეურნეობაზე დაკვირვების დაწყებისას.

შინდა 02 – საკონტროლო ბარათი – – ფორმა ასახავს შინამეურნეობის შემადგენლობას და შეიცავს დემოგრაფიულ მონაცემებს შინამეურნეობის წევრთა შესახებ. დაკვირვება ტარდება წელიწადში ერთხელ, შინამეურნეობაზე დაკვირვების დაწყებისას შინდა 01-თან ერთად, ხოლო ცვლილებები ოჯახის შემადგენლობაში ყოველკვარტალურად აღინუსხება.

შინდა 03 – დღიური ხარჯების ფორმა – ფორმა ასახავს შინამეურნეობის ყოველდღიურ ხარჯებს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე. იგი ივსება ოჯახის რომელიმე წევრის მიერ კვარტალში ერთხელ, ერთი კვირის განმავლობაში და ოჯახის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის გაწეულ ყოველდღიურ ხარჯებთან ერთად, მასში აღინუსხება კუთვნილი მეურნეობიდან საკუთარი მოხმარებისათვის შეტანილი ან უსასყიდლოდ მიღებული სამომხმარებლო საქონელი ან მომსახურება.

შინდა 04 – ხარჯების კვარტალური კითხვარი – ფორმა ასახავს შინამეურნეობის მიერ გაწეულ ყოველგვარ ხარჯებს გამოკითხვის

წინა სამი თვის განმავლობაში; იგი შეიცავს აგრეთვე მონაცემებს შინამეურნეობის მიერ მოწეული მოსავალისა და მისი გადამუშავებისა და განკარგვის შესახებ დროის იგივე პერიოდში. ამ ფორმით, ყოველი ოჯახის გამოკითხვა კვარტალში ერთხელ ტარდება.

შინდა 05 – ტრანსფერტები, დანაზოგები და შემოსავლები ქონებიდან – ფორმა ასახავს შინამეურნეობის მიერ მიღებული როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ტრანსფერტების შესახებ შემოსავლებს, აგრეთვე შემოსავლებს, ქონების გაქირავებიდან, დივიდენდებიდან და ა. შ.. ამ ფორმით, ყოველი ოჯახის გამოკითხვა კვარტალში ერთხელ ტარდება.

შინდა 05-1 – დასაქმება და შემოსავლები – ფორმა ასახავს შინამეურნეობის წევრთა შესახებ ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა, სამუშაო ძალის გარეთ ყოფნა და სხვა უშუალოდ გამოკითხვის წინა ერთი კვირის განმავლობაში. აგრეთვე დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას გასული სამი თვის წინა პერიოდში. ეს ფორმა ივსება კვარტალში ერთხელ 15 წლისა და უფროსი ასაკის ოჯახის ყველა წევრზე.

შინდა 07 – უარის ფორმა – განკუთვნილია იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე. ასეთ შემთხვევაში ინტერვიუერი თავად აფიქსირებს რამდენიმე მონაცემს შინამეურნეობის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ამ ფორმაში ფიქსირდებიან აგრეთვე ის შინამეურნეობები, რომლებთანაც ვერ ჩატარდა გამოკითხვა სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ: ბინა მუდმივ საცხოვრისად აღარ გამოიყენება, რესპონდენტი უარს აცხადებს და სხვა. ყოველი ასეთი მისამართისთვის ეს ფორმა ივსება კვარტალში ერთხელ.

შინდა 09 – სიღარიბის მონიტორინგი საქართველოში – ფორმა ასახავს შინამეურნეობის წევრთა შესახებ ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და მასში მოცემულია აგრეთვე სიღარიბის სუბიექტური შეფასება შინამეურნეობის მიერ. ეს ფორმა თითოეული შინამეურნეობისათვის ივსება წელიწადში ერთხელ." (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

# თავი II
# საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის თავისებურებანი და ტენდენციები

## 2.1. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და პირობების სტატისტიკა

ცხოვრების ხარისხი წარმოადგენს რთულ სინთეზურ გატეგორიას, რომელიც აკუმულირებას უკეთებს პიროვნებისთვის ყველა მნიშვნელოვან საარსებო პირობას. იგი მოიცავს როგორც ადამიანის განვითარების, ასევე მისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების მთელი კომპლექსის დაკმაყოფილების დონეს. მოცემული კატეგორიის კომპონენტებს განეკუთვნება საქონელი და მომსახურება, შემოსავლები, დანაზოგი, სულიერი მოთხოვნილება, პირადი უსაფრთხოება და სოციალური კომფორტულობის სხვა ატრიბუტები, ასევე საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობა.

ცხოვრების ხარისხი აერთიანებს ცხოვრების დონის მრავალ ასპექტს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური კეთილდღეობის სტანდარტული მაჩვენებლები: მოსახლეობის შემოსავლები, სოციალური უზრუნველყოფა, მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების მოხმარება. ცნება "მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი", ფართო გაგებით, დამატებით აერთიანებს საცხოვრებელ პირობებს, შრომის და დასაქმებულობის, ყოფა-ცხოვრების და თავისუფალი დროის პირობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, განათლებას და ა.შ.

ცალკეული პირის და მთლიანობაში მოსახლეობის ცხოვრების დონე დამოკიდებულია მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხზე და განისაზღვრება შესაბამისი რესურსებითა და შესაძლებლობებით. ცხოვრების დონის ცნების ძირითად საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვაგვარი ადამიანური მოთხოვნილებები, რომელთა წარმოშობა და რეალიზება ხდება სამომხმარებლო სფეროში.

ტერმინი "ცხოვრების ხარისხი" გაჩნდა 1950-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც ნათელი გახდა, რომ კატეგორია "ცხოვრების დონე" სრულყოფილად ვერ ასახავს მოსახლეობის კეთილდღეობას. საქმე იმაშია, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარებით განპირობებული მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაზრდამ, ამავდროულად, გამოიწვია მთელი რიგი ახალი არასასურველი მოვლენები, როგორიცაა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და სოციალური დაძაბულობის გაძლიერება. ჩამოყალიბდა საკმაოდ

მყარი შეხედულება, რომ ეკონომიკური ზრდა ვერ შეასრულებს პროგრესის და კეთილდღეობის ერთადერთი საზომის როლს, აუცილებელია ასევე უზრუნველყოფილი იქნეს კარგი სოციალური და ეკოლოგიური გარემო.

„თავდაპირველად, ცნება ცხოვრების ხარისხი ატარებდა საკმაოდ აბსტრაქტულ ფორმას, დაფუძნებულს ძირითადად სოციალური უსაფრთხოებისა და გარე სამყაროს ნეგატიური ზეგავლენის მდგომარეობების შეფასებაზე მატერიალური კეთილდღეობის შევსების აუცილებლობით. 1962 წელს ჯ. ბერლინგერს ცხოვრების ხარისხის საბაზისო შემადგენლობაში შეიყვანა შემდეგი ელემენტები: მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დონე, სამართალდარღვევებისა და დანაშაულთა დონე, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების დონე. ამერიკელ მეცნიერმა ჯ. ფორესტერმა ცხოვრების ხარისხის მახასიათებლებს მიაკუთვნა სტრესული სიტუაციები, ცხოვრების სირთულეები, კვების ხარისხი და გარემოს დაბინძურება. კანადელი სოციოლოგი მ. ბუნგეს ცხოვრების ხარისხის ელემენტებში შექონდა  ჰაერისა და წყლის ხარისხი, საცხოვრისის ზომა და ხარისხი, ოჯახური ცხოვრებისა და სამუშაოსაგან დაკმაყოფილების ხარისხი, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის დონე, უსაფრთხოება ქუჩაში, წაკითხულ წიგნთა, თეატრალურ წარმოდგენებზე დასწების რაოდენობა და ა.შ.

ცხოვრების ხარისხის შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა მისი შეფასების რამოდენიმე სისტემა – როგორც ძალიან ფართო, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ადამიანის პრაქტიკულად ყველა შემადგენელ წარმოდგენას ცხოვრებისეული ღირებულების სისტემაზე (საზოგადოების ჰუმანიზაცია, ეკოლოგია, დემოგრაფიული მდგომარეობა, თვითრეალიზაციის საშუალება და სამუშაოთი დაკმაყოფილება, მშვიდობიანი თანაარსებობა, საზოგადოების მორალური ჯანმრთელობა და დამნაშავეობა, როგორც მისი ძირითადი მახასიათებელი, განათლების მიღების საშუალება და ა.შ.), ისე საკმაოდ ვიწრო, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებულია მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონეზე. უკანასკნელი კვლევები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური კატეგორია “მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი” შეიძლება განსაზღვრული იქნეს, როგორც “მასობრივ ცნობიერებაში ფორმირებული მოსახლეობის ცხოვრების პირობების მახასიათებლების ერთობლიობის განზოგადებული შეფასება”.”(ნაზაროვი 2002:613)

1990-იან წლებში მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების ყურადღების ობიექტად იქცა კაცობრიობის განვითარების ანალიზის მეთოდოლოგია. კაცობრიობის განვითარების კონცეფცია გამომდინარეობს საზოგადოებრივი პროგრესის შეუსაბამობის აღიარებით ფულადი შემოსავლის ან მატერიალური სიმდიდრის ზრდასთან მიმართებაში. ის აშკარას ხდის, რომ ტრადიციული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული სიმდიდრე, საშუალო სულადობრივი შემოსავალი და სხვა) ვერ ჩაითვლებიან ეკონომიკური ზრდის და ადამიანის განვითარების ადეკვატურ მახასიათებლებად. ტრადიციული მახასიათებლების გამოყენება პასუხის გარეშე ტოვებს კითხვას: რატომ იზრდება ბევრ ქვეყანაში უმუშევრობა, სიღარიბე, უწიგნურობა, დაავადებები, დამნაშავეობა და სხვა ნეგატიური ფაქტორები.

საბოლოო ჯამში, ცხოვრების ხარისხის კატეგორია შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ ხუთ ინტეგრალურ თვისებამდე, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის ცხოველქმედების უზრუნველყოფის გარემოსა და სისტემას.

1. მოსახლეობის “ხარისხი”, რომელიც ინტეგრირებას უკეთებს მის ისეთ თვისებებს, როგორიცაა რეპროდუქციის უნარი (შობადობა, სიკვდილიანობა, ავადობა, ინვალიდობა, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა და ა.შ.), ოჯახის შექმნისა და შენარჩუნების უნარი (ქორწინება, განქორწინება), განათლების და კვალიფიკაციის დონე (განათლებული მოსახლეობის წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში, განათლების მიღწეული დონე და ა.შ.).

2. მოსახლეობის კეთილდღეობა და ცხოვრების პირობები აკუმულირებას უკეთებენ კერძო თვისებებს, ასახავენ მოსახლეობის მატერიალური და სოციალური (მათ შორის სულიერი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს. კეთილდღეობის მატერიალურ ასპექტს ახასიათებენ მოსახლეობის შემოსავლების, მიმდინარე მოხმარების და დანაზოგის მაჩვენებლები (რეალური შემოსავლების სიდიდე, მათი განაწილება გამოყენების მიმართულებით მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებში, მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა, საოჯახო მეურნეობებში ხანგრძლივი გამოყენების სამომხმარებლო საქონლის არსებობა, ქონების და ფასეულობების დაგროვება და სხვა), ასევე ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა მშპ ერთ სულ მოსახლეზე, საოჯახო მეურნეობების ფაქტიური მოხმარება, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, უმუშევრობის და სიღარიბის დონეები. ცნება “ცხოვრების პირობები” გულისხმობს საცხოვრებელი პირობების დახასიათებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას ჯანდაცვის, განათლების,

კულტურის, ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების სფეროებში, თავისუფალი დროის გამოყენებას, სოციალურ და გეოგრაფიულ მობილურობას და ა.შ.

3. სოციალური უსაფრთხოება (ან სოციალური სფეროს ხარისხი), ასახავს შრომის პირობებს, სოციალურ უზრუნველყოფას და სოციალურ დაცვას, ფიზიკურ და საკუთრების უსაფრთხოებას.

4. გარემო პირობების ხარისხი (ან ეკოლოგიური ნიშის ხარისხი) აკუმულირებას უკეთებს მონაცემებს საჰაერო სივრცისა და წყლის დაბინძურების, ნიადაგის თვისების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონის და ა.შ. შესახებ.

5. ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ახასიათებს კლიმატური პირობები, ფორს-მაჟორული სიტუაციების სიხშირე და სპეციფიკა.

ბოლო დროს მეტი დრო ეთმობა უფრო კონკრეტულ საკითხებს: ცხოვრების ხარისხის ეკონომიკური კატეგორიის შემადგენელ ელემენტებს, მათ დაჯგუფებას ცალკეულ კომპონენტებად, მათი გაზომვის მეთოდებს, ასევე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამსახველი ინტეგრალური მოდელების აგებას.

საქართველოში, ცხოვრების ხარისხის შესაფასებისთვის მნიშვნელოვან მოთხოვნას ინსტრუმენტარისადმი წარმოადგენს მისი შესაბამისობა ანალიტიკურ ამოცანებთან, რომელთა ამოხსნაც ხდება მისი პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე. ასეთი ინსტრუმენტარი აუცილებელია მმართველი ორგანოების მიერ შესაბამისი რეგიონალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით მწვავე რეგიონალური დისპროპორციების ლიკვიდაციაზე და ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის მიხედვით რეგიონების დიფერენციაციის თანდათანობით შემცირებაზე.

პრაქტიკული მოთხოვნილებები მოითხოვენ ინსტრუმენტარის დამუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ადეკვატურად შევაფასოთ და შევაპირისპიროთ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი საქართველოს რეგიონებში, დავაკვირდეთ დინამიკას, ჩავატაროთ ამ სფეროში პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებების ფაქტორიალური ანალიზი. საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შეპირისპირებითი ანალიზის ჩატარება დაფუძნებულია შემდეგი ძირითადი ამოცანების ამოხსნაზე:

- მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ჩამოყალიბებული დონის მიხედვით საქართველოს სუბიექტების რეიტინგული ჯგუფების აგება. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ რეგიონთაშორისი დიფერენციაციის დონე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის მიხედვით, გამოვავლინოთ

"კრიტიკული" რეგიონების ჯგუფი და ცხოვრების პირობების ხარისხის მიხედვით ლიდერული პოზიციების მქონე რეგიონების ჯგუფი;

- რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ფაქტორიალური ანალიზის ჩატარება. ამა თუ იმ რეგიონის უფრო მაღალ ან უფრო დაბალ რეიტინგულ ჯგუფში მოხვედრის განმაპირობებელი მიზეზების გამოვლენა საშუალებას მოგვცემს ადეკვატური ზომები მივიღოთ სოციალურ-ეკონომიკურ რეგიონალურ პოლიტიკასთან მიმართებაში, რათა უზრუნველვყოთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ზოგადი ზრდა;
- საანგარიშო პერიოდში ქვეყნის და მისი რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხში მომხდარი პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებების გამოვლენა. ანალიზის მოცემული ასპექტი (მისი ფაქტორული შემადგენელის ჩათვლით) საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ზომების შედეგიანობა, განვითარების მიზნებისკენ მოძრაობის ხასიათი.

ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური თვისებების თანმიმდევრული იერარქიული დეკომპოზიცია საშუალებას გვაძლევს "ჩამოვიდეთ" შესაბამისი მახასიათებლების ნაკრებამდე, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ სტანდარტული სტატისტიკური მაჩვენებლებით.

იმ შემთხვევაში, თუ განვიხილავთ ცხოვრების ხარისხის ასპექტების და ქვეასპექტების შემადგენელ ნაწილებს, შეიძლება გამოვყოთ ასზე მეტი მათთვის დამახასიათებელი მაჩვენებელი. გამოყენებადი სტატისტიკური მაჩვენებლების შემადგენლობა განისაზღვრება ცხოვრების ხარისხის კვლევის მიხედვით. ინფორმაციული უზრუნველყოფის სისრულის პრინციპი მოითხოვს ისეთი მახასიათებლების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მდგომარეობის ყოველმხრივ აღწერას. „ქვემოთ მოყვანილია სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენებიან ცხოვრების ხარისხის კომპლექსურ ანალიზში.

1. ჯანდაცვა:

- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლებში);
- ახალშობილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (1000 დაბადებულზე);
- ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (5 წლამდე ასაკის, 1000 დაბადებულზე);

- მოსახლეობა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით 60 წლამდე (%-ში მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან);
- დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (100 000 ცოცხლად შობილზე);
- დაბადებისას სხეულის დაბალი მასის მქონე ახალშობილთა წილი (100 ცოცხლად შობილზე);
- ერთ წლამდე ასაკის ბავშვების წილი სრული იმუნიზაციით: ტუბერკულოზზე აცრილები (%-ში), წითელაზე აცრილები (%-ში);
- შიდსით დაავადების შემთხვევების რიცხვი (100 000 ადამიანზე);
- ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევების რიცხვი (100 000 ადამიანზე);
- მალარიით დაავადების შემთხვევების რიცხვი (100 000 ადამიანზე);
- ინვალიდების რაოდენობა (%-ში მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან);
- ანემიით შეპყრობილი ორსული ქალების წილი (%-ში);
- ერთ მოზრდილზე მოწეული სიგარეტების რაოდენობა (ბაზური წელი = 100);
- ექიმთა რაოდენობა (100 000 ადამიანზე);
- მედდების რაოდენობა (100 000 ადამიანზე).

2. განათლება:

- ზრდასრული მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნის დონე (%-ში);
- ყველა დონის სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხულთა მაჩვენებელი:
  - დაწყებითი სკოლა (%-ში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფიდან);
  - საშუალო სკოლა (%-ში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფიდან);
- განათლებაზე ხარჯების წილი:
  - %-ში მშპ-დან;
  - %-ში მთლიანი სახელმწიფო ხარჯების მოცულობიდან;
  - დაწყებითი და საშუალო (%-ში განათლების ყველა დონიდან);
  - უმაღლესი (%-ში განათლების ყველა დონიდან);

3. დემოგრაფიული ტენდენციები:

- მოსახლეობის საერთო რაოდენობა (მლნ. ადამიანი);
- მოსახლეობის რაოდენობის ზრდის წლიური ტემპები (%-ში);
- ქალაქის მოსახლეობა (%-ში მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან);
- დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი (%-ში);

- 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%-ში მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან);
- ფერტილურობის საერთო კოეფიციენტი.

4. დასაქმება:

- უმუშევართა რიცხვი (ათას. ადამიანი);
- უმუშევრობის საერთო დონე (%-ში);
- გახანგრძლივებული უმუშევრობის გავრცელების დონე (%-ში უმუშევრობის საერთო დონიდან; ქალები, მამაკაცები);
- მუშაკები, რომლებიც იძულებულნი არიან იმუშაონ არასრული სამუშაო დღე (%-ში მუშა ძალების საერთო რიცვიდან);
- უმუშევრობის დახმარებაზე ხარჯები (%-ში სახელმწიფო ხარჯების საერთო მოცულობიდან).

5. სასურსათო უსაფრთხოება და კვება:

- ერთ სულ მოსახლეზე კალორიების მოხმარების ყოველდღიური ნორმა;
- ერთ სულ მოსახლეზე ცილების მოხმარების ყოველდღიური ნორმა:
  - საერთო რაოდენობა (გრამებში);
  - ცვლილება (%-ში);
- ერთ სულ მოსახლეზე ცხიმების მოხმარების ყოველდღიური ნორმა:
  - საერთო რაოდენობა (გრამებში);
  - ცვლილება (%-ში);
- ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო პროდუქციის წარმოების ინდექსი (საბაზისო წელი = 100);
- სასურსათო პროდუქციის იმპორტის წილი (%-ში საქონლის იმპორტის მოცულობიდან);
- მარცვლეულობით სასურსათო დახმარების მოცულობა (ათას. მ/ტ);
- სურსათის მოხმარება (%-ში საერთო პირადი მოხმარების მოცულობიდან).

6. დამნაშავეობა:

- პატიმრები (100 000 ადამიანზე);
- არასრულწლოვანი პატიმრები (%-ში პატიმრების საერთო რიცხვიდან);
- წინასწარგანზრახული მკვლელობები (100 000 ადამიანზე);
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებები (100 000 ადამიანზე);
- დარეგისტრირებული გაუპატიურობების რაოდენობა.

7. სტრესი:

- თვითმკვლელობები (100 000 ადამიანზე);
- განქორწინებები (%-ში ქორწინებების რაოდენობიდან);
- 20 წლამდე ასაკის დედებში მშობიარობების რიცხვი (%-სი);
- სტიქიური უბედურებების შედეგად დაღუპული ან დაზარალებული მოსახლეობა (ათას.);
- ლტოლვილები:
  – სახიზნავ ქვეყანაში (ათას.);
  – წარმოშობის ქვეყანაში (ათას.);

8. გარემო პირობების ხარისხი:

- ერთ სულ მოსახლეზე შიდა განახლებადი წყლის რესურსები (კუბ. მ. წელიწადში);
- მტკნარი წყლის ყოველწლიური აღება:
  – %-ში წყლის რესურსების მოცულობიდან;
  – ერთ სულ მოსახლეზე (კუბ. მ.);
- ტყის მასივის შემცირების საშუალო ყოველწლიური ტემპი (%-ში);
- $CO_2$ გამოყოფის მოცულობა:
  – სულ (მლნ. მ/ტ);
  – გამოყოფის მსოფლიო წილი (%-ში);
  – ერთ სულ მოსახლეზე (მ/ტ);
- $SO_2$ გამოყოფის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე (კგ-ში).” (ნაზაროვი 2002:616)

ცხოვრების ხარისხის შეფასების დროს ყურადსაღები მონაცემების დიდი რაოდენობა ერთის მხრივ და ადამიანის მწირი უნარი განაზოგადოს სხვადასხვაგვარი ინფორმაციის ნაკრებები მეორეს მხრივ, გვაიძულებს გამოვიყენოთ ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებლები. მათი შემუშავება წარმოადგენს სოციალური სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას და საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და შემუშავეს დიფერენციაციის შემცირების მიმართულებები.

დასაშვებია ცხოვრების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებლის ინტეგრაციის სხვადასხვა ხარისხი – სტატისტიკურად რეგისტრირებული საანგარიშო მაჩვენებლებიდან, რომელთაც გააჩნიათ “სინთეზური” ხასიათი (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, საშუალო ხარჯები ერთ სულ

მოსახლეზე, უმუშევრობის და დამნაშავეობის დონეები და ა.შ.), უმაღლესი დონის ინტეგრალურ ინდიკატორამდე, რომელიც სინთეზს უკეთებს საკუთარ თავში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ყველა ძირითად ასპექტებს. ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური ინდიკატორი წარმოადგენს გარკვეული სახის შეფასებების ნაკრებს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს საანგარიშო სტატისტიკური მონაცემების სხვადასხვა კომბინაციების და ზოგ შემთხვევაში შესაბამისი საექსპერტო დასკვნების სახით.

ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური ინდიკატორის აგებისას, მის საბოლოო აბსოლუტურ მნიშვნელობაზე გავლენას იქონიებს სამი ძირითადი ფაქტორი:

ა) ბაზის შერჩევა შეპირისპირებისთვის;

ბ) საანგარიშო სტატისტიკური მაჩვენებლების ამონაკრები, რომელთა საფუძველზე უნდა იქნას ფორმირებული ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური ინდიკატორი;

გ) ცხოვრების ხარისხის კრებსით მახასიათებელში ცალკეული კერძო მახასიათებლების ინტეგრაციის ხერხის შერჩევა (მოდელის სახე, მისი მუდმივი მახასიათებლები).

1. ბაზის შერჩევა შეპირისპირებისთვის. ინტეგრალური ინდიკატორების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი აბსოლუტური მნიშვნელობის ადეკვატური აღქმა შესაძლებელია მხოლოდ შეპირისპირების გზით შესაბამის კრიტერიუმთან. ამასთან დაკავშირებით ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური ინდიკატორის აგებისას პრინციპულ საკითხს წარმოადგენს შეპირისპირებისათვის ბაზის შერჩევა. ცხოვრების ხარისხის შეფასებისადმი მიდგომების კონკრეტიზაციის მცდელობებისას მკვეთრად გამოიყოფა შემდეგი მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია:

ა) ცხოვრების ხარისხის, როგორც ადამიანის ნორმატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის, განმარტებაზე;

ბ) ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიღებული მახასიათებლების პირადი სურვილების დონესთან შესაბამისობის ხარისხის შეფასებზე;

გ) ცხოვრების ხარისხის შეფასებაზე, როგორც ცხოვრების ხარისხის საუკეთესო მახასიათებლების მიღწევის დონეზე;

დ) ცხოვრების ხარისხის მიმდინარე მახასიათებლების გადახრის ხარისხის შეფასებაზე წლიურ შესაბამის მახასიათებლებთან.

2. საანგარიშო სტატისტიკური მაჩვენებლების ამონაკრები. სხვადასხვა მაჩვენებლებს შორის არსებობს უამრავი პარამეტრიც, რომლებსაც ახასიათებს გარკვეული ურთიერთკავშირი. ამონაკრების აგებისას თავი უნდა ავაცილოთ იმ მონაცემთა ჩართვას, რომელთა შორის არსებობს ხაზოვანი დამოკიდებულება, ე.ი. გააჩნიათ მულტიკოლინეარული კავშირი. ეს აუცილებელია ცხოვრების ხარისხის საბოლოო შეფასების აგებისას ფაქტორების გავლენის ანგარიშში "ჯერადობის" აღმოფხვრისთვის. მაჩვენებლების ამონაკრების აგების ზოგადი პრინციპების ფორმულირება შესაძლებელია შემდეგი სახით:

- ამონაკრებში ჩართული მაჩვენებლების აზრობრივი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ამოსახსნელი ამოცანის მიზნობრივ დანიშნულებას;
- ამონაკრები უნდა იყოს საკმაოდ კომპაქტური და მასში უნდა მოიპოვებოდეს ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი ასპექტების მახასიათებელი მაჩვენებლები;
- ამონაკრების მაჩვენებლებს შორის არ უნდა არსებობდეს მულტიკოლინეარული კავშირი;
- ცხოვრების პირობების "პირდაპირი" დამახასიათებელი სტატისტიკური საანგარიშო მაჩვენებლების არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია "ანალოგების" ჩართვა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია "არაპირდაპირი" გზით შევაფასოთ ამ პირობების გავლენა ადამიანზე;
- თუკი ხორციელდება კონკრეტული წლის ცხოვრების ხარისხის შეფასება, ამონაკრების შემადგენლობაში არ უნდა იყოს მაჩვენებლები-ანალოგები, რომლებიც ასახავენ ადრეულ პერიოდში დაგროვებულ "ეფექტებს".

3. ინტეგრაციის ხერხის ამორჩევა. სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ცხოვრების ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებლების კონსტრუირების სხვადასხვა წინადადება. მკვლევარები იყენებენ სხვადასხვა მოდელურ მიდგომებს, შემადგენლობით და რიცხობრივად განსხვავებულ მაჩვენებლებს. მაგალითად, უმარტივესი მოდელი გულისხმობს ყველა შემადგენელი კომპონენტის ქულების შეჯამებას. უფრო რთული მოდელები გულისხმობენ შეწონილ შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს ადამიანისთვის ცხოვრების ხარისხის სხვადასხვა მახასიათებლების მნიშვნელობას.

ცხოვრების ხარისხის ფუნქციის მოდელირებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოდელის წონითი კომპონენტის შერჩევა. ყველა კონკრეტული ადამიანისთვის სხვადასხვა მაჩვენებლის მნიშვნელობა არსებითად დიფერენცირებულია, ამიტომაც მათი გაერთიანებისას გარდაუვალია

თვითნებობის ელემენტები. საყურადღებოა განისაზღვროს მათი საშუალო მნიშვნელობა ადამიანისთვის დროის მოცემულ მომენტში სოციოლოგიურ გამოკითხვებსა და სხვა არაპირდაპირ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამასთანავე, აუცილებელია წინასწარ მიუსადაგოთ ცხოვრების დონის კერძო მაჩვენებლები ერთიან სკალას.

სულ უფრო დიდ აღიარებას პოულობს მოსახლეობის მიერ მიღწეული ცხოვრების დონის შეფასება მისი ფაქტიური მაჩვენებლების შეპირისპირებით ნორმატიულ მაჩვენებლებთან, ე.ი. მატერიალური კეთილდღეობით და სხვადასხვაგვარი მომსახურებით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის მიხედვით. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებლის გამოანგარიშების ესეთი ვარიანტი წარმოადგენს ცხოვრების დონის კერძო მაჩვენებლების საშუალო შეწონილ სიდიდეს, რომელიც გამოხატავს მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების ფაქტიური მოხმარების შეფარდებას, ჯგუფების და სახეობების მიხედვით საშუალოდ ერთ ადამიანზე, ამ მოხმარების ნორმებთან.

თუმცა, ცხოვრების ხარისხის კონცეფცია გაცილებით უფრო ღრმა და მდიდარია, ვიდრე ეს შეიძლება გამოსახოს ნებისმიერმა ინტეგრალურმა მაჩვენებელმა, ადამიანის განვითარების სფეროში პროგრესის მონიტორინგისთვის აუცილებელია მაქსიმალურად მარტივი ინსტრუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მაჩვენებლების სისტემაში მისი მრავალი ნაირსახეობაა წარმოდგენილი, ცხოვრების ხარისხის კონცეფცია უფრო ფართოდ განისაზღვრება. ასე მაგალითად, სკანდინავიური ქვეყნების ეროვნული სტატისტიკის სამსახურების პროგრამაში მუშავდება არა მარტო ოფიციალური სოციალური მაჩვენებლები, არამედ სტატისტიკური მონაცემების უფრო მსხვილი წარმონაქმნი საერთო სახელწოდებით "ცხოვრების პირობები". საანგარიშო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პარალელურად, ცხოვრების ხარისხი განისაზღვრება ცალკეული პირების მისწრაფებების, აღქმისა და დაკმაყოფილების დონის გათვალისწინებით. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება ხდება მოსახლეობის სპეციალური შერჩევითი შესწავლის საფუძველზე. ამგვარი მიდგომა ხაზს უსვამს შედეგის (მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობა) მონაცემების უპირატეს მნიშვნელობას დანახარჯების (მაგალითად: ექიმებისა თუ საწოლების რაოდენობა საავადმყოფოებში) მონაცემებთან შედარებით, რადგანაც შედეგობრივი მაჩვენებელი უშუალოდ მიუთითებს კეთილდღეობაზე, ხოლო

დანახარჯებისა კი მხოლოდ ირიბი მაჩვენებელია სასურველი შედეგის მისაღწევაზე.

ამდაგვარი მიდგომა წარმოადგენს გამოკვლევის ახალ და მუდმივად განვითარებად სფეროს და ობიექტური შეფასების აუცილებელ დანამატს კომპლექსური ანალიზის ჩატარების მიზნით, რომელიც დაფუძნებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ობიექტური (ან რაოდენობრივი) შეფასება, როგორც წესი დაფუძნებულია მაჩვენებლებზე, რომლებიც მიუთითებენ არსებული საყოფაცხოვრებო რესურსების დონეზე. სუბიექტური (ხარისხობრივი) მაჩვენებლები ძირითადად მეტყველებენ ცხოვრების პირობების ყველა კომპონენტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხელმისაწვდომობის ხარისხზე. .მიუხედავად იმისა, რომ ამდაგვარი შეფასების გაკეთება სირთულეებთან არის დაკავშირებული, მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან განვითარების გარდამავალ პერიოდში.

სუბიექტური შეფასებების შესწავლას, როგორც წესი, აწარმოებენ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. ამდაგვარი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, ერთის მხრივ, გვეხმარება ლატენტური ფაქტორების გამოვლენაში (რისი გამოვლენაც და შესწავლაც ცალკე შეუძლებელია), ხოლო მეორეს მხრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი ნიუანსების (და ახალი სოციალური მაჩვენებლების) იდენტიფიცირებისთვის “ადრეული გაფრთხილების სისტემის” სახით.

ცხოვრების ხარისხისა და პირობების შესწავლისას ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ: თანაბარი შესაძლებლობები, სოციალური გამონაკლისები, რისკის ფაქტორი და სიღარიბის ლოკალიზაცია, ჯანდაცვის სისტემის ადეკვატური ხელმისაწვდომობა, განათლება და სოციალური დაცვა. ცხოვრების პირობების სტანდარტიზირებული და უკვე გარკვეულწილად შეთანხმებული სტატისტიკა გავსაზღვრავს მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი მახასიათებლები:

- კეთილდღეობის კონცეფციის სრული მოცულობით მოცვა, რაშიც შედის ფულადი და არაფულადი ასპექტები;
- მრავალპროფილიანი და ამავდროულად ლაკონური მაჩვენებლების სისტემის არსებობა ყველა ძირითად სოციალურ სფეროში (ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი, ტრანსპორტი, უსაფრთხოება და სხვ.);

- ცხოვრების ხარისხის (რამოდენიმე სოციალური სფეროს ფარგლებში) რეპრეზენტატიური ძირითადი მაჩვენებლების ერთდროული გაზომვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის მაჩვენებლებთან, საოჯახო მეურნეობების ტიპებთან, სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებთან, რეგიონებთან და არაკეთილსაიმედო პირობებში მყოფი მოსახლეობის ჯგუფებთან ერთობლიობაში.
- ცხოვრების პირობების მაჩვენებლების არსებობა მიკროდონეზე, ე.ი. ცალკეული მოქალაქის ან საოჯახო მეურნეობის დონეზე.

ცხოვრების ხარისხის სოციალური კვლევის სტატისტიკურ ერთეულებს წარმოადგენს ჯგუფებად აგრეგირებული ცალკეული მოქალაქეები და საოჯახო მეურნეობები. ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია კვლევის წარმოება მთლიანი მოსახლეობის, სოციალური ჯგუფებისა და სხვადასხვა შემოსავლების მქონე მოსახლეობის მიმართ. ცხოვრების პირობების შეფასებისას უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საოჯახო მეურნეობებისა და ცალკეული პიროვნებების შესაწავლა.

ცხოვრების პირობების შესწავლა წარმოადგენს ინტეგრირებულ პროცესს, რომელიც მოიცავს მრავალ თემას. კვლევის პროგრამის დანიშნულებას წარმოადგენს კეთილდღეობისა და მისი განაწილების კომპლექსური მაჩვენებლების მიღება, რაშიც შედის ფულადი ასპექტები, სოციალური სამსახურების ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენების ხარისხი. ასევე მათი საშუალებით შესაძლებელია ეკონომიკური პირობებისა და სახელმწიფო პროგრამების ცვლილების შემთხვევაში საოჯახო მეურნეობების რეაქციის განსაზღვრა. კვლევასთან დაკავშირებული კითხვარები მოიცავს მრავალ სფეროს, მაგრამ ძირითადად მიმართულია ჯანდაცვის, განათლების, კვებისა და ფერტილურობის შესწავლაზე.

კვლევის მეთოდოლოგია მიზანმიმართულია არა მარტო პრობლემის გამოვლენაზე, არამედ მისი გადაჭრის საშუალებების მოპოვებაზე. საქართველოში სიღარიბის ზღვარს გადალახული მოსახლეობის ოდენობის, მათი ადგილმდებარეობისა (საცხოვრებლის) და საქმიანობის სფეროს გამოვლენა არის კვლევის მხოლოდ ერთი ნაწილი. სიღარიბესთან ბრძოლისათვის ეფექტური გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა. მნიშნველოვანია ის ფაქტი, თუ რა ზეგავლენას ახდენს

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციაზე, სიღარიბის სტრუქტურასა და დინამიკაზე სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების კვლევა იწარმოება შემდეგი პირობების დაცვით:

1. საკმარისი სიზუსტით განსაზღვრა:
   - ღარიბთა რაოდენობა;
   - მატერიალური სარგებლის განაწილება;
   - ცვალებადი მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ მოქალაქეების ან საოჯახო მეურნეობების მდგომარეობას. მაგალითად, დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი, შიმშილის პროცენტული მაჩვენებელი და მოხმარების საშუალო დონე.
2. დახასიათება ან ანალიზი:
   - სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების მახასიათებლების;
   - სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მომსახურების (სამედიცინო მომსახურება, განათლება, წყლით მომარაგება, ელექტრომომარაგება, სატრანსპორტო ქსელი და სხვ.) ხელმისაწვდომობა ან გამოყენების დონე;
   - მსხვილ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა;
   - გადასახადებისა და დოტაციების გადანაწილება ყველაზე ხშირად მოხმარებაში მყოფ საქონლის ჯგუფებზე.
3. დამატებითი მონაცემები, როგორც წესი, აუცილებელია:
   - პროგრამის რეალიზაციის შედეგად განხორციელებული ზემოქმედების შეფასება;
   - პროგრამის ეფექტურობის შეფასება გაწეული ხარჯების შეფასების საფუძველზე.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების შესწავლის პროგრამაში საორიენტაციო მაჩვენებლებია:

1. **განათლება:** განათლების მიღწეული დონე; მიღებული პროფესიული მომზადება; დაუსრულებელი განათლება; ასაკი სასკოლო განათლების მიღებისას; მომზადება, უშუალოდ დაკავშირებული სამუშაოსთან; არაპროფესიული განათლება; უცხო ენების ცოდნა; ზედმეტი ან არასაკმარისი კვალიფიკაცია (იგულისხმება იმ სამუშაოს მიმართ, რომელსაც ასრულებს პიროვნება კონკრეტულ მომენტში).

2. **სოციალური და გეოგრაფიული მობილურობა:** მშობლების განათლების დონე; მშობლების სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფი; მონაცემები მშობელთა ეროვნების (მოქალაქეობის) შესახებ; სწავლა-განათლება და მუშაობა სხვა რეგიონებსა და სახელმწიფოებში.

3. **დასაქმება**: ეკონომიკური აქტიურობა (სამუშაოს არსებობა, დამატებითი დასაქმების წყაროები, სამუშაოს დაკარგვის რისკი, უმუშევრად ყოფნა); სამუშაო პირობები (სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, არასრული სამუშაო დრო წლის განმავლობაში, არასრული სამუშაო დროს მიზეზები, არასტანდარტული სამუშაო გრაფიკი, სამუშაო, რომელიც იწვევს ფიზიკურ [ფსიქიკურ] გადაღლილობას, დაკმაყოფილება სამსახურით, შემოქმედებითი მიდგომა სამუშაოსადმი).

4. **შემოსავლები**: შემოსავლის დონე და სტრუქტურა საოჯახო მეურნეობაზე გადაანგარიშებით; პირადი შემოსავალი სამუშაოდან; საათობრივი შემოსავალი სამუშაოდან; ოჯახში არსებულ წევრთა შორის ხელფასის მქონე პირების გამოყოფა; პრობლემები, დაკავშირებული მიმდინარე ხარჯების გაწევასთან; რეგულარული ყოველთვიური დანაზოგი; ერთი წლის მანძილზე გამომუშავებული წმინდა აქტივების გამოყოფა; შემოსავლების ოდენობით დაკმაყოფილების დონე.

5. **მოხმარება**: ხარჯები დაკავშირებულები კვებასთან, საცხოვრებელ ადგილთან (და კომუნალურ მომსახურებასთან) და ბავშთა აღზრდასთან დაკავშირებული; საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მასმედიის, საკომუნიკაციო მოწყობილობების, დასვენებისათვის საჭირო მოწყობილობისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა.

6. **საცხოვრებელი პირობები:** საცხოვრებელი ადგილის ტიპი (საკუთარი თუ ქირით აღებული უძრავი ქონება, კომუნალური [გამოცალკევებული], ბინა [საკუთარი სახლი], სხვა საცხოვრებელი ადგილის ხელმისაწვდომობა); საცხოვრებელი ფართი; ზოგადი კეთილმოწყობილობის არსებობა; სხვადასხვა მომსახურების სიახლოვე (უახლოესი სასურსათო მაღაზია, საფოსტო განყოფილება, საავადმყოფო (პოლიკლინიკა)).

7. **სატრანსპორტო რესურსები:** უახლოესი სამარშრუტო ტრანსპორტის გაჩერება (სარკინიგზო სადგური), ავტომანქანის არსებობა, სამსახურში მგზავრობის რეგულარული საათები.

8. **ჯანმრთელობა:** ხანგრძლივი ან შეზღუდული შრომისუნარიანობა; სხეულის მასის ინდექსი (სიმაღლე, წონა); გადაადგილებასთან დაკავშირებული

სიძნელეები; ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება; მოწევა; ჯანდაცვის სამსახურებში ვიზიტების სიხშირე; ჯანმრთელობის პროფილაქტიკა; მედიკამენტების მიღების სიხშირე.

9. **დასვენება:** გაზეთების კითხვა და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება; რეგულარული სპორტული ვარჯიშები; ანაზღაურებადი საშვებულებო დღეების რაოდენობა წლის განმავლობაში; შვებულების გატარება ქალაქგარეთ და საზღვარგარეთ.

10. **სოციალური კონტაქტები**: ოჯახის წევრების შემადგენლობა; ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა; მარტოხელობის ხანგრძლივობა; მეზობლებთან, მეგობრებთან, მშობლებთან, შვილებთან და ნათესავებთან შეხვედრების სიხშირე; საქველმოქმედო აქციებში რეგულარული მონაწილეობა.

11. **საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა:** უკანასკნელ ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა; პროფკავშირში, პოლიტიკურ პარტიაში, საეკლესიო (რელიგიურ) ორგანიზაციასა და სხვა ორგანიზაციებში წევრობა.

12. **უსაფრთხოება:** საკუთარი უსაფრთხოების შიში; დაზარალებულები ქურდობის, ფიზიკური ძალადობისა თუ მუქარისაგან.

მაჩვენებელთა ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების შემსწავლელი კითხვარები მოიცავს ისეთ თემებს, რომლებიც წარმოადგენს სპეციალიზირებული შესწავლის ობიექტებს, მათ შორის ისეთ გავრცელებულსა და ცნობილს, როგორიც არის დასაქმებისა და საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტების საკითხის შესწავლა.

განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაცია რაიმე კონკრეტული თემის შესახებ, რომელიც მოიპოვება ცხოვრების პირობების კომპლექსური შესწავლის პროგრამით, უფრო ზედაპირულია, ვიდრე სპეციალიზირებული შესწავლის დროს. მიუხედავათ ამისა, ვინაიდან ცხოვრების პირობების კვლევის პროცესში გროვდება ინფორმაცია კეთილდღეობის მრავალი ასპექტის შესახებ, ეს კვლევები გვაძლევენ არა მარტო შეკვეცილი სახით ინფორმაციას კეთილდღეობის მრავალი ასპექტის თაობაზე, არამედ გვაძლევენ საშუალებას შევისწავლოთ სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედება.

აღნიშნულ მაჩვენებელთაგან ზოგიერთი სპეციალური გამოკვლევების ჩატარებას მოითხოვს, რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, სამაგიეროდ მიღებული მონაცემების საფუძველზე უკეთ იქნება შესწავლილი

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობები, რაც ცხოვრების დონისა და მისი დიფერენციაციის განმსაზღვრელია.

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და პირობების შესახებ ინფორმაციულ წყაროს ანგარიშგებისა და სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური გაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს. ცხოვრების ხარისხისა და პირობების მაჩვენებელთა შესწავლა მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლებით იწყება.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, ბოლო წლებში, დინამიკაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება (დიაგრამა2.1.1.): 2010 წელს მოსახლეობის რიცხოვნობა 4436.4 ათ კაცს შეადგენდა, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 51 ათ, კაცით მეტია (ზრდის ტემპი 101.2%-ს შეადგენს), 2005 წლის მაჩვენებელზე – 114.9 ათ. კაცით მეტია (ზრდის ტემპი 102.7%-ს შეადგენს), სამაგიეროდ ნაკლებია 1989 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 964.4 ათ. კაცით.

დიაგრამა 2.1.1.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, რაც მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ფაქტორს წარმოადგენს. 2009 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 63377 ბავშვით განისაზღვრა, რაც 2005 წელთან შედარებით 16865 ბავშვით (მატების ტემპი – 36.4%), ხოლო 2000 წელთან შედარებით – 14577-ით მეტია (მატების ტემპი – 29.9%).

შობადობის დონე საქართველოში 1990 წელს 92.8 ათ კაცს წარმოადგენდა, ხოლო 2009 წელს – 63.4 ათასს. შესაბამისად, დაბადებულთა რაოდენობა შემცირდა 29.4 ათ. კაცით. მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე შობადობის მაჩვენებელი 1990 წლისათვის 17.1 შეადგენდა, ხოლო 2009 წლისათვის კი – 14.4. ეს კი 19 წლის განმავლობაში შობადობის მკვეთრ კლებაზე მიგვითითებს (დიაგრამა 2.1.2). ბოლო 4-5 წლის განმავლობაში შობადობის დონე მკვეთრად გაიზარდა. დაბადებულთა რიცხოვნობის მატება მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონითა და დამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობებით უნდა აიხსნას, თუმცა აქ მნიშვნელოვანია არა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები, არამედ ქორწინების მაღალი მაჩვენებელი (2009 წელს ქორწინებათა რიცხვი შეადგენდა 31.8 ათასს, რაც 2008 წელთან შედარებით 0.4 ათასით მეტია, 2005 წელთან შედარებით 13.8 ათასით, 2000 წელთან შედარებით – 18.9ათასით, ხოლო ნაკლებია 1990 წელთან შედარებით 5.0 ათასით ნაკლებია.) და მრავალშვილიანობის მატება, რასაც უფრო რელიგიური საწყისები აქვს საფუძვლად დადებული, ვიდრე ეკონომიკური.

1990 წლის მონაცემებით ბუნებრივი მატება 42.1 ათ. კაცს შეადგენდა, 2003 წელს იგი 0.1-ის ტოლი იყო, 2006 წელს – 5.5, ხოლო 2009 წელს – 16.8 ათ. კაცით განისაზღვრა.

დიაგრამა 2.1.2.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქორწინების რიცხვის ზრდასთან ერთად კატასტროფულად გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი. მისმა რაოდენობამ 2009 წელს შეადგინა 4.0 ათასი, რაც 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2-ჯერ მეტია, ხოლო წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით კი – 2.1 ათასი კაცით მეტი.

სიცოცხლის ხანგრძლივობამ ბოლო ხუთი წელია საგრძნობლად მოიმატა (დიაგრამა2.1.3). თუ საშუალოდ 71.4 წელს ცოცხლობდა საქართველოს მოქალაქე 1990 წელს, 2005 წელს სიცოცხლის ხანგრძლივობა 2.6 წლით გაიზარდა, 2007 წელს – 75.1 წელი შეადგინა, ხოლო 2009 წლისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი შემცირდა და 73.6 წელი შეადგინა, ამასთან, ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 77.7 წელია, მამაკაცების კი – 69.2 წელი.

დიაგრამა 2.1.3.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ყოველივე გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ სფეროზე.

საქართველოს მოსახლეობის საცხოვრისის 2007 წლის მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობის 40 % ცხოვრობს 1960 – 1979 წლებში აშენებულ სახლებსა თუ ბინებში, 22.8 % – 1980 – 1983 წელს აგებულში და მხოლოდ მოსახლეობის 0.8 % ცხოვრობს 2000 წლის შემდეგ აგებულ

საცხოვრისში (დიაგრამა 2.1.4.). რაც ასევე მოსახლეობის შესაძლებლობების არქონაზე მიუთითებს შეიძინოს ახალი საცხოვრისი.

დიაგრამა 2.1.4.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის ცხოვრების პირობების შესწავლის პროგრამაში მნიშვნელოვანია მისი განათლების დონე. საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.1% იყო განათლების გარეშე 2006 წლის მონაცემებით, ხოლო 2007 წელს იგი გაიზარდა და 0.4 % შეადგინა, რაც ასევე მოსახლეობის მძიმე სოციალური პირობებით აიხსნება ( სასწავლო ნივთებისა და პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად თანხის უქონლობის, ასევე მაღალი სწავლის საფასურისა და ა. შ ) 2009-2010 სასწავლო წელს 2001-2002 სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხოვნობა, მოსახლეობის 10000 კაცზე გადაანგარიშებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შემცირდა 178 კაცით, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 102 კაცით (დიაგრამა 2.1.5.).

დიაგრამა 2.1.5.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა ( ეკონომიკურად აქტიური – პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება. ) 2010 წელს 1944.9 ათას კაცს შეადგენდა, რაც 105.9 ათასი კაცით ნაკლებია 2003 წლის, ხოლო 27.9 ათ. კაცით ნაკლებია 1998 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე. მ. შ. დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წელს 2003 წელთან შედარებით 10.3%-ით, 1998 წელთან შედარებით კი – 5.8% შემცირდა, აქედან თვითდასაქმებულთა რაოდენობა 1989 წელთან მიმართებაში კი – 2%-ით იზრდება (დიაგრამა2.1.6.).

დიაგრამა 2.1.6.




| | 2004 წელი | 2006 წელი | 2008 წელი | 2010 წელი |
|---|---|---|---|---|
| დასაქმებული | 1783.3 | 1747.3 | 1601.9 | 1628.1 |
| უმუშევარი | 257.6 | 274.5 | 315.8 | 316.9 |

წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზრდის ტენდენციით ხასიათდება უმუშევრობის დონე, 2010 წელს იგი 16.3%-ით განისაზღვრა, რაც მეტია 1998 წელთან შედარებით 3.9%-ით, 2003 წელთან კი – 4.8%-ით. შესაბამისად კლებულობს დასაქმების დონე 2010 წელს 1998 წელთან მიმართებაში – 3.5%-ით, 2003 წელთან კი – 4.8%-ით.

დასაქმებულთა ყველაზე მეტი წილი მოდის ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში დასაქმებულებზე – 17.3%, დამამუშავებელ მრეწველობაში მომუშავეებზე – 17.1%, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მუშაკებზე – 13.8%, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში დასაქმებულებზე – 13.3% და მშენებლობაზე მომუშავეებზე – 11.2 %.

თუ გადავხედავთ საქართველოს შინამეურნეობათა შემოსავლებს სტრუქტურულ ჭრილში, დავინახავთ, რომ იზრდება ფულადი შემოსავლებსა და ტრანსფერტების მოცულობა 2010 წელს ( შემოსავლების მთლიანი მოცულობის 70.5 % უჭირავს ) 2008 წელთან შედარებით 27.2%-ით. მისი მოცულობის ზრდა განპირობებულია დაქირავებული შრომიდან შემოსავლების ზრდის საფუძველზე, რომელიც მთლიანი შემოსავლების 31.4%-ს შეადგენს და გაზრდილია 2008 წლის მაჩვენებელთან შედარებით 0.5%-ით. დინამიკაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება შემოსავლები მიღებული პენსიების, სტიპენდიებისა და

დახმარებების სახით, რომელიც 2008 წელთან შედარებით იგი იზრდება 32.1 %-ით. შემოსავლები ასევე იზრდება ახლობლებისაგან მიღებული ფულის (იზრდება 2008 წელთან შედარებით 56.1 %-ით) ნიადაგზე. სამაგიეროდ, უმნიშვნელო ზრდას განიცდის მოსახლეობის შემოსავლები თვითდასაქმებიდან, რომელიც მთლიანი შემოსავლების 8.6%-ს შეადგენს და 5.9%-ით მეტია 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (დიაგრამა2.1.7.).

დიაგრამა 2.1.7.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შინამეურნეობების საშუალოთვიური ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მეტად სჭარბობს სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეული დანახარჯები, რომელიც მთლიანი ხარჯების 69.9%-ს შეადგენს ; ასევე მოსახლეობის ხარჯების სტუქტურაში დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა სათბობსა და ელექტროენერგიაზე გაწეული დანახარჯები – 8.2 %, ხარჯები ტრანსპორტზე – 7.1 %, ჯანდაცვაზე – 6.9 % და ა. შ. ქონების შეძენაზე გაწეული დანახარჯები კი ხარჯების სტრუქტურაში მხოლოდ 3.6%-ს შეადგენს, თუმცა იგი წინა პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა (დიაგრამა2.1.8.). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობის შემოსავლები

დინამიკაში იზრდება, მაშინ რატომ არ კლებულობს დანახარჯების წილი პირველადი მოხმარების საგნებსა და საკვებზე და რატომ არ იზრდება დანახარჯების წილი ფუფუნების საგნებსა და ქონებაზე ( ე. ენგელის კანონის თანახმად) მოსახლეობის შემოსავლები კი იზრდება, მაგრამ ლარის მსყიდველობითუნარიანობა კლებულობს და მოსახლეობის დაბალ და საშულო ფენას არ ძალუძს მიღებული შემოსავლით მთლიანად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება, პირველ რიგში, სწორედ პირველადი მოთხოვნილების და არა ფუფუნების საგნებზე.

დიაგრამა 2.1.8.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

200 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობების სამომხმარებლო ფულად ხარჯებში სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი შეადგენს 56.3%-ს ; 200-დან 400 ლარამდე

შემოსავლის მქონე შინამეურნეობების – 53.2%-ს ; 400-დან 600 ლარამდე – 46.6%-ს ; 600-დან 800 ლარამდე 43.2%-ს ; 800-დან 1000 ლარამდე – 40.1%-ს ; 1000-დან 2000 ლარამდე – 34.5%-ს; ხოლო 2000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები კი მხოლოდ 25.2%-ს ხარჯავენ სურსათის, სასმელისა და თამბაქოს ნაწარმის შესაძენად, განსხვავებით დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობისაგან, რომლებიც მთლიანი ხარჯების თითქმის ნახევარს იყენებენ საკვების შესაძენად. აღნიშნული სხვაობა მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და დონის მძლავრ დიფერენციაციაზე მეტყველებს.

მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში კვების პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებსა თუ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილის ზრდა მოსახლეობის რთულ ცხოვრების პირობებზე მიუთითებს, რაც ცხოვრების დონის დაქვეითებითაა განპირობებული.

ცხოვრების ხარისხისა და პირობების შესწავლისას გასათვალისწინებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის არა მხოლოდ მდგომარეობა, არამედ, თუ რა ხარჯებს ეწევა მოსახლეობა საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავავად. 2009 წელს პირველადი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების 1169.5 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 2004 წელთან შედარებით 88.3%-ით, 0-14 წლამდე ასაკის ბავშვებში კი – 66.1%-ით მეტი. აივ-ით ინფიცირებისა და შიდსით დაავადების შემთხვევათა რიცხვმა 2009 წელს 2004 წელთან შედარებით თითქმის 4–ჯერ მოიმატა. აღნიშნულ პერიოდებში, ასევა გაიზარდა ტუბერკულიოზით დაავადების ახალი შემთხვევები 10.8%-ით, პირველადი სასწრაფო დახმარება კი გაეწია 4-ჯერ მეტ ავადმყოფს. მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელობის მხრივ ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა (იზრდება ექიმებთან მიმართვის რიცხვი დიაგრამა2.1.9.), რაც აისახება ადამიანთა შრომისუნარიანობაზე, მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული წილის სიდიდეზე და სხვა.

დიაგრამა 2.1.9.




წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ერთი შინამეურნეობის მიერ გაწეული საშუალოთვიური ხარჯების სტრუქტურაში, ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული დანახარჯები დინამიკაში იზრდება. 2010 წელს ერთი შინამეურნეობა ჯანდაცვაზე თვეში საშუალოდ 40.7 ლარს ხარჯავს, რაც 3-ჯერ მეტია 2004 წელთან (15.3 ლარი) შედარებით.

მოსახლეობის დამაკმაყოფილებელ ცხოვრების ხარისხსა და პირობებს მისი უსაფრთხო ცხოვრებაც განაპირობებს. რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა დინამიკაში კლებულობს 2010 წელს სამართალდარღვევებმა შეადგინა 34739 ერთეული (2005 წელთან შედარებით შემცირდა 19.7%-ით) მ.შ. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული 543 (2005 წელთან შედარებით შემცირდა 58.9%-ით), მძიმე დანაშაული 9987 (2005 წელთან შედარებით შემცირდა 58.9%-ით) ერთეულით განისაზღვრა (დიაგრამა2.1.10.).

დიაგრამა 2.1.10.




| | 2005 წელი | 2006 წელი | 2007 წელი | 2008 წელი | 2009 წელი | 2010 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ■ დანაშაულთა რაოდენობა | 43266 | 62283 | 54746 | 44644 | 35949 | 34739 |

წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა, რომ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და პირობები საკმაოდ მძიმეა და დიფერენცირებული. თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანში ტარდება სოციალური დაცვის ღონისძიებანი. ყველა ცივილიზებული სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეები ეკონომიკური და სოციალური გაჭირვებისაგან. ყოველივე კი დამოკიდებულია შესაბამისი პროგრამების დაფინანსებისაგან, რომელიც განისაზღვრება ეკონომიკის შესაძლებლობებით.

## 2.2 ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესასწავლად გამოიყენება გაეროს ექსპერტების მიერ რეკომენდირებული საინფორმაციო ეკონომიკური მაჩვენებლები. „ეს მაჩვენებლებია: ეროვნული შემოსავალი ან მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, სოციალური მომსახურების რაოდენობა და სახეები, მოსახლეობის სიმჭიდროვე, კავშირგაბმულობის საშუალებები, ბეჭდვითი სიტყვა და სხვა. აღნიშნულ მაჩვენებელთაგან შეიძლება გამოვყოთ ზოგადი და კერძო ინდიკატორები. ზოგადს შეიძლება მივაკუთვნოთ: მთლიანი შიდა პროდუქტი ან მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე; ცხოვრების ღირებულების ინდექსი; მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობის ინდექსი და მოსახლეობის პოტენციალური განვითარების ინდექსი. ხოლო კერძო მაჩვენებლებია საშუალო შემოსავლები, საშუალო ხელფასი, კვების პროდუქტების მოხმარება, საშუალო დანახარჯები და სხვა. ზოგადი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ზოგადად დავახასიათოდ მოსახლეობის ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, ხოლო კერძო მაჩვენებლები ცალკეული ინდიკატორების მეშვეობით ახასიათებენ ცხოვრების დონის ამა თუ იმ მხარეს.'' (გაბიძაშვილი 2008:161)

მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც საბაზრო ფასებში გამოსახული ქვეყნის მოცემულ ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებაა შუალედური მოხმარების გარეშე ანუ დამატებით ღირებულებათა ჯამი მოსახლეობის ერთ სულზე ზოგადად ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისას. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდგენს 2005 წელს – 2689.1 ლარს, 2006 წელს – 3133.1 ლარს, 2007 წელს – 3866.9 ლარს, ხოლო 2008 წელს – 44352.9 ლარს, 2009 წელს – 4101.3 ლარს, 2010 წელს კი – 4686.5 ლარს. (წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

2010 წელს მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე წინა წელთან შედარებით14.3%-ით გაიზარდა, 2005 წელთან მიმართებაში კი – 74.3%-ით. საშუალო აბსოლიტური მატება, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით, ტოლია :

$\overline{\Delta}= \frac{\sum_{t=1}^{n-1}\Delta_t}{n-1} = 499$ ლარის

სადაც, $\Delta_{t-1}= y_t - y_{t-1}$

ცხოვრების ღირებულების ინდექსი გაიანგარიშება სამომხმარებლო ფასების ჰარმონიული ინდექსით:

$$\mathbf{I} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}$$

სადაც $q_1$ არის სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა საანგარიშო პერიოდისათვის;

$p_1$ – სამომხმარებლო საქონლის ან მომსახურების ერთეულის საბაზრო ფასი ან ტარიფია საანგარიშო პერიოდისათვის;

i _ ცალკეული სახის სამომხმარებლო საქონლის ფასის ან მომსახურების ტარიფის ინდივიდუალური ინდექსია, რომელიც დვიჩვენებს ფასების ცვლილებას საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით.

სამომხმარებლო საქონელში გაერთიანებულია ორი ჯგუფის საქონელი: სასურსათო და არასასურსათო. ხოლო მომსახურებაში შეიტანება სატრანსპორტო, საბინაო–კომუნალური, ჯანდაცვის, განათლების და სხვა სახის მომსახურებანი.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი შემდეგი დინამიკური მწკრივების სახითაა წარმოდგენილი:

ცხრილი 2.2.1.

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან | **108.2** | **109.2** | **109.2** | **110.0** | **101.7** | **107.1** |
| დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან | **106.2** | **108.8** | **111.0** | **105.5** | **103.0** | **111.2** |

შინაარსობრივად ინდექსი განსაზღვრავს ცხოვრების ღირებულების გაძვირებას ან გაიაფებას. როგორც ვხედავთ, ცხოვრება 2010 წელს წინა

წელთან შედარებით 7.1%-ით გაძვირდა, ხოლო დეკემბერში წინა 2009 წლის დეკემბერთან მიმართებაში – 11,2%-ით.

მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი სამომხმარებლო ფასების ინდექსის შებრუნებული სიდიდეა:

$$\mathbf{I} = \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_1 p_1}$$

მისი შინაარსი იმაში გამოიხატება, თუ რა რაოდენობით მეტი, თუ ნაკლები საქონელი და მომსახურება შეუძლია შეიძინოს მოსახლეობამ საანგარიშო პერიოდში ფულის იმავე რაოდენობით რაც საბაზისო პერიოდში ჰქონდა. ე.ი მოსახლეობას ერთი და იმავე ფულის ოდენობით, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით შეუძლია შეიძინოს 0.9%-ით ნაკლები საქონელი და მომსახურება.

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დამახასიათებელ ინტეგრალური შეფასებების გამოყენების ნათელ მაგალითს წარმოადგენს “ადამიანური პოტენციალური განვითარების ინდექსი”, რომელიც შემუშავებული და გამოქვეყნებული იქნა 1990 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიურ მოხსენებებში ადამიანის განვითარების შესახებ (Human Development Report, UNDP).

პირველ მოხსენებაში სამეცნიერო სივრცეში შეყვანილ იქნა კატეგორია “ადამიანური განვითარება”, რომელიც აღიქმება არა მხოლოდ როგორც ადამიანების შემოსავლების უზრუნველყოფა, არამედ მათი ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებელი არის, ქმედების და სიტყვის თავისუფლების, ასევე სხვა სოციალურ-ეკონომიკური პირობების განვითარების უზრუნველყოფა. მოხსენებაში შემოთავაზებული იყო ასევე საზომი – “ადამიანური განვითარების ინდექსი” (აგი), რომელშიც ერთობლივად აისახება სიცოცხლის ხანგრძლივობა, ზრდასრული მოსახლეობის განათლებულობის დონე და მისი შემოსავლები. შემდგომში განხორციელებული იქნა მეთოდოლოგიის გაღრმავება “ადამიანური პოტენციალის მყარი განვითარების” მიმართულებით. შემოთავაზებული იქნა გამოანგარიშების დაზუსტებული მექანიზმი – “ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი”, ასევე ადამიანური პოტენციალის განვითარების სფეროში სხვადასხვა ასპექტების განსაზღვრის მიზნით, შემოთავაზებულ იქნა მთელი რიგი კომპლექსური მაჩვენებლებისა.

ეროვნული მონაცემები ადამიანური პოტენციალის განვითარების სფეროში, დეზაგრეგირებულები რეგიონების, გენდერული ნიშნის, ეთნიკური ჯგუფების ან სოფლისა და ქალაქის რაიონების მიხედვით, მეტყველებენ მნიშვნელოვანი სხვაობების არსებობის შესახებ ცალკეული ქვეყნების შიგნით.

1995 წლის მოხსენებაში ადამიანის განვითარების შესახებ შემოთავაზებული იქნა განვითარების ინდექსი გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით და ქალების შესაძლებლობების გაფართოების მაჩვენებელი. მოცემული ერთობლივი მაჩვენებლები ასახავენ ადამიანის განვითარების სფეროში გენდერულ დისპროპორციებს. განვითარების ინდექსი გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით - ყურადღებას აქცევს ადამიანის ბაზისური განვითარების სფეროში მიღწევებს გენდერული დისპროპორციების გათვალისწინებით, ხოლო ქალების შესაძლებლობების გაფართოების მაჩვენებელი – საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობების კონტექსტში.

1997 წლის მოხსენებაში ადამიანის განვითარების შესახებ პირველად იქნა შემოთავაზებული სიღარიბის კონცეფციის განსაზღვრება და შემუშავებული იქნა შესაბამისი ერთობლივი მაჩვენებელი – “მოსახლეობის სიღარიბის ინდექსი”. თუკი განვითარების ინდექსი გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით გვეხმარება განვსაზღვროთ მიღწევების საშუალო დონე ადამიანის განვითარების ბაზისური ასპექტების სფეროში, მოსახლეობის სიღარიბის ინდექსი ემსახურება ამავე ასპექტების კონტექსტში გაჭირვების მაშტაბების განსაზღვრას.

განვითარების ინდექსი გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით

| | დღეგრძელობა | ცოდნა | | ღირსეული ცხოვრების დონე |
|---|---|---|---|---|
| მაჩვენებელი | სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ქალებსა და მამაკაცებში | ზრდასრული ქალებისა და მამაკაცების წერა-კითხვის ცოდნის დონე | მოსწავლე ქალებისა და მამაკაცების ერთობლივი წილი | ერთ სულ მოსახლეზე მშპ შემოსავალი კორექტირებული სახით ქალებისა და მამაკაცების შრომითი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | შემოსავალის წილის გათვალისწინებით, ყიდვითი შესაძლებლობების პარიტეტი აშშ დოლარში |
| ინდექსი ასპექტის მიხედვით | სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი ქალებსა და მამაკაცებში | ქალებისა და მამაკაცების მიღწეული განათლების დონის წილი | | ქალებისა და მამაკაცების კორექტირებული სახით შემოსავლების ინდექსი |
| თანაბარზომიერად განაწილებული ინდექსი | სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თანაბარზომიერად განაწილებული ინდექსი | მიღწეული განათლების დონის თანაბარზომიერად განაწილებული ინდექსი | | შემოსწავლის თანაბარზომიერად განაწილებული ინდექსი |

ქალების შესაძლებლობების გაფართოების მაჩვენებელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება | მონაწილეობა და უფლებამოსილებანი გადაწყვეტილებების მიღებაში ეკონომიკურ სფეროში | | ეკონომიკური რესურსების განკარგვის უფლებამოსილებანი |
| მაჩვენებელი | საპარლამენტო თანამდებობებ | ადმინისტრაციული და | სპეციალისტების ა და ტექნიკური | მშპ ერთ სულ მოსახლეზე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ის მქონე ქალებისა და მამაკაცების წილი | მმართველი თანამდებობების მქონე ქალებისა და მამაკაცების წილი | მუშაკების თანამდებობებზე ქალებისა და მამაკაცების წილი | ქალებისა და მამაკაცების შრომითი შემოსავალის წილის გათვალისწინებით, ყიდვითი შესაძლებლობების პარიტეტი აშშ დოლარში |
| ეკვივალენტური პროცენტი თანაბარი განაწილებისას | საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლობაში ეკვივალენტური პროცენტი თანაბარი განაწილებისას | ეკონომიკური მონაწილეობისთვის ეკვივალენტური პროცენტი თანაბარი განაწილებისას | | შემოსავლისთვის ეკვივალენტური პროცენტი თანაბარი განაწილებისას |

ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორი – ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენადაა ადამიანი მოცემულ ქვეყანაში სულიერად ამაღლებული და მაღალზნეობრივი. „გაეროს მეცნიერ-ექსპერტების მიერ რეკომენდირებულია ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსის გაანგარიშება, რომელიც ასახავს ადამიანის განვითარების სფეროში სამი ძირითადი შესაძლებლობის მიღწევის დონეს, როგორიცაა დიდხანს სიცოცხლე, განათლებისა და ცოდნის მიღება და ღირსეული ცხოვრების დონე. ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი მოიცავს ცხოვრების დონის სამ ძირითად მაჩვენებელს, ესენია: მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება მოსახლეობის ერთსულზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე. ეს მაჩვენებლები თვისებრივად არაერთგვაროვანი

ინდიკატორებია და სხვადასხვა ზომის ერთეულებში გამოისახება. ისინი არ ხასიათდებიან მულტიპლიკატურობის და ადიტიურობის თვისებებით. მათი ერთმანეთზე გადამრავლება და შეკრება არ შეიძლება. ამიტომ, გაეროს ექსპერტებმა მიმართეს ამ მაჩვენებელთა ნორმირებას, ანუ ერთი ზომის ერთეულებში გამოსახვის მეთოდს, სტატისტიკაში ფართოდ გამოყენებად ნორმირებული გადახრის ფორმულას:

$$t = \frac{x-\bar{x}}{\sigma}$$

სადაც t – ნორმირებული (სტანდარტიზირებული) გადახრაა;

$x$ - შესასწავლი ნიშნის ფაქტობრივი მნიშვნელობა;

$\bar{x}$ - საშუალო მნიშვნელობა;

$\sigma$ - ვარიაციის საშუალო კვადრატული გადახრა.

ექსპერტებმა ეს ფორმულა დაუდეს საფუძვლად მოსახლეობის პოტენციალური განვითარების ინდექსის თითოეული კომპონენტის სუბინდექსის გასაანგარიშებლად, სადაც $\bar{x}$ შეცვლილია ვარიანტების მინიმალური მნიშვნელობით, ხოლო $\sigma$ ვარიაციის საშუალო კვადრატული გადახრა – ვარიაციის დიაპაზონით.

$$K = \frac{x_i - x_{i\,min}}{x_{i\,max} - x_{i\,min}}$$

სადაც $x_i$ – $i$ ური მაჩვენებლის ფაქტობრივი მნიშვნელობაა მოცემულ ქვეყანაში;

$x_{i\,min}$ – $i$ ური მაჩვენებლის მინიმალური მნიშვნელობაა;

$x_{i\,max}$ – $i$ ური მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობაა.

თუ ზემოთ მოტანილ მაჩვენებლებს დავალაგებთ შემდეგი თანმიმდევრობის მიხედვით:

1. მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე;
2. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;
3. განათლების დონე.

მაშინ $K_1$ იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის სუბინდექსი; $K_2$ - სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სუბინდექსი; $K_3$ - განათლების სუბინდექსი."(გაბიძაშვილი 2008:164)

გაეროს ექსპერტებს შემუშავებული აქვთ თითოეული მაჩვენებლის მანიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობების დადგენის რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებით მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ თვეში გათვალისწინებულია მინიმალურ მნიშვნელობად 100 აშშ დოლარი, ხოლო მაქსიმალურ მნიშვნელობად 5448 აშშ დოლარი. მაშასადამე სუბინდექსს შემდეგი სახე ექნება:

$$K_1=\frac{x-100}{5448-100}$$

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 2008 წელს შეადგენდა 2921.1 აშშ დოლარს, 2010 წელს კი – 2623.0 აშშ დოლარს. ამიტომ მთლიანი შიდა პროდუქტის სუბინდექსი 2008 წლისათვის ტოლია:

$$K_1=\frac{2921,1-100}{5448-100}=0,53$$

2010 წლისათვის:

$$K_1=0,47$$

სუბინდექსი კორექტირებული სახით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ინდექსია.

დაბადებისას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიმართ მაქსიმალურ მნიშვნელობად მიჩნეულია 85 წელი, ხოლო მინიმალურ მნიშვნელობად 25 წელი, მაშინ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სუბინდექსი იქნება:

$$K_2=\frac{x-25}{85-25}$$

საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2008 წლისათვის 74.23 წელს შეადგენს, 2010 წლისათვის – 74.43 წელს, ამიტომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სუბინდექსის მნიშვნელობა 2008 წლისათვის განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$K_2=\frac{74,2-25}{85-25}=0,82$$

2010 წლისათვის:

$K_2$= 0, 82

სუბინდექსი განსაზღვრავს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას.

განათლების დონე ნაანგარიშევია ორი მაჩვენებლით: წერა–კითხვის უცოდინართა მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი 15 და მეტი მოზრდილი ასაკის მოსახლეობისათვის ( რომლებსაც ექსპერტთა აზრით უნდა ეჭიროთ მთლიან მოსახლეობაში 75% ანუ მთელი მოსახლეობის $^2/_3$ ) და 24 წლამდე ახალგაზრდობის ხვედრითი წილი, რომელიც სწავლობს დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. განათლების დონის სუბინდექსი მიიღებს სახეს:

$$K_3= \frac{2}{3} i_1 + \frac{1}{3}\ i_2$$

$i_1$ _ 15 და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილია;

$i_2$ _ 24 წლამდე ახალგაზრდობის ხვედრითი წილია მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, რომლებიც სწავლობენ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

გაანგარიშებების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში 15 და მეტი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი 2008 წლისათვის 0,83-ია. ანუ 15 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის 83% წერა-კითხვის მცოდნეა. ასევე დადგინდა, რომ 24 წლამდე ასაკის საქართველოს მოსახლეობის 53% სწავლობს დაწყებით, საშულო და უმაღლეს სასწავლებლებში. მაშინ, განათლების მიღწევის დონის სუბინდექსი ტოლია:

$$K_3= \frac{2}{3} 0,83 + \frac{1}{3}\ 0,53 = 0,73$$

2010 წლისათვის:

$K_3$= 0,6

განხილული სუბინდექსების საფუძველზე გაიანგარიშება ადამიანის პოტენციალური განვითარების სინთეზური, მთლიანი ინდექსი:

$$K = \frac{K_1 + K_2 + K_3}{3}$$

2008 წლისათვის K = 0,69

2010 წლისათვის K = 0,63

მოსახლეობის პოტენციალური განვითარების ინდექსის მნიშვნელობა მერყეობს 0-დან 1-მდე. 2010 წელს 2008 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის პოტენციალური განვითარების დონე უმნიშვნელოდ კლებულობს. მისი გამომწვევი ფაქტორებია:

- ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში მშპ (აშშ დოლარებში) მოცულობის შემცირება;
- მოსწავლეთა რაოდენობის კლება, რაც გამოწვეულია აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებით. (2010 წელს 2008 წელთან შედარებით ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებილებებში მოსწავლეთა რაოდენობა 20,8 ათასი კაცით შემცირდა.)

საქართველო, ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსის მნიშვნელობით უახლოვდება უკრაინის, სომხეთისა და რუსეთის შესაბამის მნიშვნელობებს, უსწრებს აზერბაიჯანსა და დიდად ჩამორჩება ადამიანის პოტენციალური განვითარების დონის მიხედვით ნორვეგიას, რომელიც უკვე რამოდენიმე წელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული სარეიტინგო სიის ლიდერია.

## 2.3. საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის თავისებურებანი

საზოგადოების დაყოფა ჯგუფებზე (სტრატებზე), ე.ი. სოციალური სტრატიფიკაცია – ობიექტური პროცესია, რომელიც გამოიხატება საოჯახო მეურნეობების ან მოსახლეობის ერთგვაროვანი ქვეერთობლიობების ფორმირებით. ყველა მათგანს გააჩნია თავისებურებები სამომხმარებლო საქციელში, სხვადასხვა შრომითი მოტივაცია, ორიენტაცია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ ღირებულებებზე და ა.შ. საზოგადოებაში სოციალური დაყოფის მთავარ კრიტერიუმებს, დაფუძნებულებს საბაზრო მეურნეობაზე, წარმოადგენს შემოსავლისა და საკუთრების სიდიდე.

ვერცერთმა ეკონომიკურმა სისტემამ ვერ შესძლო აღმოეფხვრა შემოსავალთა და სიმდიდრის უთანაბრობა. მბრძანებლური სისტემის პირობებშიც კი სსრკ-ს ხულისუფლება იძულებული იყო უარი ეთქვა აბსოლიტური თანასწორობის პრონციპებზე და გადასულიყო შემოსავლების ფორმირების ახალ პრონციპზე : „ყველასგან - უნარის მიხედვით, ყველას – მოთხოვნილების შესაბამისად”, რადგან ადამიანებს გააჩნიათ განსხვავებული უნარი, მათ შრომასაც შესაბამისად აქვს სხვადასხვა ფასი, რასაც მოჰყვება არაერთგვარი შრომის ანაზღაურება, ანუ განსხვავება შემოსავლებში.

სსრკ-ში მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავლების დონე ნაკლებად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, მაგრამ უთანაბრობა მაინც არსებობდა. მოსახლეობის ერთ ნაწილს შეეძლო შეეძინა უფრო მეტი ღირებულების მოხმარების საგნები, ვიდრე დანარჩენს. სახელმწიფო და პარტიული აპარატის თანამშრომლებს ხელმძღვანელობა წაახალისებდა ხოლმე „არაფულადი შემოსავლებით“, ანუ დეფიციტური საქონლის შეძენის უფლებით დაბალ ფასებად ე.წ „დახურულ გამანაწილებლებში” (საწყობებში). ყოველი ამის შედეგი იყო მკვეთრი, მაგრამ შენიღბული განსხვავება ოჯახთა რეალურ შემოსავლებსა და სიმდიდრეს შორის.

სოციალური დაყოფის ძირითადი ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სახით: დემოგრაფიული (მეურნეობის ზომა, მისი წევრების სქესი და ასაკი, დასაქმებულებზე დემოგრაფიული დატვირთვა და ა.შ.); სოციალურ-ეკონომიკური

(შემოსავლების წყაროები, საოჯახო მეურნეობების წევრების განათლება და დასაქმება, საკუთრება და სხვა); გეოგრაფიული (ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რეგიონალური ეკონომიკის და პოლიტიკის თავისებურებანი შემოსავლების, დასაქმების, ღირებულების და სხვა სფეროებში). ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს მოსახლეობის დაყოფა შემოსავლების დონის მიხედვით.

მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური განსაზღვრის, მათი ფორმირების კანონზომიერების გამოვლენის, საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტების საფუძველზე გამოყენების და განაწილების გამოკვლევები დაფუძნებულია სტატისტიკური დაკვირვების ობიექტების ერთგვაროვნების პრინციპზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის საოჯახო მეურნეობებს შორის სხვაობის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

სოციალური დაყოფის სტატისტიკას საფუძვლად უდევს საოჯახო მეურნეობების (მოსახლეობის) განაწილების სტატისტიკური რიგების წყობა შემოსავლების დონის მიხედვით. მოცემული სტატისტიკური რიგები წარმოადგენენ საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტების სტატისტიკის მონაცემებს, რანჟირებულს შემოსავლების დონიდან გამომდინარე.

საოჯახო მეურნეობების ერთგვაროვანი ქვესახეობების გამოყოფა სხვადასხვა კრიტერიუმებით (საოჯახო მეურნეობის სიდიდე და ტიპი, შემოსავლების და მოხმარების დონეები და სხვა) წარმოადგენს ძირითად ამოცანას, რომლის გადაწყვეტაც ხდება სოციალური დაყოფის ანალიზისას. როგორც წესი, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის ხარისხი განისაზღვრება როგორც სხვაობა მთლიანად საოჯახო მეურნეობის ან მისი წევრის შემოსავლების მონაცემებში. დაყოფის ხარისხის შეფასებები განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა შემოსავლების დონით საოჯახო მეურნეობების ზომებს შორის სხვაობის არსებობის გამო. საოჯახო მეურნეობების სულადობრივი შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის შეფასებები მნიშვნელოვანია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ოჯახის ზოგადი მოთხოვნილებები ბუნებრივია იზრდება მის გაზრდასთან ერთად, მაგრამ არაპროპორციულად შედარებითი ეკონომიის გამო, განსაკუთრებით ხანგრძლივი გამოყენების საქონელსა და საცხოვრებლის მიმართ.

საოჯახო მეურნეობების (მოსახლეობის) განაწილება საოჯახო მეურნეობების საშუალო სულადობრივი შემოსავლის დონის მიხედვით

წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის დონის მიხედვით მოსახლეობის დიფერენციაციის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

„XX საუკუნის 30-იან წლებში ფრანგმა ეკონომისტმა რ. ჟიბრამ დაამტკიცა, რომ ოჯახების და მისი წევრების განაწილებას შემოსავლების მიხედვით გააჩნია მარჯვენამხრივი ასიმეტრია და სწორდება ლოგარითმული ნორმალური განაწილებით.

ლოგარითმული ნორმალური განაწილება (ლოგნორმალური) – შემთხვევითი სიდიდის (ხ) განაწილება, რომლის ლოგარითმი (ლნხ) ექვემდებარება განაწილების ნორმალურ კანონს. ლოგონორმალური განაწილებისას ადგილი აქვს სიმეტრიულ განაწილებას ლოგარითმული ვარიანტებიდან საშუალო არითმეტიკულთან მიმართებაში და არა ვარიანტებიდან საშუალო არითმეტიკულთან მიმართებაში. მცირე დისპერსიის დროს ლოგნორმალური განაწილება ახლოსაა ნორმალურთან." (ნაზაროვი 2002:606)

ლოგნორმალური განაწილება განისაზღვრება ორი პარამეტრით: შემოსავლების საშუალო ლოგარითმი (lnXo) და შემოსავლების ლოგარითმის საშუალო კვადრატული გადახრა (σ) (სურ 1)




სურ. 1. ლოგნორმალური განაწილება

ლოგნორმალური განაწილების ფუნქცია გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$F(u) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-}^{u} e^{-\frac{t^2}{2}} dt$ როცა $x > 0$

შემოსავლების დონის მიხედვით საოჯახო მეურნეობების (მოსახლეობის) განაწილება საშუალებას გვაძლევს გამოვითვალოთ დეცილური (ერთობლიობას ანაწევრებს ათ ინტერვალად) და კვინტილური (ხუთ ინტერვალად, ე.ი. ყოველ ინტერვალში დაკვირვებას 20% ერთეულზე) ინტერვალები და შემოსავლების დონეების და მოსახლეობის რაოდენობის და მათში საოჯახო მეურნეობების მიხედვით ფიქსირებული საზღვრების ინტერვალები. მოცემულ შემთხვევაში რანჟირებულ ერთობლიობას წარმოადგენს საოჯახო მეურნეობების ერთობლიობა ან მოსახლეობა სხვადასხვა შემოსავლის დონით. ანალიზის სხვადასხვა მოთხოვნილებისთვის შესაძლებელია საოჯახო მეურნეობების ერთობლიობის შესწავლა, რომელიც რანჟირებულია საოჯახო მეურნეობების საშუალო შემოსავლის დონეზე და საშუალო სულადობრივი შემოსავლის დონეზე. შესაძლებელია აგრეთვე შევისწავლოთ საოჯახო მეურნეობების წევრების ერთობლიობა, რანჟირებული საშუალო სულადობრივი შემოსავლის დონეზე ან საოჯახო მეურნეობის შემოსავლის დონეზე.

„საზოგადოებაში შემოსავლების განაწილების ხასიათის ეკონომიკური ანალიზისას ფართოდ გამოიყენება ვ.პარეტოს განაწილება, რომელიც უჩვენებს მოსახლეობის შემოსავლების განაწილებას მის ჯგუფებს შორის მათი სიდიდიდან გამომდინარე (სურ. 2.). ვ.პარეტომ ემპირიული სახით მიიღო ჰიპერბოლები, რომლებიც გამოსახულია ფორმულით:

$$y = \frac{A}{(x-a)^d}$$

სადაც a – მინიმალური შემოსავალია, და d – დადებითი პარამეტრები.




სურ. 2. ვ.პარეტოს განაწილება

X ღერძზე ნაჩვენებია შემოსავლები, Y ღერძზე კი – საოჯახო მეურნეობების ან პირთა რიცხვი, რომლებსაც გააჩნიათ განსაზღვრული საზღვრის ტოლი ან მეტი შემოსავალი (a).” (ნაზაროვი 2002:607)

შემოსავლების დონის დიფერენციაციის გასაზომად გამოიყენება ლორენცის მრუდი:




ნახაზი ასახავს ისეთი მოვლენების მოძრაობას, როგორიცაა მოსახლეობის გრადაცია ჯგუფების მიხედვით და მათ შორის შემოსავლების განაწილება. სიმარტივისათვის და თვალსაჩინოებისათვის გამოიყოფა მოსახლეობის 5 ჯგუფი, რომელთაგან თითოეული შეადგენს 20%-ს. მოსახლეობის შემოსავლების ჯამიც პირობითად იყოფა ისეთივე პროცენტულ ჯგუფებზე. გრაფიკი ასახავს, რომ შემოსავლების თანაბარი განაწილების დროს მოცემული დამოკიდებულება წარმოადგენს ბისექტრისას, რომელიც ასახავს მხოლოდ პოტენციალურ შესაძლებლობას. რეალურად შემოსავლები არასოდეს არ ნაწილდება თანაბრად. რეალური სურათი გრაფიკულად გამოიყურება, როგორც ქვემოთ ჩაღუნული ხაზი, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის ჯგუფები განლაგებულია შემოსავლების მოცულობის შესაბამისად. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის 40%-ს შეუძლია მიიღოს საერთო შემოსავლის 20%. ზედა ჯგუფზე კი მოდის მთელი მოსახლეობის შემოსავლების დაახლოებით 50%. ბისექტრისიდან მრუდის გადახრის სიდიდე გვიჩვენებს შემოსავლების განაწილების უთანაბრობის დონეს. ფაქტობრივი განაწილების ხაზი – ლორენცის მრუდი მით უფრო შორსაა განლაგებული ბისექტრისიდან, რაც მეტია მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია.

სოციალური დიფერენციაციის გაზომვა ხდება არა მხოლოდ საოჯახო მეურნეობების (მოსახლეობის) შეფასებით შემოსავლების დონის მიხედვით, ასევე ფასდება მატერიალური კეთილდღეობის სხვადასხვა დონის საოჯახო მეურნეობები (მოსახლეობა) სხვა პარამეტრებითაც: საოჯახო მეურნეობის ტიპი და სიდიდე, მისი წევრების დახასიათება (სქესი, ასაკი, დასაქმება), შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურა და მოცულობა, კვების პროდუქტების მოხმარების დონე და სხვა. ეს მონაცემები გამოითვლება საოჯახო მეურნეობაზე ან ერთ სულზე დეცილური, კვინტილური ინტერვალებით და შემოსავლების დონის ფიქსირებული საზღვრების ინტერვალებით.

საქონელსა და მომსახურებაზე ფასების შესახებ საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მატერიალური კეთილდღეობის სხვადასხვა დონით საოჯახო მეურნეობების ჯგუფების საყიდლების ფასების სხვაობა. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს გამოვითვალოთ ფაქტიური და ნორმატიული სამომხმარებლო კალათის ღირებულება შემოსავლის დონით განსხვავებულ საოჯახო მეურნეობაში.

დაყოფის ხარისხის დასახასიათებლად ხშირად გამოიყენება მოსახლეობის ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე 10%-ის და მოსახლეობის ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 10%-ის შემოსავლების მაჩვენებლით შემოსავლების გადაჭარბების განსაზღვრა. ამ მაჩვენებელს ეწოდება ფონდების კოეფიციენტი და წარმოადგენს ზედა და ქვედა დეცილების ფარგლებში ნიშან-თვისების საშუალო მაჩვენებლის დამოკიდებულებას. ფონდების კოეფიციენტი, რომელიც გათვლილია საოჯახო მეურნეობების (მოსახლეობის) განაწილების მონაცემთა რიგის მიხედვით საოჯახო მეურნეობის (მეურნეობის წევრის) შემოსავლის საშუალო მონაცემის დონით, უჩვენებს თუ რამდენჯერ აღემატება მოსახლეობის ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე 10%-ის საშუალო სულადობრივი შემოსავალი მოსახლეობის ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 10%-ის შემოსავალზე. შემოსავლების შეპირისპირების გარდა, საოჯახო მეურნეობების მოცემულ ჯგუფებში აფასებენ სხვაობას სულადობის მიხედვით კვების პროდუქტებზე, არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე მოხმარებაში, შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურასა, საოჯახო მეურნეობების საშუალო სიდიდეს, მათ შემადგენლობასა და სხვა მონაცემებში.

მოცემულ შემთხვევაში ფონდების კოეფიციენტი უჩვენებს თუ როგორ განსხვავდება საშუალოდ მოხმარება, ხარჯები და ა.შ. მოსახლეობის ყველაზე მდიდარ 10%-ში შესაბამისი მონაცემებით ყველაზე ღარიბების 10%-ში.

განსხვავება ეკონომიკურად მეტად და ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ცხოვრების დონეთა შორის კონტრასტული რჩება მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც. ამჟამად, მდიდართა 10%-ის შემოსავლების მოცულობა ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლების მოცულობას აჭარბებს თურქეთში 16-ჯერ, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და პორტუგალიაში 8–9-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, საფრანგეთში, ფინეთსა და დანიაში – საშუალოდ 7-ჯერ, ბელგიაში, იაპონიაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში კი 5–6-ჯერ.

საქართველოში მდიდრების ბოლო დეცილური ჯგუფის შემოსავლები, 2010 წლის წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 18-ჯერ აჭარბებს ღარიბების პირველი დეცილური ჯგუფის შესაბამის მაჩვენებელს, როდესაც 2006 წელს თანაფარდობა დეცილურ ჯგუფებს შორის 14,6-ს წარმოადგენდა. ბოლო დეცილური ჯგუფის ხარჯები 16–ჯერ აღემატება პირველი დეცილური ჯგუფის ხარჯებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით საქართველოში მოსახლეობის მდიდარი ფენის წარმომადგენელთა ეკონომიკური მდგომარეობა შეუდარებლად დიდად განსხვავდება და ეს სხვაობა მატულობს ღარიბთა ფენის მდგომარეობასთან შედარებით. (წყარო: საქარათველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

იმ ფაქტორთა რიცხვს, რომლებიც ხელს უწყობენ შემოსავლების უთანაბრობის მაღალ დონეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიეკუთვნება, ჯერ ერთი, ბუნებრივი განსხვავებანი ადამიანთა ინტელექტუალურ, ფიზიკურ, ესთეთიკურ შესაძლებლობებში, რაც საზოგადოების ყველაზე უფრო ნიჭიერ ადამიანებს საშუალებას აძლევს მიიღონ ყველაზე უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო, მაშინ როდესაც სხვა ნაკლებუნარიანი ადამიანები განწირულნი არიან ხელი მიჰყონ საქმიანობის არაპრესტიჟულ სახეობებს. მეორე, ადამიანები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიღებული განათლების დონით. ეს ყოველთვის როდის არის მათი თავისუფალი არჩევანის შედეგი და იწვევს

შესაძლებლობათა დაუსაბუთებელ უთანაბრობას ანაზღაურების თვალსაზრისით. შემოსავლების დონეში განსხვავებათა მესამე მიზეზია ადამიანთა სხვადასხვა პროფესიული გემოვნებები და რისკისადმი მათი მზადყოფნა. ყველა ადამიანი თანხმდება მძიმე, მაგრამ მაღალანაზღაურებიან სამუშაოს, არც ყველაა მზად ეკონომიკური რისკისათვის. მაგ. საკუთარი საწარმოს გახსნისათვის, რომელმაც შეიძლება მოგება მოიტანოს. მეოთხე, არსებობს შესაძლებლობათა მნიშვნელოვანი უთანაბრობა მსხვილი საკუთრების მფლობელ პირებსა და იმ პირებს შორის, რომელთაც იგი საერთოდ არ გააჩნიათ. შემოსავლების უთანაბრობა შეიძლება გამოწვეული იყოს წარმატებით ან ხელსაყრელი კავშირების და პოლიტიკური ზეგავლენის არსებობით.

საზოგადოებაში, განსაკუთრებით მის დატაკ ნაწილში, შემოსავლების დოფერენციაცია სოციალურ დაძაბულობას იწვევს. საქართველოში შემოსავლების მიხედვით საზოგადოების პირველი მკვეთრი დიფერენციაცია დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში მოხდა, როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან დაერთო სამოქალაქო ომი, ჰიპერინფლაცია, კრიმინალური მდგომარეობა, პოლიტიკური არასტაბილურობა. ამავე დროს მკვეთრად დაეცა წარმოების დონე და გაჭიანურდა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პერიოდი. რასაც სოციალური უთანაბრობის ზრდა მოჰყვა თან.

საქართველოში ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ღრმავდება სოციალური კრიზისი, რომელიც პირველ რიგში გამოიხატება მოსახლეობის სოციალური და მატერიალური დიფერენციაციის გაღრმავებაში.

საქართველოში არსებული მდგომარეობა ციფრებში შემდეგნაირად აისახება: მოსახლეობის დაახლოებით 10% სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება, შემდეგ მოდის ღარიბთა ფენა (40%), არაღარიბი ანუ საშუალო ფენა (35%), და შეძლებული (15%).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონეში მნიშვნელოვან დიფერენციას იწვევს. ამ შემთხვევაში, ცხოვრების დონის დიფერენციაციის განსაზღვრისათვის საჭიროა ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის განსხვავება. ხოლო საშუალო მაჩვენებლები, მაგ. საშუალო შემოსავლები, საშუალო ხელფასი და ა.შ. ვერ ასახავს ცხოვრების დონის მიხედვით მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა შორის

განსხვავებას და ვერ წარმოადგენს რეალურ სურათს. ამიტომ, მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და ჯგუფების მიხედვით შემოსავლებისა და დანახარჯების განსხვავების, ანუ დიფერენციაციის პროცესს, რაც ნათლად წარმოადგენს ღარიბთა მდგომარეობის სურათს, კარგად ახასიათებს დიფერენციაციის მაჩვენებლები. მსოფლიო სტატისტიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შემოსავლებისა და დანახარჯების გალტონის, ლორენცის კონცენტრაციის, ჯინისა და სხვა კოეფიციენტები, რომელთა გაანგარიშება ეფუძნება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებს. თანამედროვე სტატისტიკას საზოგადოებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შეფასების მრავალმხრივი მონაცემები მოეპოვება, მაგრამ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება ძირითადად შინამეურნეობების შერჩევითი კვლევების მეშვეობით ხორციელდება.

ცხრილი 2.3.1.

**საქართველოს შინამეურნეობების განაწილება საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით* (%)**

| | ქალაქი | სოფელი | სულ | ქალაქი | სოფელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2006 | | | 2007 | | |
| 100 ლარამდე | 17.0 | 13.6 | 15.3 | 12.5 | 14.1 | 13.3 |
| 101-300 ლარი | 39.8 | 38.4 | 39.1 | 35.3 | 38.3 | 36.8 |
| 301-500 ლარი | 20.9 | 24.3 | 22.6 | 22.7 | 23.5 | 23.1 |
| 501-1000 ლარი | 16.6 | 19 | 17.8 | 20.6 | 19.4 | 20 |
| 1001-2000 ლარი | 4.5 | 3.9 | 4.2 | 6.9 | 3.9 | 5.5 |
| 2001-5000 ლარი | 1.1 | 0.8 | 0.9 | 1.7 | 0.7 | 1.2 |
| 5001 ლარი და მეტი | 0.2 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.1 | 0.1 |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

ცხრილი 2.3.2

### საქართველოს შინამეურნეობების განაწილება საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით* (%)

| შემოსავლები | 2008 | 2009 | 2010** |
|---|---|---|---|
| 500 ლარამდე | 63,7 | 61,5 | 55,8 |
| 500-დან 1000 ლარამდე | 24,7 | 25,2 | 27,1 |
| 1000-დან 2000 ლარამდე | 9,1 | 10,5 | 12,9 |
| 2000 ლარზე მეტი | 2,5 | 2,8 | 4,2 |

* შემოსავალში იგულისხმება მთლიანი სახსრები
** წინასწარი მონაცემებით

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის შემოსავლები დიფერენცირებულია. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 13.3%-ს, 2007 წლის მონაცემებით, ჰქონდა 101 ლარამდე შემოსავალი, ხოლო 5000 ლარზე მეტ შემოსავალს ღებულობდა მოსახლეობის 0.1%. სტრუქტურულად ყველაზე მეტი წილი 36.8% მოსახლეობის იმ ნაწილზე მოდიოდა, რომლის შემოსავალიც მერყეობდა 101-დან 300 ლარამდე და 23.1% კი 301-დან 500 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობებს ეჭირათ. 2010 წელს 2006 წელთან შედარებით 500 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა რაოდენობა 1.4-ჯერ შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მაღალშემოსავლიანი ოჯახების ხვედრითი წილი დინამიკაში იზრდება. 2007 წელს 2006 წელთან შედარებით გაიზარდა 301 ლარიდან 500 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წილი 0.1%-ით, 501 ლარიდან 1000 ლარამდე – 2.2%-ით, 1001 ლარიდან 2000 ლარამდე –1.3%-ით, 2001 ლარიდან 5000 ლარამდე 0.3%-ით. მხოლოდ 5000 ლარის ზემოთ შემოსავლების მქონე პირთა ხვედრითი წილი დარჩა უცვლელი – 0.1%.

501-დან – 1000 ლარამდე (დიაგრამა 2.3.1) შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წილი შინამეურნეობათა საერთო რაოდენობაში 2010 წელს 2006 წელთან შედარებით 9.3%-ით, 2007 წელთან შედარებით – 7.1%-ით, 2008 წელთან შედარებით – 2.4%-ით, 2009 წელთან შედარებით კი – 1.9%-ით გაიზარდა; 1001-დან 2000 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა წილი 2010 წელს 2006 წელთან მიმართებაში – 8.7%-ით, 2007 წელთან შედარებით – 7.4%-ით, 2008 წელთან შედარებით 3.8%-ით, 2009 წელთან შედარებით კი – 2.4%-

ით გაიზარდა. 2010 წელს 2006 წელთან შედარებით 1001-დან 2000 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა რაოდენობა 3.1–ჯერ გაიზარდა.

ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება 2000 ლარიდან შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წილი შინამეურნეობათა საერთო მოცულობაში 2010 წელს 2006 წელთან შედარებით – 3.2%-ით, 2007 წელთან შედარებით – 2.9%-ით, 2008 წელთან შედარებით – 1.7%-ით, 2009 წელთან შედარებით კი – 1.4%-ით. ე.ი. 2010 წელს 2000 ლარს ზემოთ შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წილი 2006 წელთან შედარებით 4.2-ჯერ გაიზარდა, თუმცა შინამეურნეობების საერთო რაოდენობაში მხოლოდ 4.2% უჭირავს.

**დიაგრამა 2.3.1**

**შინამეურნეობების განაწილება საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ყოველივე კი მიუთითებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხარჯზე მისი დიფერენციაციის შედარებით შემცირებაზე. ამასთან, ქალაქის მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში სჭარბობს უფრო მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში, რაც უკანასკნელის დუხჭირულ მდგომარეობაზე მიუთითებს, ამიტომ დიფერენციაცია

საგრძნობია არა მხოლოდ მთლიანი მოსახლეობის შემოსავლების მხრივ, არამედ სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მიხედვითაც, რაზედაც მოწმობს სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე.

მნიშვნელოვანი დიფერენციაციაა შრომის ანაზღაურების მხრივ მოსახლეობის სოციალურ ფენებს შორის.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაცია განისაზღვრება დეცილური კოეფიციენტის მეშვეობით, რომელიც გაიანგარიშება მეცხრე რიგის დეცილის პირველი რიგის დეცილთან თანაფარდობით.

**მოსახლეობის მთლიანი მოხმარება საშუალოდ თვეში ფულადი ხარჯების მიხედვით დეცილურ ჯგუფებში**

(ერთ სულზე)

ცხრილი 2.3.3.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2008 | 59.2 | 67.3 | 75.5 | 85.1 | 92.2 | 104.3 | 118.7 | 133.9 | 167.4 | 283.3 |
| 2009 | 55.7 | 68.3 | 75.7 | 82.2 | 90.2 | 101.0 | 116.3 | 136.2 | 170.7 | 277.6 |
| 2010 | 50.0 | 65.3 | 72.4 | 84.0 | 94.4 | 107.2 | 124.6 | 145.2 | 184.3 | 298.3 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დეცილური კოეფიციენტი 2008 წლისათვის განისაზღვრება:

$$K_1 = \frac{d_9}{d_1} = 2.8$$

2009 წლისათვის - $K_2 = 3.1$

2010 წლისათვის - $K_3 = 3.7$

მიღებული მაჩვენებელი მოსახლეობის ფენებს შორის დიფერენციაციის მაღალ დონესა და დინამიკაში ზრდაზე მეტყველებს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დაწვრილებითი ანალიზი შეიძლება ვაწარმოოთ მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლებისა და დანახარჯების მიხედვით.

მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა დიფერენციაციის ხარისხი შეიძლება გავიანგარიშოთ დიფერენციაციის კოეფიციენტის მეშვეობით:

$$K_{დიფ}=1 - 0.10 \sum_{i=1}^{n}(x_{i-1} + x_i)$$

სადაც, $K_{დიფ}$- მაჩვენებელთა დიფერენციაციის კოეფიციენტია ანუ ხარისხობრივი მაჩვენებელი;

$x_i$ - მაჩვენებლის საერთო ჯამისადმი ათწილადობით გამოსახული I-ური ვარიანტის ნაზარდი ჯამია (ამასთან პირველ ვარიანტად მიჩნეულია 0)

ზოგჯერ მოცემულია მოსახლეობის დეცილური და კვარტილური ჯგუფების მიხედვით შემოსავლები, დანახარჯები. აღნიშნული მაჩვენელი დეცილური ჯგუფებისათვის გამოიყენება.

საქართველოს შინამეურნეობათა კვლევის შედეგების საფუძველზე მიღებული საშუალო თვიური ფულადი ხარჯები დეცილურ ჯგუფებში 2007 წელს შემდეგ სურათს გვაძლევს:

საქართველოს მოსახლეობის მთლიანი მოხმარება

(საშუალოდ თვეში, მლნ. ლარი)

ცხრილი 2.3.4.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამომხმარებლო ფულადი ხარჯები** | **12.2** | **17.0** | **19.2** | **22.6** | **24.6** | **27.3** | **31.8** | **36.7** | **46.3** | **88.3** | **325.9** |
| სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე | 7.1 | 10.0 | 11.2 | 13.0 | 13.5 | 15.0 | 16.4 | 17.9 | 21.7 | 31.4 | 157.3 |
| ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე | 0.3 | 0.5 | 0.7 | 0.9 | 1.2 | 1.2 | 1.6 | 1.9 | 2.7 | 4.4 | 15.4 |
| საოჯახო მოხმარების საქონელზე | 0.3 | 0.4 | 0.5 | 0.6 | 0.7 | 0.7 | 0.9 | 1.4 | 1.9 | 4.9 | 12.4 |
| ჯანმრთელობის დაცვაზე | 1.2 | 1.5 | 1.5 | 1.6 | 1.5 | 1.7 | 2.5 | 2.8 | 2.9 | 10.8 | 27.9 |
| სათბობსა და | 1.9 | 2.2 | 2.5 | 2.8 | 3.1 | 3.2 | 3.7 | 4.0 | 4.4 | 8.8 | 36.7 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ელექტროენერგიაზე | | | | | | | | | | | |
| თრანსპორტზე | 0.6 | 1.1 | 1.3 | 1.6 | 1.9 | 2.3 | 2.7 | 3.5 | 4.5 | 10.8 | 30.3 |
| განათლება, კულტურასა და დასვენებაზე | 0.0 | 0.1 | 0.1 | 0.3 | 0.5 | 0.7 | 1.1 | 1.3 | 2.5 | 6.3 | 12.9 |
| სხვა სამომხმარებლო ხარჯები | 0.7 | 1.0 | 1.2 | 1.7 | 2.2 | 2.5 | 2.9 | 3.9 | 5.8 | 11.0 | 32.9 |
| **არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები** | **1.7** | **2.4** | **2.3** | **2.9** | **3.4** | **4.5** | **5.2** | **6.0** | **6.5** | **12.4** | **47.1** |
| სასოფლო–სამეურნეო ხარჯები | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.8 | 0.7 | 0.9 | 0.9 | 1.1 | 1.1 | 1.3 | 8.6 |
| ტრანსფერტებზე | 0.5 | 0.6 | 0.7 | 0.7 | 0.9 | 1.2 | 1.3 | 1.5 | 1.7 | 3.4 | 12.5 |
| დაზოგვაზე ან გასესხებაზე | 0.5 | 1.1 | 0.9 | 1.0 | 1.5 | 1.8 | 2.6 | 3.0 | 3.1 | 6.1 | 21.5 |
| **ფულადი ხარჯები სულ** | **13.9** | **19.3** | **21.4** | **25.5** | **28.0** | **31.8** | **36.9** | **42.7** | **52.9** | **100.6** | **373.0** |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის ფულადი ხარჯები დეცილურ ჯგუფებში შეიძლება გავიანგარიშოთ სტრუქტურულად ცალკეული ჯგუფის მიხედვით მთლიანი ჯამის მიმართ. მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს:

**0,04 0,05 0,06 0,07 0,08 0,09 0,10 0,11 0,14 0,26**

დიფერენციაციის კოეფიციენტი:

$K_{\text{დიფ}} = 1 - 0.10\ [\ (0+0.04) + (0.04 + 0.09) + (0.09 + 0.15) + (0.15 + 0.22) + (0.22 + 0.30) + (0.30 + 0.39) + (0.39 + 0.49) + (0.49 + 0.60) + (0.60 + 0.74) + (0.74 + 1.0) = 1 - 0.10 \times 7.04 = 0.30$ ანუ 30%

დეცილური კოეფიციენტი ანუ შეფარდება მდიდართა და ღარიბესთა თვიურ დანახარჯებს შორის მერყეობს 10-დან 30-მდე. როგორც ვხედავთ მაჩვენებლებს შორის სხვაობა დიდია, რაც დიფერენციაციის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია.

დიფერენციაციის გაანგარიშება შესაძლებელია მოსახლეობის ფულადი ხარჯების მიხედვით შემდეგი დეცილური ჯგუფების მიხედვით:

### მოსახლეობის ხარჯების განაწილება ფულადი ხარჯების მიხედვით დეცილურ ჯგუფებში

ცხრილი 2.3.5

| დეცილი / წელი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2002 | 1.4 | 2.8 | 3.9 | 5.1 | 6.4 | 7.8 | 9.6 | 12.2 | 16.2 | 34.6 | 100 |
| ნაზარდი ჯამის მიმართ | 0.02 | 0.04 | 0.05 | 0.07 | 0.08 | 0.09 | 0.11 | 0.12 | 0.17 | 0.25 | 1.0 |
| 2006 | 2.6 | 4.2 | 5.1 | 6.1 | 7.3 | 8.6 | 10.0 | 12.0 | 15.4 | 28.7 | 100 |
| ნაზარდი ჯამის მიმართ | 0.03 | 0.04 | 0.05 | 0.06 | 0.07 | 0.09 | 0.10 | 0.12 | 0.15 | 0.29 | 1.0 |
| 2010 | 2.0 | 3.2 | 4.2 | 5.3 | 6.4 | 7.9 | 9.7 | 12.3 | 16.5 | 32.5 | 100 |
| ნაზარდი ჯამის მიმართ | 0.02 | 0.03 | 0.04 | 0.05 | 0.06 | 0.08 | 0.1 | 0.12 | 0.17 | 0.33 | 1.0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2002 წლისათვის

$\mathbf{K}_{\text{დიფ}}$ = 0.34 ანუ 34 %

2006 წლისათვის

$\mathbf{K}_{\text{დიფ}}$ = 0.36 ანუ 36 %

2010 წლისათვის

$\mathbf{K}_{\text{დიფ}}$ = 0.43 ანუ 43 %

დიფერენციაციის კოეფიციენტი დინამიკაში იზრდება. 2010 წლისათვის იგი 43%-ით განისაზღვრა. ამომდინარე აქედან, მდიდართა და ღარიბთა დანახარჯებს შორის მერყეობს 10-დან 43-მდე, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის მაღალ დონეზე მეტყველებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელი რთულად პროგნოზირებადია. მაგრამ, დეცილური კოეფიციენტის ზრდა უმდიდრესთა და უღარიბესთა შორის ცხოვრების დონის სხვაობის ზრდაზე მიგვითითებს.

საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 2006 წელს 0.53-ს შეადგენდა, 2008 წლის დასაწყისისათვის იგი 0.51-მდე შემცირდა, 2009 წლისათვის კი მისი მნიშვნელობა ისევ 0.53-ით განისაზღვრა, რაც დიფერენციაციის მაღალ დონეზე მეტყველებს.

(ჯინის ინდექსი გვიჩვენებს მაჩვენებლის ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლიტური უთანაბრობისას კი ერთის.)

**ჯინის კოეფიციენტის დინამიკა**

**დიაგრამა 2.3.2**




| | 2005 წელი | 2006 წელი | 2007 წელი | 2008 წელი | 2009 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| ფულადი შემოსავლების მიხედვით | 0.53 | 0.53 | 0.53 | 0.51 | 0.53 |
| მთლიანი შემოსავლების მიხედვით | 0.44 | 0.45 | 0.46 | 0.46 | 0.48 |
| ფულადი ხარჯების მიხედვით | 0.45 | 0.45 | 0.47 | 0.47 | 0.48 |
| მთლიანი ხარჯების მიხედვით | 0.41 | 0.41 | 0.42 | 0.43 | 0.44 |
| მთლიანი მოხმარების მიხედვით | 0.39 | 0.39 | 0.41 | 0.4 | 0.41 |

წყარო: საქარათველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის შემოსავლებისა და შესაბამისად ცხოვრების დონის დიფერენციაცია დინამიკაში იზრდება და მისი მნიშვნელობა საკმაოდ მაღალია.

ჩემი აზრით, საქართველოში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის შემდეგი მიზეზები გამოიყოფა:

1. ადამიანთა განსხვავებული ნიჭი და უნარი;
2. ცოდნა და განათლება;
3. პროფესიონალური გემოვნებანი და რისკი;
4. საკუთრების ფლობა;
5. შრომის ბაზრის განუვითარებლობა;
6. ბატონობა ბაზარზე (მონოპოლიზმი);
7. იღბალი;
8. კავშირები;
9. უბედური შემთხვევები.

ყველა ეს მიზეზი დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ასევე მოქმედებს უთანაბრობის გაღრმავების სპეციფიური ფაქტორები, როგორიცაა საბაზრო რეფორმების საწყის ეტაპზე შრომის დაბალი ღირებულება და ჩრდილოვანი შემოსავლების მისაკუთრება.

შემოსავალთა და სიმდიდრის უთანაბრობამ შეუძლია მიაღწიოს უზარმაზარ მასშტაბებს. მაშინ იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ასევე, ეკონომიკურ სტაბილურობას. ამიტომ, ყველა განვითარებულ ქვეყანაში უთანასწორობის შესამცირებლად სისტემატურად ტარდება რიგი ღონისძიებებისა.

სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილების საფუძველზე ცდილობს დაარეგულიროს მდიდართა და ღარიბთა შორის არსებული განსხვავება და ამით თავზე აიღოს პასუხისმგებლობა დაიცვას ადამიანის ხელშეუვალი უფლებები ღირსეული ცხოვრებისათვის. შემოსავლების თანასწორობის მთავარი კონტრარგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ თანაბარი შემოსავლების პირობებში მცირდება შრომითი საქმიანობის, ინვესტიციების, რისკების სტიმული და შესაბამისად კლებულობს გამანაწილებელი შემოსავლის მოცულობა.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაცია გარდაუვალია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. იგი ეკონომიკური სტიმულატორის როლს თამაშობს, რადგან აყალიბებს ადამიანის მატერიალურ დაინტერესებას, დამატებით გამოიყენოს ძალა და უნარი შემოსავლების ზრდისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით.

# თავი III

# საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი

## 3.1. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და მისი პროგნოზები

მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის ხარისხს განაპირობებს დასაქმების დონე, ინფლაციის ტემპი, საცხოვრებელი პირობები, საყოფაცხოვრებო–კომუნალური მომსახურების ღირებულება, შემოსავლების მოცულობა და სხვა მრავალი ფაქტორი.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გადაუჭრელ პრობლემას სიღარიბე წარმოადგენს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ-სტატისტიკურ ლიტერატურაში სიღარიბის ცნების მრავალნაირი განმარტება გამოიყენება. მათი უმრვლესობა სიღარიბის ქვეშ არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ ფაქტორებსაც გულისხმობს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ, სიღარიბე არის შემოსავლების (ფულადი და არაფულად) უკმარისობა ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი არსებობა-განვითარებისთვის საჭირო მინიმალურად აუცილებელი მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურების მოხმარებისათვის.

სიღარიბის გასაზომად სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება. მკვლევარების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობის ღარიბ ფენას მიეკუთვნება ისინი, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ამასთანავე სიღარიბის ზღვარი წარმოადგენს ობიექტურად განსაზღვრულ სიდიდეს, რომელიც გამოითვლება მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების მოხმარების ნაციონალური და სუბნაციონალური მინიმალური ნორმებიდან.

სიღარიბის შეფასებისადმი ამდაგვარი მიდგომის გამოყენება გულისხმობს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის და რაოდენობის განსაზღვრას, რომლებიც შეადგენენ მინიმალურ “კალათას”, ასევე მათი ფასების თაობაზე ინფორმაციის წყაროების განსაზღვრას.

საქართველოში სიღარიბის საზღვრის სახით გამოითვლება საარსებო მინიმუმი, ანუ შემოსავლის დონე, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ცხოველქმედებისთვის აუცილებელი მეცნიერულად დასაბუთებული მატერიალური კეთილდღეობის და მომსახურების მინიმალური ნაკრების შეძენას.

როგორც წესი, სტატისტიკურ ლიტერატურაში სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის წარდგენილი სოციალური გარანტიების ოდენობის თანაფარდობა გამოისახება კოეფიციენტით – სხვადასხვა სახის სოციალურ გარანტიებსა და მოსახლეობის განსაზღვრული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის (შრომისუნარიანები, პანსიონერები, ბავშვები) საარსებო მინიმუმის ოდენობას შორის თანაფარდობით. სიღარიბის შეფასება საარსებო მინიმუმის მეთოდის გამოყენებით, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სიღარიბის ზღვარის კონსტრუირება მთლიანობაში საოჯახო მეურნეობისთვის და ამასთანავე გავითვალისწინოთ ყველა მისი წევრისთვის საარსებო მინიმუმის ოდენობა.

საარსებო მინიმუმის ოდენობა გულისხმობს მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებას, არასასურსათო საქონლის, ფასიანი მომსახურების შეძენაზე საჭირო მინიმალურ დანახარჯებს, ასევე ხარჯებს გადასახადებსა და სხვა სავალდებულო ფულად გადასახადებზე.

საარსებო მინიმუმის საფუძველს შეადგენს მინიმალური ნორმებით კვების პროდუქტების კალორიულობითა და ქიმიური შემადგენლობით დაბალანსირებული საკვები ნივთიერებების ნატურალური ნაკრებები.

საარსებო მინიმუმის ოდენობის გათვლა ხორციელდება მოსახლეობის ყველა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფის მიხედვით მინიმალური სასურსათო კალათის გათვალისწინებით. მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ვაჭრობის სფეროს საწარმოების საქონლის საშუალო გასაყიდი ფასების მიხედვით, რომელთა მიღება ხდება საქონელ-წარმომადგენლებზე ფასების რეგისტრაციის საფუძველზე. საარსებო მინიმუმის სასურსათო ნაწილის ოდენობის გაანგარიშება ხორციელდება მთლიანობაში საოჯახო მეურნეობაზე მისი წევრების რაოდენობის, სქესის და ასაკის გათვალისწინებით.

თავდაპირველად ხდება მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის ფასების საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფასების სამმართველოს მიერ. ეს ქალაქებია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი. ქალაქებში სასურსათო კალათის თითოეული პროდუქტისათვის ხდება საშუალო ფასის დადგენა. შემდეგ ეტაპზე ხორციელდება მათი საშუალო ფასის გაანგარიშება მთელი ქვეყნისათვის ზემოხსენებული 5 ქალაქის გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალოს დათვლით (წონებად გამოიყენება აღნიშნული 5 ქალაქის მოსახლეობა).

მიღებული ფასები წარმოადგენს თითოეული პროდუქტის საშუალო ფასს ქვეყნის დონეზე.

მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლის შემდგომ ხორციელდება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის სასურსათო კალათის (შესდგება 40 დასახელების პროდუქტისაგან) თვიური შუალედური ღირებულების გაანგარიშება. სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება წარმოადგენს მასში შემავალი პროდუქტების თვიურ ღირებულებათა ჯამს. კალათაში შემავალი პროდუქტების თვიური ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი პროდუქტის თვიური ნორმის და ამ პროდუქტის საშუალო ფასის ნამრავლით (საშუალო ფასის გაანგარიშების მეთოდი აღწერილია ზემოთ), ხოლო თითოეული პროდუქტის თვიური ნორმა განისაზღვრება დღიური ნორმის საფუძველზე. აღნიშნული კალკულაციის შედეგად დგინდება კალათაში შემავალი თითოეული პროდუქტის ღირებულება, რომელთა ჯამი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის შუალედურ თვიურ ღირებულებას.

სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება მრავლდება შევაჭრების კოეფიციენტზე, რომელიც გაანგარიშებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფასების სამმართველოს მიერ მოწოდებული სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული ანალოგიური მონაცემების შედარებით. აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865. მიღებული რიცხვი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის მოცემულ თვეში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განსაზღვრული კოეფიციენტების საფუძველზე საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

2011 წლის აპრილში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი განისაზღვრა 163.2 ლარით, რაც 10.5 ლარით ნაკლებია იანვართან შედარებით, 83 ლარით ნაკლები 2004 წლის აპრილის თვესთან მიმართებაში. 2011 წლის აპრილის თვეში საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმმა 273.7 ლარი შეადგინა,

რაც იანვრის თვესთან შედარებით 17.5 ლარით, ხოლო 2004 წლის აპრილის თვესთან მიმართებაში 138.3 ლარით მეტია. შეიძლება ითქვას, რომ 7 წლის წინ საშუალო ოჯახს კვებაზე ეხარჯებოდა 2-ჯერ ნაკლები თანხა, ვიდრე დღესდღეობით ასეთივე ოჯახს გამოსაკვებად, რაც გამოწვეულია საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდით. საარსებო მინიმუმის მოცულობა დინამიკაში მოცემულია დიაგრამზე 3.1.1.

დიაგრამა 3.1.1.




წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო მომხმარებელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული საარსებო მინიმუმი სრულყოფილად კვებისათვისაც არ ეყოფა, არათუ სრულფასოვანი ცხოვრებისათვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში 2010 წელს საშუალო ხელფასი 597 ლარს შეადგენდა, ერთი შრომისუნარიანი მამაკაცისათვის საარსებო მინიმუმი კი 157.7 ლარს. მაშინ, როდესაც სომხეთში საშუალო ხელფასი 330 დოლარია (დაახლოებით 544 ლარი), საარსებო მინიმუმი კი 232 ლარს უტოლდება, აზერბაიჯანში – 451 დოლარი (დაახლოებით 774 ლარი), საარსებო მინიმუმი კი – 330 ლარია. „ქართველი ექსპერტები აცხადებენ, რომ საჭიროა, როგორც მრავალ ქვეყანაში, საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი გაანგარიშებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მაშინ

საქართველოსათვის მისი სიდიდე 260-280 ლარით განისაზღვრებოდა.” (http://www.bfm.ge/society/3476-..html).

საარსებო მინიმუმის ოდენობა გამოიყენება ერთ-ერთი კრიტერიუმის სახით, რომელიც ასახავს მოსახლეობის სოციალური დაყოფის დონეს. მოცემულ შემთხვევაში ის წარმოადგენს საზღვარს შემოსავლის ინტერვალებში საოჯახო მეურნეობების ქვეჯგუფების გამოსაყოფად. ჩვეულებრივ ხდება საოჯახო მეურნეობების შემდეგი ჯგუფების გამოყოფა – საოჯახო მეურნეობები საარსებო მინიმუმის ოდენობაზე ნაკლები სულადური შემოსავლებით, ორ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლებით, ორიდან სამამდე, სამიდან ოთხამდე და ოთხზე მეტ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლებით.

2010 წლის მონაცემების მიხედვით, საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობების ხვედრითი წილი მიახლოებით 28%-ია, ორ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლებისა კი – 27%, სამ საარსებო მინიმუმზე ნაკლები – 21.5%, ოთხ საარსებო მინიმუმზე კი – 13.4% და ა.შ. ასეთი სახით წარმოდგენილ სტრუქტურულ ჯგუფებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან.

როგორც წესი, კრიტერიუმად, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პირის ან საოჯახო მეურნეობის მიკუთვნება უკიდურესი სიღარიბის მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის ჯგუფისადმი, გამოიყენება საარსებო მინიმუმის ოდენობაზე ორ ან მეტჯერ ნაკლები სულადური შემოსავლების დონე ან მეცნიერულად დასაბუთებული მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმებზე ნაკლები კალორიულობის საკვები პროდუქტების მოხმარება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების საფუძველზე, პირველ რიგში, ანგარიშობს სასურსათო მინიმუმს, ხოლო დანარჩენს საარსებო მინიმუმს (არასასურსათო საქონლის, აგრეთვე, მომსახურების, გადასახადების და სხვათა მოცულობას) ადგენს იმ თანაფარდობიდან გამომდინარე, რომელიც უკვე პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია მოცემულ პერიოდში. პირველ რიგში, იანგარიშება შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი, რომელიც 2011 წლის აპრილის თვეში 163.2 ლარს შეადგენდა, ხოლო შემდეგ დანარჩენი კატეგორიებისათვის გამოიყენება შრომისუნარიანი მამაკაცის მიმართ დადგენილი ნორმატივები კოეფიციენტების მიხედვით. მაგ, ქალებისათვის კოეფიციენტი 0,84-ია, ე.ი სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის საარსებო მინიმუმი 137.1 ლარით განისაზღვრება,

საშუალო მომხმარებლისათვის კოეფიციენტია – 0.88, ამიტომ საარსებო მინიმუმიც შესაბამისად 2011 წლის აპრილისათვის 143.6 ლარია. ამ ინდიკატორების საფუძველზე დგინდება ასევე სხვადასხვა სულადობის ოჯახების საარსებო მინიმუმები. ამის გარდა სიღარიბის გასაზომად გამოიყენება მედიანური და მოდალური მოხმარებაც, რომელთაც სიღარიბის შეფარდებით ზღვარსაც უწოდებენ.

სიღარიბის, უფრო ზუსტად კი საზოგადოებაში მისი გავრცელებადობის, დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებელია სიღარიბის კოეფიციენტი ან მთელს მოსახლეობაში დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი.

სიღარიბის სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ღარიბი ოჯახების შემოსავლის დეფიციტი, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა სოციალური მხარდაჭერის ზომების ღირებულების შეფასებისას. მოცემული მონაცემი გამოითვლება როგორც ფულადი სახსრების მოცულობა, რომელიც საჭიროა ღარიბი საოჯახო მეურნეობების შემოსავლების აწევისთვის სიღარიბის ზღვრამდე. შემოსავლის დეფიციტის გაანგარიშება ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ოჯახების მიხედვით, ვინაიდან ყოველი ოჯახისთვის არსებობს სიღარიბის კონკრეტული ზღვარი, საოჯახო მეურნეობების სხვადასხვა შემადგენლობის და მისი წევრების ასაკობრივ-სქესობრივი მახასიათებლების შეხამების გამო. შემოსავლის დეფიციტის გაანგარიშება ხდება როგორც ღარიბი საოჯახო მეურნეობების მთლიან ჯგუფზე, ისე ერთ საოჯახო მეურნეობასა და ერთ სულ მოსახლეზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დროში სიღარიბის დასახასიათებლად გამოიყენება სიღარიბის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სიღარიბის საზღვრის ან საარსებო მინიმუმის საშუალო ოდენობის ზრდის ტემპს. სიღარიბის ინდექსს, როგორც წესი, ადარებენ ინფლაციის ინდექსსა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპს.

სიღარიბის ტერიტორიალური გავრცელების შესწავლის მიზნით გამოიყენება ტერმინი “სიღარიბის ზონები”, რომელიც მოიცავს ტერიტორიებს ღარიბების მაღალი კონცენტრაციით. სიღარიბის ზონებს განეკუთვნება ის ტერიტორიები, რომელთაც გააჩნიათ განსაზღვრული პროპორციით ქვეყნის ფარგლებში საშუალოზე მეტი ან დადგენილ ზღვარზე მეტი სიღარიბის დონე. საქართველოში სიღარიბის მაღალი კონცენტრაციით 2010 წელს სოფლის დასახლებები ხასიათდება, განსაკუთრებით გურია, კახეთი და რაჭა–ლეჩხუმი (ცხრილი 3.1.1.).

## საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი

ცხრილი 3.1.1.

| | საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულებთან | | საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან | |
|---|---|---|---|---|
| რეგიონი/რაიონი | ოჯახი | მოსახლეობა | ოჯახი | მოსახლეობა |
| ქ. თბილისი | 20,2 | 15,8 | 5,8 | 4,0 |
| გურია | 25,9 | 23,9 | 15,3 | 12,6 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 54,2 | 49,9 | 41,3 | 31,5 |
| კახეთი | 30,1 | 26,1 | 17,5 | 12,5 |
| იმერეთი | 30,8 | 27,8 | 16,1 | 12,9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 39,2 | 33,0 | 21,8 | 13,8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 22,7 | 21,7 | 11,6 | 9,4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 17,2 | 13,1 | 9,1 | 5,9 |
| ქვემო ქართლი | 20,5 | 17,0 | 8,6 | 6,2 |
| შიდა ქართლი | 32,6 | 29,5 | 19,4 | 15,0 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 21,7 | 21,1 | 10,5 | 10,2 |
| ზემო აფხაზეთი | 45,0 | 39,6 | 21,0 | 16,8 |
| სულ | 26,6 | 23,0 | 12,3 | 9,3 |

წყარო საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო

ეკონომიკური ანალიზის დროს მნიშვნელოვანია გაირკვეს არა მხოლოდ ღარიბების საერთო რაოდენობა და მათი წილი საოჯახო მეურნეობების ერთობლიობასა ან მოსახლეობაში, არამედ მათი მატერიალური მდგომარეობის დეფიციტურობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო სოციალური პროგრამების ღირებულების შეფასებისას. ამიტომაც გვაქვს ობიექტური აუცილებლობა გამოვიყენოთ სიღარიბის მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შევაფასოთ გაღარიბების ხარისხი და სიღარიბის სიმწვავე.

სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლებია: სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე.

სიღარიბის დონე გვიჩვენებს ღარიბთა ხვედრით წილს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. საქართველოს სტატისტიკის მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერაა იდენთიფიცირებული 2010 წლის ბოლოსთვის 1645214 ადამიანია, მაშინ სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში საკმაოდ მაღალია 0.37-ის ტოლია. სიღარიბის დონე გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=\frac{q}{n}$$

K – სიღარიბის დონე ანუ ღარიბთა ხვედრითი წილი მოსახლეობაში;

q – ღარიბების რიცხოვნობა;

n – მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

სიღარიბის დონე ზოგადად ახასიათებს ღარიბთა ხვედრით წილს მოცემულ ქვეყანაში. მაგრამ ღარიბთა ცხოვრების დონეს შორისაცაა განსხვავება. ზოგიერთი მათგანი თავისი შემოსავლებით ძალიან ახლოსაა სიღარიბის ზღვართან, რომელსაც ისინი ხან უფრო უახლოვდებიან, ხანაც სცილდებიან და საშუალო მაცხოვრებელთა ზონაში გადადიან. ამიტომ სტატისტიკა ანგარიშობს სიღარიბის სიღრმეს. ეს მაჩვენებელი ახასიათებს სიღარიბის ზღვრიდან (საარსებო მინიმუმიდან) შემოსავლების მიხედვით ღარიბების დაშორების საშუალო მანძილს და გაიანგარიშებს შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$P_1=\frac{\sum_{i=1}^{q}(z-y_1)}{nz}$$

$P_1$ – სიღარიბის სიღრმე;

z – საარსებო მინიმუმია მოცემულ პერიოდში;

$y_1$ – ღარიბი მოსახლეობის $i$ -ური წევრის მოხმარების ან შემოსავლის სიდიდეა;

n – მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულ ქვეყანაში.

ფორმულის მრიცხველი ასახავს ღარიბების მოხმარების საერთო მოცულობას, რაც მათ საარსებო მინიმუმამდე ანუ სიღარიბის ზღვრამდე მისაღწევად სჭირდებათ, ხოლო მნიშვნელი – მთელი მოსახლეობის საარსებო მინიმუმის დონის საეთო მოხმარებაა.

აღნიშნული მაჩვენებელიც არაა სრულყოფილი ინდიკატორი, რადგანაც გამოკვლევის მიღმა რჩება ღარიბთა შორის ცხოვრების დონის განმასხვავებელი სურათი. ამიტომ სტატისტიკაში შემოღებულია მესამე მაჩვენებელი – სიღარიბის სიმწვავე. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$p_2=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{q}\left(\frac{z-y}{z}\right)^2$$

სიღარიბის უფრო ღრმა ანალიზისათვის ამ მაჩვენებლებს ანგარიშობენ არა მარტო საარსებო მინიმუმის ანუ სიღარიბის აბსოლიტური ზღვრის მიმართ, არამედ მედიანური მოხმარების (შეფარდებითი ზღვრის) 60 და 40 პროცენტის მიმართ. ეს უკანასკნელი გვიჩვენებს ღარიბთა ქვედა ფენების (ღატაკების) ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც სოციალური პოლიტიკის გატარების საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოში სიღარიბის ცნების განმარტებისა და მისი ინდიკატორების გასაზღვრის შესახებ ჯერ კიდევ დებატები მიმდინარეობს. ექსპერტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი წილის გამო, მოსახლეობის სიღარიბის თვალსაზრისით არაა ძალიან მძიმე მდგომარეობა. თანაც, საქართველოში სიღარიბეს უფრო განსხვავებული ხასიათი აქვს, ვიდრე სხვა დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. სიღარიბის მაჩვენებელთა რეალური სურათი კი ასე გამოიყურება:

ცხრილი 3.1.2.

## სიღარიბის მაჩვენებლები

| | 2004 | | 2005 | | 2006 | | 2007 | | 2008 | | 2009 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი |
| სიღარიბის დონე | | | | | | | | | | | | |
| მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ | 23,0 | 26,2 | 22,1 | 26,0 | 22,8 | 23,7 | 17,9 | 24,9 | 18,0 | 26,2 | 17,6 | 24,3 |
| მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ | 8,9 | 12,8 | 8,8 | 11,3 | 8,1 | 10,7 | 6,5 | 12,1 | 7,0 | 11,9 | 7,3 | 10,2 |
| სიღარიბის სიღრმე | | | | | | | | | | | | |
| მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ | 6,8 | 9,4 | 6,5 | 8,6 | 6,4 | 7,9 | 5,0 | 8,8 | 5,3 | 8,7 | 5,4 | 7,8 |
| მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ | 2,4 | 4,4 | 2,3 | 3,8 | 2,2 | 3,5 | 1,6 | 4,0 | 1,8 | 3,6 | 2,0 | 3,2 |
| სიღარიბის სიმწვავე | | | | | | | | | | | | |
| მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ | 3,0 | 4,9 | 2,9 | 4,3 | 2,7 | 3,9 | 2,1 | 4,4 | 2,3 | 4,2 | 2,5 | 3,7 |
| მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ | 1,0 | 2,3 | 1,0 | 1,9 | 0,9 | 1,7 | 0,6 | 1,9 | 0,7 | 1,7 | 0,9 | 1,5 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში სიღარიბის დონე დინამიკაში კლებულობს, მხოლოდ 2008 წელს ფიქსირდება უმნიშვნელო ზრდა 2007 წელთან მიმართებაში ( მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ 0,8 ერთეულით). სიღარიბის დონემ საარსებო მინიმუმის მიმართ 37% შეადგინა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებია დღესათვის მდიდარი.

სიღარიბის დონეთა განსხვავება შეინიშნება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. სოფლის მოსახლეობის სიღარიბის დონე 1.4–ჯერ აღემატება ქალაქის მოსახლეობისას, და დინამიკაშიც უმნიშვნელოდ კლებულობს.

სიღარიბის დონის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინდიკატორი უმუშევრობაა. რაც მაღალია ქვეყანაში უმუშევრობის დონე, მით უფრო მეტია შინამეურნეობების სიღარიბის ზღვარს მიღმა მოხვედრის რისკი. საქართველოში დასაქმების დონე დინამიკაში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ცხრილი 3.1.3.) :

**ცხრილი 3.1.3.**

**დასაქმების დონის მაჩვენებლები საქართველოში**

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი | 2041.0 | 2023.9 | 2021.8 | 1965.3 | 1917.8 | 1991.8 | 1944.9 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1783.3 | 1744.6 | 1747.3 | 1704.3 | 1601.9 | 1656.1 | 1628.1 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 257.6 | 279.3 | 274.5 | 261.0 | 315.8 | 335.6 | 316.9 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტებში | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3. |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ცხრილი 3.1.4.**

**დასაქმების დონის მაჩვენებლებთა ცვლილება საქართველოში**

(პროცენტი)

| | 2010 წლის მონაცემების %-ული ცვლილება წინა წლებთან მიმართებაში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 95.4 | 96.1 | 96.2 | 101.5 | 101.4 | 97.6 |
| დასაქმებული | 91.3 | 93.3 | 93.2 | 95.5 | 101.6 | 98.3 |
| უმუშევარი | 123.0 | 113.4 | 115.4 | 121.4 | 100.3 | 94.4 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წლების მიხედვით სამუშაო ძალის რაოდენობა კლებულობს (ცხრილი 3.1.4.), რაც მიგრაციის მაღალი დონით აიხსნება. დინამიკაში მიგრაციის სალდო უმეტესად უარყოფითია (ცხრილი 3.1.5.).

ცხრილი 3.1.5.

**მიგრაციული სალდო**

| წელი | მიგრაციული სალდო (ათასი კაცი) |
|---|---|
| 2000 | -35.2 |
| 2001 | -32.6 |
| 2002 | -27.8 |
| 2003 | -27.5 |
| 2004 | 5.5 |
| 2005 | 76.3 |
| 2006 | -12.1 |
| 2007 | -20.7 |
| 2008 | -10.2 |
| 2009 | 34.2 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010 წლის მონაცემებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1944.9ათ.კაცს შეადგენდა. 2009 წელთან შედარებით სამუაო ძალის რაოდენობა 2010 წელს მცირდება 2.4%-ით, ხოლო 2004 წელთან მიმართებაში – 5%-ით.

2010 წელს 2004 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა კლებულობს 9%-ით (ცხრილი 3.1.6.).

ცხრილი 3.1.6.

## დასაქმების მაჩვენებლები საქართველოში

(2010 წელი)

| | კახეთი | ქ. თბილისი | შიდა ქართლი | ქვემო ქართლი | აჭარის ა.რ | სამეგრელო-ზემო სვანეთი | იმერეთი | დანარჩენი რეგიონები* | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 196,0 | 455,3 | 141,3 | 185,7 | 181,1 | 203,5 | 366,0 | 216,2 | 1944,9 |
| დასაქმებული | 174,2 | 318,3 | 123,4 | 168,7 | 148,6 | 174,4 | 323,5 | 197,0 | 1628,1 |
| დაქირავებული | 44,8 | 251,0 | 34,9 | 50,5 | 54,8 | 45,9 | 90,2 | 46,6 | 618,6 |
| თვითდასაქმებული | 129,3 | 67,1 | 88,4 | 118,1 | 93,7 | 128,2 | 232,0 | 150,4 | 1007,1 |
| გაურკვეველი | 0,1 | 0,3 | 0,0 | 0,2 | 0,2 | 0,4 | 1,3 | 0,1 | 2,4 |
| უმუშევარი | 21,8 | 137,0 | 17,9 | 17,0 | 32,5 | 29,1 | 42,5 | 19,2 | 316,9 |
| მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ | 81,0 | 364,6 | 72,9 | 111,2 | 98,7 | 101,4 | 167,1 | 86,3 | 1083,3 |
| **უმუშევრობის დონე (პროცენტებში)** | **11,1** | **30,1** | **12,7** | **9,2** | **17,9** | **14,3** | **11,6** | **8,9** | **16,3** |
| **აქტიურობის დონე (პროცენტებში)** | **70,8** | **55,5** | **66,0** | **62,5** | **64,7** | **66,7** | **68,7** | **71,5** | **64,2** |
| **დასაქმების დონე (პროცენტებში)** | **62,9** | **38,8** | **57,6** | **56,8** | **53,1** | **57,2** | **60,7** | **65,1** | **53,8** |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმების მაჩვენებლები არაერთგვაროვანია რეგიონების მიხედვითაც. თუმცა უმუშევრობის დონე კლებულობს 2010 წელს 2009 წელთან მიმართებაში აჭარაში, შიდა ქართლის რეგიონში, იმერეთსა და ქვემო ქართლში, უმუშევრობის მაღალი დონე აღინიშნება თბილისში, შიდა ქართლში, სამეგრელო, ზემო სვანეთსა და აჭარაში (დიაგრამა 3.1.2.).

დიაგრამა 3.1.2.

**უმუშევრობის დონის ცვლილება 2010 წელს 2009 წელთან მიმართებაში**

(%-ული პუნქტით)



დიაგრამა 3.1.3.

უმუშევრობის დონე

(პროცენტულად)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმუშევრობის დონე ქალაქის მოსახლეობაში ბევრად მაღალია სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (დიაგრამა 3.1.3.). სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ეწევა შრომით საქმიანობას საკუთარ მეურნეობაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი თითქმის უცვლელადაა დასაქმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. ამასთან, ქვეყანაში უმუშევრობის დონის კლება ძირითადად განპირობებულია ქალაქის ტიპის დასახლებაში შესაბამისი მაჩვენებლის კლებით (2010 წელს 2009 წელთან შედარებით 1.6%-ით), ვინაიდან ბოლო წლებში უმუშევრობის დონე პრაქტიკულად არ შეცვლილა. ამასთან, დასაქმებულებიდან დიდი ხვედრითი წილით თვითდასაქმებულები გამოირჩევიან.

სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხალფასი 2009 წელს 512.6 ლარით განისაზღვრა, ხოლო არასახელმწიფო სექტორში – 608.5 ლარით. გაეროს ადამიანის ჰუმანური განვითარების 1998-2002

წლების ანგარიშის მიხედვით უკიდურესი სიღარიბის ზღვარი საქართველოში 2,5 აშშ დოლარი იყო დღეში. მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით (ბრძ. N767 26\12\06) მინიმალური ხელფასი შეადგენს 40 ლარს, მაშინ, გამოდის რომ, მოსახლეობის რაღაც ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება აფრიკული სტანდარტებითაც კი.

სიღარიბე შეფარდებითი კატეგორიაა და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ღარიბად ითვლება პიროვნება, რომელსაც დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი გააჩნია (უკიდურესი სიღარიბის ინდექსია 1 აშშ დოლარი დღეში აფრიკის ქვეყნებისათვის, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის 4 აშშ დოლარზე ნაკლები). საქართველოში ამჟამად ასეთი შემოსავალი დიდად აჭარბებს საარსებო მინიმუმს და სათანადო პიროვნებაც საშუალო მაცხოვრებლად ითვლება.

სიღარიბის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო. სიღარიბის გამო შიმშილობს მოსახლეობის 1 მილიარდი და ყოველწლიურად 70 მლნ. ადამიაინი იღუპება.

„სიღარიბე საზოგადოებაში ვლინდება სიმდიდრის განაწილებაში უთანაბრობის წარმოშობის საფუძველზე. XXI საუკუნის დასაწყისში, ამერიკელი მეცნიერის ი. სერაგელდინის გამოკვლევებით, მსოფლიოში მოსახლეობის 20% მოიხმარდა მსოფლიო შემოსავლების 85%-ს, 80% იღებდა შემოსავლების მხოლოდ 15%-ს, ხოლო 20% ყველაზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის – 1.3%-ს." (ჭითანავა 2008 : 226)

„მსოფლიო ბანკის გათვლებით, XXI საუკუნის დასაწყისში 1.5 მლრდ. ადამიანი იძულებული იქნება იარსებოს 1 დოლარით დღე-ღამის განმავლობაში. პროგნოზით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 2 მლრდ. ადამიანი იცხოვრებს." (ჭითანავა 2008:227) ამიტომ, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულად საინტერესოა მოსახლეობის შემოსავლებისა და მათი დიფერენციაციის შესახებ პირველადი ინფორმაციის დამუშავება სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების მეშვეობით და მოსახლეობის ცხოვრების დონის სავარაუდო პროგნოზების გაკეთება.

რაც უფრო რთული და არასტაბილურია ცხოვრება, თანამედროვე ეტაპზე, მით უფრო საინტერესოა სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ მოვლენათა განვითარების ტენდენციების შესწავლა, შესაძლო დონეების განსაზღვრა, ცვლილებების ტემპებისა და მასშტაბების დადგენა, რასაც მეცნიერების დარგი – პროგნოზირება ემსახურება. მომავლის განსაზღვრის ინტერესი უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან.

სტატისტიკური პროგნოზირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში იძენს. მოდელირება და პროგნოზირება ემპრიული და მეცნიერული კვლევის კომპლექსური პროცესია, რომელიც რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული ეტაპისაგან შესდგება. მათგან ძირითადია :

1. მოდელირებისა და პროგნოზირების მიზნის, ამოცანების, ობიექტის ზუსტი განსაზღვრა;
2. საჭირო ინფორმაციული ბაზის შექმნა;
3. პროგნოზირების მეთოდის შერჩევა;
4. საპროგნოზო მოდელის აგება და პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება;
5. მიღებული პროგნოზების შეფასება.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის პროგნოზირების მრავალი მეთოდი გამოიყენება. მათგან მნიშვნელოვანია ექსტრაპოლაციის მეთოდი. ექსტრაპოლაცია გულისხმობს წარსულ პერიოდში მოსახლეობის შემოსავლების მოცულობის ცვალებადობის ტენდენციების გავრცელებას მომავალზე. ექსტრაპოლაციის მეთოდის შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა, მაგალითად, საშუალოწლიური ზრდის ტემპი, მატების ტემპი და სხვა.

საშუალოწლიური აბსოლიტური მატების გამოყენებით მოსახლეობის შემოსავლების მოცულობა პერსპექტიული პერიოდისათვის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_t = S_0 + t\overline{\Delta}$$

სადაც,

$S_t$ – მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლებია ერთ სულ მოსახლეზე პერსპექტიული პერიოდისათვის;

$S_0$ – მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების საწყისი მნიშვნელობაა პერსპექტიული პერიოდის დასაწყისში;

$\overline{\Delta}$ – მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების საშუალოწლიური აბსოლიტური მატება წარსულ პერიოდში;

$t$ – პერსპექტიული პერიოდის ხანგრძლივობა წლებში.

$$\overline{\Delta} = \frac{\sum_{t=1}^{n-1} \Delta_t}{n-1}$$

$$\Delta_{t-1} = y_t - y_{t-1}$$

ცხრილი 3.1.6.

**შინამეურნეობების შემოსავლები**

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საშუალოთვიური შემოსავალი ერთ სულზე (ლარი) | 92.3 | 102.6 | 115.2 | 147.2 | 154.5 | 178.6 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შესაბამისად,

$\Delta_1 = $ 10,3 ლარი; $\Delta_2 = $ 12.6 ლარი; $\Delta_3 = $ 32 ლარი; $\Delta_4 = $ 7.3 ლარი;

$\Delta_5 = $ 24.1 ლარი.

აქედან, $\overline{\Delta}$ = 17.3

მაშინ,

$$S_t = 178.6 + 17.3t$$

პერსპექტიული პერიოდისათვის, მაგალითად 2011 წლისათვის მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე იქნება:

$S_t = 178.6 + 17.3 \cdot 1 = 195.9$ ლარი

2012 წლისათვის – $S_t = 178.6 + 17.3 \cdot 2 = 213.2$ ლარი

2020 წლისათვის – $S_t = 178.6 + 17.3 \cdot 10 = 351.6$ ლარი

როგორც აღვნიშნეთ, ექსტრაპოლაცია დინამიკური მწკრივის მომდევნო უცნობი დონეების პოვნაა. ერთფაქტორული ექსტრაპოლაციის მეთოდი გულისხმობს წარსულში არსებული ტენდენციების გავრცელებას მომავალზე მხოლოდ ერთი ფაქტორის – დროის, ქრონოლოგიური პერიოდის გათვალისწინებით, რადგანაც მასში აისახება ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა. მოსახლეობის შემოსავლების დროის ფაქტორზე დამოკიდებულება შეიძლება ერთფაქტორული წრფივი ფუნქციის სახით გამოვსახოთ:

$y = a_0 + a_1 t$

სადაც, $a_0$ და $a_1$ ურთიერთკავშირის პარამეტრებია.

ურთიერთკავშირის პარამეტრების განსაზღვრისათვის ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum yt \end{cases}$$

შეიძლება მივმართოთ ამ სისტემის ამოხსნის გამარტივების წესი, წლების ათვლა გადავიტანოთ დინამიკური მწკრივის ცენტრში, მაშინ $\sum y = 0$

$$a_0 = \frac{\sum \boldsymbol{y}}{\boldsymbol{n}}$$

$$a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2}$$

მოსახლეობის საშუალო თვიური ერთ კაცზე შემოსავლების მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ავაგოთ ცხრილი:

ცხრილი 3.1.8.

| | y | T | yt | $t^2$ |
|---|---|---|---|---|
| 2006 | 102.6 | -2 | -205.2 | 4 |
| 2007 | 115.2 | -1 | -115.2 | 1 |
| 2008 | 147.2 | 0 | 0 | 0 |
| 2009 | 154.5 | 1 | 154.5 | 1 |
| 2010 | 178..6 | 2 | 357.2 | 4 |
| $\sum$ | 698.1 | 0 | 191.3 | 10 |

პირველადი მონაცემების წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აქედან, $a_0 = 139.6$ $a_1$ = 19.1

ექსტრაპოლაციის მეთოდის მეშვეობით, რომელიც მომდევნო უცნობი დონის პოვნას ითვალისწინებს, შეგვიძლია განვსაზღვროთ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლის შესაძლო მნიშვნელობა ერთ სულზე.

მიღებული მნიშვნელობები ჩავსვათ ფორმულაში:

$y = a_0 + a_1 t$ = 139.6 + 19.1 × 3 = 196.9 ლარი

ე.ი მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე 2011 წლისათვის მიახლოებით იქნება 158.7 ლარი;

2012 წლისათვის – $y = a_0 + a_1 t$ = 139.6 + 19.1 × 4 = 216 ლარი

2020 წლისათვის კი – $y = a_0 + a_1 t$ = 139.6 + 19.1 × 12 = 368.8 ლარი

როგორც ვხედავთ, პროგნოზირების ორივე მეთოდი ამტკიცებს, რომ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლის სიდიდე ერთ სულზე დინამიკაში იზრდება, თუ შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი უარყოფითი ფაქტორები არ იმოქმედებენ მასზე.

პროგნოზების თანახმად, მოსახლეობის შემოსავლები იზრდება, თუმცა საინტერესოა, ლარის მსყიდველობითუნარიანობა პერსპექტიული პერიოდისათვის, რადგან სწორედ ინფლაცია განაპირობებს მიღებული შემოსავლების ხარჯვით სტრუქტურასა და დონეს. წლიური ინფლაციის 2010 წლისათვის 11.2%-ული ერთეულით განისაზღვრა. დინამიკაში იგი არათანაბრად ვითარდება (ცხრილი 3.1.9.).

ცხრილი 3.1.9.

წლიური ინფლაციის დონე

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| წლიური ინფლაციის დონე | 6.2 | 8.8 | 11.0 | 5.5 | 3.0 | 11.2 |
| | $y_1$ | $y_2$ | $y_3$ | $y_4$ | $y_5$ | $y_6$ |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დინამიკური მწკრივის დანიშნულებაა სწორი წარმოდგენა მოგვცეს მოვლენის განვითარები ტენდენციაზე. როდესაც იგი არათანაბრად ვითარდება, საჭიროა ზრდიდან კლებაში და კლებიდან ზრდაში გადასვლის ლიკვიდაცია და განვითარების საერთო სურათის გამოსავლენად მწკრივის მოსწორება. ყველაზე მარტივი ხერხია მოსწორება სრიალა საშუალოს მეშვეობით:

$$\widehat{y_1} = \frac{y_1+y_2+y_3}{3} = 8.6$$

$$\widehat{y_2} = \frac{y_2+y_3+y_4}{3} = 8.4$$

$$\widehat{y_3} = \frac{y_3+y_4+y_5}{3} = 6.5$$

$$\widehat{y_4} = \frac{y_4+y_5+y_6}{3} = 6.6$$

მაშასადამე, ზოგადად ინფლაციის დონე კლებულობს 2010 წლამდე, სამაგიეროდ, 2010 წელს მაღალი მაჩვენებლით 11.2%-ით ხასიათდება და 2011 წლის მაისისათვის საშუალო ინფლაციის დონე 13.6% განისაზღვრა (წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.4% შეადგინა).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის შემოსავლები პერსპექტიულ პერიოდში კი გაიზრდება, მაგრამ ინფლაციური პროცესების გავლენის შედეგად ცხოვრების დონე არ გაუმჯობესდება.

თუ როგორ შეიცვლება მომდევნო წლებში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაცია, შეიძლება განვსაზღვროთ პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდის მეშვეობით.

ცხრილი 3.1.10.

მოსახლეობის შემოსავლების განაწილება განვიხილოთ დეცილური ჯგუფების მიხედვით

| წლები / დეცილი | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2.5 | 2.3 | 2.5 | 2.4 | 2.1 |
| 9 | 16.3 | 16.6 | 16.5 | 16.7 | 16.9 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 3.1.11.

პირველი რიგის დეცილური ჯგუფებისათვის:

| | y | t | yt | $t^2$ |
|---|---|---|---|---|
| 2006 | 2.5 | -2 | -5 | 4 |
| 2007 | 2.3 | -1 | -2.3 | 1 |
| 2008 | 2.5 | 0 | 0 | 0 |
| 2009 | 2.4 | 1 | 2.4 | 1 |
| 2010 | 2.1 | 2 | 4.2 | 4 |

პირველადი მონაცემების წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

$$y = a_0 + a_1 t$$

სადაც, $a_0$ და $a_1$ ურთიერთკავშირის პარამეტრებია.

ურთიერთკავშირის პარამეტრების განსაზღვრისათვის ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum yt \end{cases}$$

შეიძლება მივმართოთ ამ სისტემის ამოხსნის გამარტივების წესი, წლების ათვლა გადავიტანოთ დინამიკური მწკრივის ცენტრში, მაშინ $\sum y = 0$

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = 2.4$$

$$a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2} = -\ 0.07$$

2011 წლისათვის პირველი რიგის დეცილური ჯგუფის შემოსავლები განისაზღვრება:

$y = 2.4 - 0.07\ X\ 3\ = 2.18$

2020 წლისათვის:

$y = 2.4 - 0.07\ X\ 12 = 1.6$

პროგნოზების მიხედვით, პირველი დეცილური ჯგუფის შემოსავლები დინამიკაში მცირდება.

ცხრილი 3.1.10.

მეცხრე რიგის დეცილური ჯგუფებისათვის:

| | y | t | yt | $t^2$ |
|---|---|---|---|---|
| 2006 | 16.3 | -2 | -32.6 | 4 |
| 2007 | 16.6 | -1 | -16.6 | 1 |
| 2008 | 16.5 | 0 | 0 | 0 |
| 2009 | 16.7 | 1 | 16.7 | 1 |
| 2010 | 16.9 | 2 | 33.8 | 4 |

პირველადი მონაცემების წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საიდანაც,

$$a_0 = \frac{\Sigma y}{n} = 16.6$$

$$a_1 = \frac{\Sigma yt}{\Sigma t^2} = 0.13$$

2011 წლისათვის მეცხრე რიგის დეცილური ჯგუფის შემოსავლები განისაზღვრება:

$y = 16.6 + 0.13\ X\ 3\ = 16.99$

2020 წლისათვის:

$y = 16.6 + 0.13\ X\ 12 = 18.16$

მეცხრე დეცილური ჯგუფის შემოსავლები დინამიკაში იზრდება.

მოსალოდნელი დიფერენციაცია მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დეცილურ ჯგუფებში შეგვიძლია გავიანგარიშოთ დეცილური კოეფიციენტის მეშვეობით:

2011 წლისათვის:

$$K_1 = \frac{d_9}{d_1} = 7.7$$

2020 წლისათვის:

$K_1 = \frac{d_9}{d_1} = 11.4$

მოსახლეობის შემოსავლები კი მატულობს, მაგრამ იზრდება დიფერენციაციის დონე, განსხვავება დაბალშემოსავლიან და მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებს შორის.

მიღებული შედეგების მიხედვით დასკვნა ერთგვაროვანია. სოციალური მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი წინსვლა არაა ნავარაუდები: იზრდება უმუშევრობის დონე, მატულობს ინფლაციის ტემპები, საარსებო მინიმუმი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ბევრად აღემატება საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანის მინიმალურ ხელფასს, არ მატულობს ხელფასები და პენსიები, სამაგიეროდ იზრდება საკვებსა და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები. ღარიბი მოსახლეობა უფრო დუხჭირულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მათი შემოსავლები 7–8-ჯერ განსხვავდება „მდიდარი" მოსახლეობის შემოსავლებისაგან.

„ქართველი და ევროპელი ექსპერტების განცხადებით, მთავრობის ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას უფრო მკვეთრს ხდის." (www.presage.tv/?m=bp&AID=3036) მოსახლეობის მცირე ნაწილი მდიდრდება, დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

მოსახლეობის შემოსავლეობისა და ცხოვრების დონისა და მისი დიფერენციაციის პროგნოზირებისათვის საჭიროა იმ მნიშვნელოვან ფაქტორთა გათავლისწინება, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ასეთ ფაქტორთა რიცხვს კი მიეკუთვნება შობადობის მაჩვენებლები, ინფლაციის დონე, უმუშევრობის დონე, სოციალური დახმარებების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, ეროვნული შემოსავლის მოცულობა, საბიუჯეტო ხარჯებში სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯების წილი და სხვა მრავალი ფაქტორები, რომლებიც თავს იჩენენ საზოგადოების კონკრეტულ ისტორიულ განვითარების პირობებში.

## 3.2 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა სტატისტიკა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სოციალური პოლიტიკა სახელმწიფოს შიდა პოლიტიკის განმსაზღვრელ მიმართულებას წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის უფლებების დაცვას, ქმნის წინამძღვრებს გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და საზოგადოებრივი სისტემის სტაბილურობისათვის.

მაკროეკონომიკური მნიშვნელობით, სოციალური პოლიტიკა – მმართველობითი, ორგანიზაციული, რეგულირებადი, თვითრეგულირებადი ღონისძიებების, მოქმედებების, პრინციპების და საფუძვლების სისტემაა, რომელიც მიმართულია ოპტიმალური სოციალური და ცხოვრების დონის უზრუნველყოფის, სოციალური დაცვისა და მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების სოციალური უსაფრთხოებისაკენ საზოგადოებში.

სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცვა ფასების ზრდისგან სხვადასხვა სახის კომპენსაციის გამოყენებით, დახმარების გაწევა მოსახლეობის ღარიბი ფენისთვის, დახმარების გაწევა უმუშევრობის შემთხვევაში, სოციალური დაზღვევის პოლიტიკის განხორციელება, ოპტიმალური მინიმალური ხელფასის დადგენა დასაქმებისთვის, მოსახლეობის ხარჯზე უზრუნველყოფა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, დახმარების გაწევა მოსახლეობაზე კვალიფიკაციის მიღებისას და აშ.

სოციალური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს სოციალური სამართლიანობისა და ეფექტიანობის ოპტიმალური შეთანაწყობა; სიცოცხლისათვის აუცილებელი სოციალური სტანდარტების გაანგარიშება ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით სხვადასხვა ბიუჯეტების ფორმირებისას; მკვეთრი გამიჯვნა უფლებებისა და პასუხისმგებლობისა მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის და აშ.

ადამიანის თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარანტირებული უფლება ცხოვრების ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას საკვებით, სიცოცხლისთვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურებით, ასევე სოციალური უზრუნველყოფის უფლებით უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერის და სხვათა შემთხვევაში. თუ ფინანსური

და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების რეალიზაცია გავლენას ახდენს მატერიალური კაპიტალის დაგროვებაზე, მაშინ იგი ასახვას ჰპოვებს ადამიანურ და სოციალურ კაპიტალზე.

ამ განმარტების ძირითადი შინაარსი შეიძლება დაყვანილ იქნას შემდეგ განსაზღვრებამდე:

მატერიალური კაპიტალი აქტივების ერთობლიობაა, საზოგადოებრივი სიმდიდრე, რომელიც გარკვეული დონით აისახება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობის სიდიდით.

ადამიანური კაპიტალი – საზოგადოების წევრების ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების ერთობლიობაა და მის ნიადაგს წარმოადგენს მატერიალური კაპიტალი.

სოციალური კაპიტალი – ურთიერთობა, რომელიც არსებობს საზოგადოების უკვე არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში და რომელიც ხალხს აძლევს შესაძლებლობას მიაღწიონ განსაზღვრულ მიზნებს. სოციალური კაპიტალის არარსებობა ან არასაკმარისობა იწვევს მოსახლეობის ცალკეული ფენის გამოთიშვას საერთო საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარების პროცესში.

სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის წინამძღვრები იქმნება მატერიალური და ადამიანური კაპიტალით. ამასთან ერთად, სოციალური კაპიტალის რეალიზაცია ითვალისწინებს განსაზღვრული დონის პოლიტიკური სისტემის განვითარებას. თუ, შემოსავლების საბაზრო განაწილება უზრულველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას, მაშინ სახელმწიფო განაწილება-სოციალურ სამართლიანობას.

მოსახლეობის კეთილდღეობის მდგომარეობისა და განვითარების მიმართულების დახასიათებისთვის აუცილებელია განხილულ იქნეს: შემოსავლების სტრუქტურა და დონე, ხარჯები მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მოხმარებაზე, სამუშაო ძალის ბაზარი, სოციალური გარანტიების მდგომარეობა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებში.

საქართველოში, გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში მდგომარეობს. ამ ამოცანის გადაწყვეტა გართულდა ღრმა და ხანგრძლივი ტრანსფორმაციული პროცესების გამო. განსაკუთრებით გამწვავდა მინიმალური შემოსავლების უზრუნველყოფის, შრომის ბაზრის ჩამოყალიბების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები.

მოსახლეობის სოციალურ დაცვაში მოიაზრება კანონმდებლობით დამტკიცებული ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევრობის, ასაკის, შრომისუუნარობის და სხვათა შემთხვევაში დაკარგული შემოსავლების ანაზღაურებას, ასევე, დახმარების გაწევას მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფებისთვის. მათ შორის გამოიყოფა დახმარებები ბავშვების, ავადმყოფების, ინვალიდების, მოხუცებულების და მოსახლეობის იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული დამსახურება სახელმწიფოს წინაშე ან იმყოფებიან კრიზისულ სიტუაციაში.

სოციალური დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუციონალური ერთეულების უმთავრეს ფუნქციას, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისთვის და მოსახლეობის ცხოვრების დონესა და კეთილდღეობასთან მიმართებაში სტრუქტურული ცვლილებების წარმოებისთვის.

დღესდღეობით, სოციალური მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა ემყარება ორი მიმართულების, სოციალური დახმარებისა და სოციალური დაზღვევის შერწყმას. საქართველოში მოქმედი სოციალური დაცვის სისტემა ასახავს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებს თავისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდსა და ინტერესთა სხვადასხვა სფეროში. რეფორმების პერიოდში აღნიშნული სისტემა სწრაფად ვითარდებოდა სოციალური უზრუნველყოფის კომპლექსური ზომების პარალელურად, რომელთა მიღებაც ხორციელდებოდა ცალკეული დარგების, სამინისტროებისა და უწყებების ფარგლებში პროფკავშირების მონაწილეობით. ამის შედეგად ჩამოყალიბდა საკმაოდ სრულყოფილი სოციალური ტრანსფერტების მქონე სისტემა თითქმის ყველა კატეგორიების მიხედვით პროგრამის ფარგლებში.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა გარკვეულწილად დეცენტრალიზებულია და რეალიზდება სახელმწიფო მართვის სხვადასხვა სტრუქტურების, სოციალური განხრის სპეციალიზირებული არასაბიუჯეტო ფონდების, საწარმოთა ადმინისტრაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მთავარ შემადგენელ ნაწილს ამ ჯაჭვში წარმოადგენს საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს მმართველი ხელისუფლების დაქვემდებრებაში ასრებული სოციალური დაცვის ორგანოები. მოსახლების სოციალური დაცვის ფედერალურ სახელმწიფო სისტემაში

გაერთიანებულია ქვესისტემები სფეროების მიხედვით: საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო და სხვ., ასევე სახელმწიფო არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები. არასაბიუჯეტო ფონდების პარალელურად არსებობს ფედერალური, საპრეზიდენტო და სოციალური დახმარების რეგიონალური პროგრამები.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სხვადასხვა პროგრამები გულისხმობენ მისი შესრულებისთვის საკანონმდებლო საფუძვლების არსებობას, ფინანსირების წყაროების, რეალიზაციის მექანიზმების და სოციალური ტრანსფერტების კონტინგენტის მკაფიოდ განსაზღვრას. ამასთანავე, რეალიზაციის მექანიზმში მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის შემსრულებლები და მათი პასუხისმგებლობა პროგრამის რეალიზაციის შედეგებზე.

სოციალური დაცვის პროგრამა შესაძლოა დაყოფილი იყოს შემდეგ კატეგორიებად, რაც ნაჩვენებია ქვემოდ მოყვანილ ცხრილში (ნაზაროვი:2002):

| | |
|---|---|
| მმართველის საკუთრების ფორმით - სახელმწიფო ან კერძო | სახელმწიფო პროგრამები კონტროლდება ხელისუფლების მიერ, რომელიც ღებულობს ყველა პრინციპულ გადაწყვეტილებას<br>კერძო პროგრამები იმართება არაკომერციული ორგანიზაციების მიერ, (მაგალითად სადაზღვევო კომპანიების, არაკომერციული დაწესებულების, დამსაქმებლის მიერ) |
| ვალდებულების ხარისხის მიხედვით – სავალდებულო (იძულებითი) და არასავალდებულო | სავალდებულო პროგრამები – პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობა სავალდებულოა ხელისუფლების დადგენილების მიხედვით<br>არასავალდებულო პროგრამები გულისხმობენ მათში ნებაყოფლობით წევრობას |
| მონაწილეობის ფორმის მიხედვით – შენატანებით ან მათ გარეშე | პროგრამა შენატანებით მოითხოვს შენატანების წარმოებას დაცული პირების ან მათი სახელით ვინმეს მიერ (მაგალითად: დამქირავებლების მიერ)<br>პროგრამა შენატანების გარეშე არ განაპირობებს დახმარებაზე უფლებას წინასწარი საწევრო გადასახადების გადახდით |

| | |
|---|---|
| გავრცელების ხარისხის მიხედვით – საერთო, ზოგადი და სპეციალური პროგრამები | საერთო პროგრამები ეხება მთლიან მოსახლეობას, რომელსაც გააჩნია უფლება მიიღოს გარკვეული დახმარება შესაბამისი რისკის წარმოშობის შემთხვევაში<br>ზოგადი პროგრამა მოიცავს ეკონომიკურად აქტიურ მთლიან მოსახლეობას ან მის ნაწილს<br>სპეციალური პროგრამები შემუშავებულია მოსახლეობის რომელიმე ჯგუფის დასაცავათ (მაგალითად, მეშახტეების, სახელმწიფო მუშაკების ან საომარი მოქმედებების მსხვერპლის) |
| სარესურსო ფონდების ფორმირების მექანიზმის მიხედვით – სოციალური შენატანების ხარჯზე, სახელმწიფო მართვის ორგანოების შენატანების ხარჯზე, სხვა პროგრამებიდან გადმოცემული და სხვა შემოსულობებით | სადაზღვევო შენეტანები წარმოადგენს ხარჯს, რომელსაც განახორციელებს დაცული პირი ან მათ ინტერესებში მესამე მხარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სოციალური დახმარების უფლება. აღნიშნული შენატანების განხორციელება შეუძლია დამქირავებელს, რათა უზრუნველყოს მომუშავე თუ წარსულში მომუშავე თანამშრომლები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები. შენატანების გაკეთება შეუძლია თავად დასაცავ პირებს: დაქირავებულ მუშაკებს, დამოუკიდებლად მომუშავე პირებს და პენსიონერებს.<br>სახელმწიფო მართვის ორგანოების შენატანები – მოცემული ორგანოების მიერ გაწეული ხარჯები სახელმწიფო პროგრამების მართვისა თუ სხვა სოციალური დაცვის პროგრამების ფინანსური დახმარების მიზნით.<br>სხვა პროგრამებიდან გადმოცემული –სხვა სოციალური დაცვის პროგრამების მიერ განხორციელებული უსასყიდლო გადახდები.<br>სხვა შემოსულობებში გაერთიანებულია ზემოხსენებულ პუნქტებში არაკლასიფიცირებული შემოსულობები (მაგალითად, ქველმოქმედებიდან, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები და ა.შ.) |

სოციალური დაცვის ორგანიზაციისთვის არსებული მრავალფეროვანი ფორმები და გზები შეგვიძლია განვასხვავოთ შემდეგი სახით:

1. ფულადი გადახდების, ხარჯების ანაზღაურების ან მოსახლეობის დაცული კატეგორიისთვის საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის ფორმისა და გადახდის მექანიზმის მიხედვით;

2. უზრუნველყოფის პერიოდულობის მიხედვით: რეგულარული (ყოველთვიური ან ყოველკვარტალური) ან ერთდროული;

3. შემოსულობების წყაროს მიხედვით: ფედერალური ბიუჯეტიდან და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან; სახელმწიფო არასაბიუჯეტო სოციალური ფონდებიდან; დამქირავებლების მიერ, რომლებიც უხდიან დახმარებებს საკუთარ თანამშრომლებსა და ყოფილ თანამშრომლებს; არასამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების (მათ შორის საქველმოქმედო) მიერ, სოციალური დაცვის ფონდებიდან; არასახელმწიფო საპენსიო ფონდებიდან; ქველმოქმედებითა და დახმარების გაწევით დასაქმებული ორგანიზაციებიდან;

4. სოციალური დაცვის ფუნქციების მიხედვით (ე.ი. საბოლოო დანიშნულების მიხედვით და არა სოციალური დაცვის ან კანონმდებლობის განაყოფების მიხედვით). სოციალური დაცვის კომპლექსური სტატისტიკის ევროპული სისტემის თანახმად დადგენილია მოსახლეობის სოციალური დაცვის ფუნქციების შემდეგი ჩამონათვალი: ჯანდაცვა, შრომისუუნარობა, ხანდაზმულობა, მარჩენალის დაკარგვა, ოჯახი (ბავშვები), უმუშევრობა, საცხოვრებელი ბინა და სოციალური კეთილმოუწყობლობა. უფრო დეტალურ დონეზე ყოველ ჩამოთვლილ ფუნციას გააჩნია საკუთარი განსაზღვრება.

- ჯანდაცვა. შემოსავლების შენარჩუნება და ფულადი დახმარება ავადმყოფობის შემთხვევაში (შრომისუუნარობის შემთხვევის გარდა), რაც გულისხმობს სამედიცინო გამოკვლევას, დაკავშირებულს დაცული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების, აღდგენასა ან გაუმჯობესებასთან, მიხედავად ავადმყოფობის მიზეზისა. აღნიშნული ფუნქცია მოიცავს ფულად დახმარებას, რომლითაც ანაზღაურდება (ნაწილობრივ ან სრულად) შემოსავლის დანაკარგი ავადმყოფობისა ან ტრავმის შედეგად დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში; სამედიცინო მომსახურება, სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული, დაცული მოქალაქეების ჯანმრთელობის შენარჩუნების, აღდგენის ან გაუმჯობის მიზნით.

- შრომისუუნარობა. შემოსავლების შენარჩუნება, ფულადი ან არამატერიალური დახმარება (სამედიცინო დახმარების გამოკლებით)

ეკონომიკური ან სოციალური საქმიანობის წარმოების უუნარობის შემთხვევაში. აღნიშნული ფუნქცია მოიცავს დახმარებებს შემოსავლების უზრუნველყოფის მიზნით იმ პირებისათვის, რომლებმაც ვერ მიაღწიეს საპენსიო ასაკს და დაკარგული აქვთ შრომის უნარი და შემოსავლის მიღების საშუალება შრომისუუნარობის დადგომის გამო; სარეაბილიტაციო მომსახურება, რომელიც აუცილებელია შრომისუუნარობის გამო; შრომისუუნარო პირებისათვის სხვა (სამედიცინო მომსახურების გარდა) საქონელი და მომსახურება.

- ხანდაზმულობა. შემოსავლების შენარჩუნება, ფულადი ან არამატერიალური დახმარება (სამედიცინო დახმარების გამოკლებით) ხანდაზმულობისა და მასთან დაკავშირებული რისკის შემთხვევაში: შემოსავლის დაკარგვა, არაადეკვატური შემოსავლები, ყოველდღიური ამოცანების შესრულებისას არასაკმარისი დამოუკიდებლობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შემცირებისას და ა.შ. მოიცავს დახმარებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლების კომპენსირებას, როდესაც ხანში შესული პირი ტოვებს დასაქმების ბაზარს; უზრუნველყოფენ გარკვეულ შემოსავალს, როდესაც ამა თუ იმ პირმა მიაღწია განსაზღვრულ ასაკს; უზრუნველყოფენ საქონელსა ან მომსახურებას, რომლებიც სჭირდებათ ხანდაზმულ პირებს სოციალურ თუ პირად მდგომარეობასთან დაკავშირებით.

- მარჩენალის დაკარგვა. შემოსავლების შენარჩუნება, დახმარება ფულადი ან ნატურალური ფორმით ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში დახმარებების მიღების უფლება გააჩნიათ შემდეგ პირებს: გარდაცვლილის მეუღლე ან გაშორებული მეუღლე, მისი შვილები, შვილიშვილები, მშობლები ან სხვა ნათესავები. ზოგ შემთხვევაში დახმარებას შეიძლება ღებულობდეს არა ოჯახის წევრი. "ოჯახის მარჩენალის დაკარგვის" ფუნქცია უზრუნველყოფს დროებით ან მუდმივ შემოსავალს, ყველა იმ პირთათვის, ვინც არ მიაღწია საპენსიო ასაკს და რომლებიც განიცდიან გარკვეულ სიძნელეებს მეუღლისა თუ ახლო ნათესავის გარდაცვალების შედეგად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილი ოჯახის მარჩენალს წარმოადგენდა; ასევე ახდენს გარდაცვლილი მარჩენალის დაკრძალვის ხარჯების კომპენსირებას; უზრუნველყოფს საქონლითა თუ მომსახურებით ამის უფლების მქონე პირებს, ვრომლებმაც დაკარგეს მარჩენალი.

- ოჯახი (შვილები). შემოსავლების შენარჩუნება, ფულადი ან არამატერიალური დახმარება (სამედიცინო დახმარების გამოკლებით) გაწეული

ხაჯების შემთხვევაში, რომლებიც დაკავშირებულია ორსულობასთან, მშობიარობასა და შვილებასთან, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრების აღზრდასა და მოვლასთან. აღნიშნული ფუნქცია მოიცავს ოჯახების ფინანსურ დახმარებას შვილების აღზრდისათვის; იმ პირების ფინანსურ დახმარებას, რომლებიც არჩენენ ნათესავებს; სოციალური მომსახურება, რომელიც მიზანმიმართულია დაიცვას და დაეხმაროს ოჯახი, განსაკუთრებით ბავშვები.

- უმუშევრობა. შემოსავლების შენარჩუნება, ფულადი ან არამატერიალური დახმარება უმუშევრობის შემთხვევაში. აღნიშნული დახმარება მოიცავს შემოსავლის ანაზღაურებას (ნაწილობრივ ან სრულად) მათთვის, ვინც დაკარგა შემოსავლის მიღების წყარო; ანაზღაურებენ მომზადებისა ან გადამზადების ხაჯებს იმ პირთათვის, ვინც სამუშაოს ძიებაშია; საჭირო საქონლითა და მომსახურებით უმუშევრების უზრუნველყოფა.

- საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ფუნქციის ძირითადი მიზანია ოჯახების დახმარება საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდაში. ერთერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრავს “საცხოვრებელი ბინის” ფუნქციის ფარგლებს, წარმოადგენს დახმარებაში აუცილებლობის შემოწმება.

- სოციალური კეთილმოუწყობლობა. შემოსავლების შენარჩუნება, ფულადი ან არამატერიალური დახმარება (სამედიცინო დახმარების გამოკლებით) სპეციალურად განკუთვნილი სოციალურ კეთილმოუწყობლობასთან საბრძოლველად. სოციალური კეთილმოუწყობლობის (social exclusion) კონცეფცია საკმაოდ ფართო მცნებაა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლების არასაკმარის დონესთან (სიღარიბესთან) და არასტაბილურ მდგომარეობასთან ჯანმრთელობის, განათლებისა და დასაქმების სფეროებში. მაშინ როდესაც სხვა ზემოხსენებული ფუნქციები ეხება მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ მკაფიოდ იდენტიფიცირებადი რისკი თუ საჭიროება (ხანში შესული პირები, უმუშევრები, შრომისუუნარო პირები და სხვ.), მოცემული ფუნქცია დაკავშირებულია სოციალურად კეთილმოუწყობელ პირებთან ან იმათთან, ვინც შეიძლება აღმოჩნდეს სოციალურად კეთილმოუწობელი. აქ შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს (სხვებს შორის) ისეთი მსხვილი მიზნობრივი ჯგუფები, როგორიცაა უკიდურესად გაჭირვებული პირები, მიგრანტები, ლტოლვილები, ნარკომანები, ალკოჰოლიკები, ძალადობის მსხვერპლი და ა.შ.

„სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება დახმარებები:

1. სახელმწიფო პენსია:
- ასაკით პენსიონერთათვის;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
- მარჩენალდაკარგულთათვის;
- და სხვა.
2. სახელმწიფო კომპენსაცია და აკადემიური სტიპენდიები:
- სახელმწიფო კომპენსაცია;
- სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები.
3. სოციალური დახმარებები:
- სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის;
- სოციალური დახმარება უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის (საოჯახო დახმარება);
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის დახმარება;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდია." (სოციალური მომსახურების სააგენტო)

სოციალური დაცვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს სოციალური პოლიტიკის მოთხოვნილებებს და შეთანხმებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომასთან (ევროპულ სისტემასა და ეას-ის მეთოდოლოგიაში გადმოცემული), წარმოადგენს სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტს, მიმართულს სოციალური დაცვის პროგრამების შენატანების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის ეკონომიკურ-სტატისტიკურ დამუშავებაზე და მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების სოციალური დახმარების ამა თუ იმ სახეობით უზრუნველყოფაზე.

როგორც უცხოეთის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, ნორმალურად ფუნქციონირებადი

ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება საწარმოების სოციალური ფონდების როლი მუშაკების სოციალურ დაცვაში. მუშაკების და მათი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამები ახორციელებენ დახმარებების და მომსახურების ფართო სპექტრს.

მიუხედავად ამისა, მწარმოებლების მიერ მუშაკთა სასარგებლოდ განხორციელებული ხარჯები, რომლებიც განიხილება როგორც ჯილდო გაწეული მუშაობისთვის, ეროვნული ანგარიშების განმარტებების თანახმად, არ წარმოადგენენ სოციალურ დახმარებას. მაგალითის როლს ასრულებს მუშაკებისთვის სამივლინებო ხარჯების (წარმოიქმნებიან მათი მოვალეობების შესრულებისას) ანაზღაურება; სამედიცინო გამოკვლევები, რომლებიც აუცილებელია სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე; ასევე სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფილი კეთილმოწყობა.

პრაქტიკაში სოციალური დაცვა, რომელსაც უზრუნველყოფს უშუალოდ დამქირავებელი თავისი მუშაკებისთვის, შემოიფარგლება:

- ჩვეულებრივი ან შემცირებული ხელფასის გადახდის გაგრძელებით მუშაკთათვის, სამუშაოზე მათი არგამოცხადების პერიოდში დაავადების, უბედური შემთხვევის, ფეხმძიმობის, ბავშვის მოვლის და სხვა მიზეზების გამო.;
- კმაყოფაზე მყოფი ბავშვების ან ოჯახის სხვა წევრებისთვის კანონით დადგენილი სოციალური დახმარებების გადახდით;
- სამედიცინო მომსახურებით, რომელიც არ არის დაკავშირებული მუშაობის ხასიათთან.

სოციალური პროგრამების რეალიზაციის პროცესში სახსრების ფორმირების, განაწილებასა და გამოყენებაში მონაწილე სტრუქტურებს შორის იქმნება სხვადასხვა მიმართულების ფინანსური ნაკადები. მოცემული ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მიზნების მიხედვით, სოციალური დახმარების უზრუნველყოფის საფუძვლებით, პერიოდულობით და ა.შ.

თუ გავითვლისწინებთ, რომ სოციალური დახმარების გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა ამა თუ იმ დონით რეგლამენტირებულია სახელმწიფოს მიერ და მნიშვნელოვანწილად ფინანსირდება ბიუჯეტის სახსრებიდან, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სრული წარმოდგენა სოციალური დახმარების მოცულობისა და დანახარჯების მიმართულებების შესახებ. კერძოდ, აუცილებელია ობიექტური მონაცემები გახარჯული სახსრების ოდენობასა და სტრუქტურის, სოციალური დახმარების ძირითად ფინანსირებად პროგრამების, სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის, მათი შემოსავლების დონის და

დაცული მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების სხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. სოციალური დაცვის სტატისტიკის, რომელიც მაქსიმალურად შესაძლებელი დონით აკმაყოფილებს სოციალური პოლიტიკის ანალიზის მოთხოვნებს, ფარგლების განსაზღვრას გააჩნია მთელი რიგი თავისებურებებისა. ეას-ისგან განსხვავებით მოსახლეობის სოციალური დაცვის აღრიცხვის სისტემაში დარეგისტრირებული უნდა იყოს შემდეგი ფორმის ყველა შენატანი და ხარჯები: გამანაწილებელი ოპერაციები, როგორც მიმდინარე ისე კაპიტალური, ადმინისტრაციული ხარჯები.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სტატისტიკური მაჩვენებლები აუცილებელია საზოგადოების მიერ წარმოდგენილი გარანტიების, სოციალური დაცვის სხვადასხვა სახეობებზე მოთხოვნილების და მისი საკმარისობის კონტროლისა და ოდენობის შეფასებისთვის.

სტატისტიკური მაჩვენებლებელთა სისტემა შესაძლებელია განვიხილოთ შემდეგი განაყოფების მიხედვით, რომლებიც ასახავენ მდგომარეობას მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში:

პირველი – მაჩვენებლები ეხება იმ პირების წილს, რომლებმაც გადაიტანეს შემოსავლების დაკარგვა და სხვა სირთულეები და რომლებიც ხვდებიან სოციალური დაცვის შესაბამის პროგრამაში;

მეორე – მაჩვენებლები ეხება იმ პირთა წილს, რომლებიც ხვდებიან საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამაში და ღებულობენ პენსიებს, დახმარებების ოდენობას, გამოხატულს ყიდვის უნარიანობით, ასევე ნაღდი შემოსავლების წილს, რომლებიც შეადგენენ მოცემულ დახმარებებს.

განაყოფში “საპენსიო უზრუნველყოფა” წარმოდგენილია პენსიონერების რაოდენობის ამსახველი მაჩვენებლები, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანოებში. პენსიონერების საერთო რაოდენობის დაჯგუფებას საფუძვლად უდევს მიღებული პენსიების სახეობები: შრომითი (მათგან ასაკობრივი, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, შრომითი სტაჟის) და სოციალური. დაჯგუფების სხვა საფუძვლების სახით გამოყოფილია სქესი, ადგილმდებარეობის სახე, პენსიონერის დასაქმების სტატუსი, ასევე (პერსპექტიული მიმართულების სახით) – პენსიონერის ასაკი. ნაჩვენებია პენსიონერების რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ შეღავათიან, მინიმალურ და მაქსიმალურ პენსიებს, დამატებებს პენსიებზე და პენსიების გაზრდას.

მოცემული განაყოფის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. მოცემულ

მონაცემთა შეგროვება და დამუშავება არ არის ცენტრალიზებული სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში და იწარმოება მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანოების მიერ.

2010 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1315 მლნ. ლარი (რაც საბიუჯეტო ხარჯების 27%-ს შეადგენს), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მოსახლეობის სოციალურ დაცვას მოახმარა, რაც 1.1 მლნ.ლარით მეტია 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. „აქედან:

- სახელმწიფო პენსიისათვის – 808 მლნ. ლარი;
- სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის – 157 მლნ. ლარი;
- დევნილების შემწეობისათვის – 64 მლნ. ლარი;
- თანხა სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიებისათვის – 43 მლნ. ლარი;
- სხვა სოციალური პროგრამებისათვის – 34 მლნ. არი.” (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო)

2010 წლისათვის სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა პენსიის სახეების მიხედვით რეგიონებისა და რაიონებში შემდეგ ცხრილშია წარმოდგენილი:

**ცხრილი 3.2.1.**

**სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა პენსიის სახეების მიხედვით**

| პენსიის სახე / რეგიონი/რაიონი | ასაკით პენსია | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები | მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი | პოლიტ.რეპრესირებულები | პენსია წელთა ნამსახურეობით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი | 169 848 | 29 258 | 7 895 | 465 | 87 | 207 553 |
| გურია | 25 372 | 5 021 | 987 | 113 | 3 | 31 496 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ზემო სვანეთი | 11 194 | 2 012 | 310 | 11 | 1 | 13 528 |
| კახეთი | 65 712 | 11 308 | 2 553 | 157 | 29 | 79 759 |
| იმერეთი | 118 865 | 28 525 | 4 955 | 236 | 94 | 152 675 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა-მთიანეთი | 18 490 | 3 048 | 862 | 40 | 4 | 22 444 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 75 708 | 14 996 | 4 026 | 50 | 12 | 94 792 |
| სამცხე-ჯავახეთი | 28 745 | 5 516 | 1 336 | 127 | 16 | 35 740 |
| ქვემო ქართლი | 56 687 | 9 927 | 3 175 | 340 | 48 | 70 177 |
| შიდა ქართლი | 45 414 | 11 993 | 2 375 | 78 | 6 | 59 866 |
| აჭარა | 45 236 | 14 971 | 2 668 | 788 | 24 | 63 687 |
| ზემო აფხაზეთი | - | - | - | - | - | - |
| სულ | 661 271 | 136 575 | 31 142 | 2 405 | 324 | 831 717 |

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**დიაგრამა 3.2.1.**

**სახელმწიფო პენსიის მიმღებთა განაწილება პენსიის სახეების მიხედვით**




წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში პენსიონერები თითქმის 19%-ს შეადგენენ. მათგან ასაკით პენსიონერები, რომლებიც ღებულობენ პენსიას მოსახლეობის საერთო რაოდენობის 79.5%-ს შეადგენენ, შეზღუდული შესაძლებლობის პირები – 16.4%-ს, მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები –

3.7%-ს, პოლიტ.რეპრესირებულნი – 0.3%-ს, წელთა ნამსახურევით პენსიონრები – 0.1% (დიაგრამა3.2.1.).

იმისათვის, რომ შევაფასოთ საზოგადოებაზე პენსიონერების შენახვის უზრუნველყოფის აუცილებლობასთან დაკავშირებით არსებული დატვირთვა, საჭიროა განისაზღვროს პენსიონერების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

პენსიონერთა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 2009 წლისათვის 19.1%-ით განისაზღვრა, 2010 წლისათვის შემცირდა 0.1%-ით. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობაზე პენსიონერთა წილი 2009 წელს 28.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2010 წლის მონაცემებით, პენსიონერთა რაოდენობის თანაფარდობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან 42.7%-ს შეადგენს. საზოგადოებაზე პენსიონერთა შენახვის დატვირთა საკმაოდ მაღალია, რადგან მოსახლეობის შრომისუნარიან და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე პენსიონერთა დიდი ხვედრითი წილი მოდის. პენსიონერთა შორისაა როგორც შეზღუდული შესაძლებლობის პირები, ასევე შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, მაგ, პოლიტ.რეპრესირებულები, მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები და სხვა. სოციალური დაცვის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მათ დასაქმებას, რაც უფრო მეტ დახმარებას წარმოადგენს აღნიშნული კატეგორიებისათვის, ვიდრე ის მწირი პენსია ერთეულ პენსიონერზე, რასაც მათ სახელმწიფო აძლევს.

პენსიონერთა დიდი წილის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი, მოსახლეობის რაოდენობაში, დემოგრაფიული დაბერებითაა გამოწვეული.

დიაგრამა 3.2.2.

სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

2010წ.
(ათ.კაცი)




| | მამაკაცები | ქალები |
|---|---|---|
| უფროსი ასაკის | 235.1 | 492.9 |
| შრომისუნარიანი ასაკის | 1445.7 | 1449.3 |
| შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის | 428.1 | 385.3 |

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასაკით პენსიონერთა 67,7% ქალია, მაშინ, როდესაც შრომისუნარიანზე უმცროს ასაკში მამაკაცთა ხვედრითი წილია მაღალი და 52,6%-ს შეადგენს (დიაგრამა 3.2.2.). საპენსიო ასაკის მამაკაცთა რაოდენობის კლება მათი სიკვდილიანობის მაღალი დონით აიხსნება.

საქართველო დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს 228 ქვეყნიდან 29 ადგილზეა. დაბერებულად ითვლება მოსახლეობა, თუ 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი აღემატება 7%-ს. საქართველოში ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობას საერთო რიცხოვნობაში 19% უჭირავს. მოსახლეობის დაბერებას განაპირობებს შობადობის დაბალი დონე და გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება. შესაბამისად იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (2009 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 73.6 წლით განისაზღვრა, რაც 2.2 წლით მეტია 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. დიაგრამა3.2.3.). ყოველივე გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, როგორც სოციალურზე, ასევე ეკონომიკურზე.

დიაგრამა 3.2.3.




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასაკის საფუძვლით პენსია 2009 წლიდან 80 ლარს შეადგენს. 2007 წლიდან შემოღებულ იქნა დანამატი შრომითი სტაჟის მიხედვით 2 ლარიდან 10 ლარამდე იმ პირთათვის, რომელთაც ნამუშევარი აქვთ არანაკლებ 25 წლისა. 80 ლარიან პენსიას ღებულობს პენსიონერთა 81.56 %. ამ თანხით შეუძლებელია პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. რეალური საშუალო ოდენობის დანიშნული ყოველთვიური პენსიების მაჩვენებელი ითვალისწინებს მათ ყიდვის უნარიანობას სამომხმარებლო ფასების ზრდასთან შესაბამისობაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ფასების მატება კვების პროდუქტებზე, (სამაგიეროდ, უმნიშვნელოდ იზრდება პენსიის მოცულობა). 2011 წლის აპრილში გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით ფასები გაიზარდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 36.4%-ით, ზეთსა და ცხიმზე – 34,5%-ით, პურსა და პურპროდუქტებზე – 25.8%-ით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე – 23.3%-ით და ა.შ. პენსიის ოდენობა ბევრად ნაკლებია საარსებო მინიმუმზე. საარსებო მინიმუმი 2011 აპრილის თვეში 163.2 ლარს შეადგენს. გამომდინარე აქედან, პენსიონერს თავისი პენსიით არსებობას ვერ შესძლებენ.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ასაკით პენსიონერს ჯანმრთელობის პრობლემებიც შეაწუხებს, მაშინ პენსია მკურნალობის ხარჯებსაც ვერ

დაფარავს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამასა და იაფი დაზღვევის პროგრამებს სთავაზობს მოსახლეობას. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სამედიცინო დაზღვევის პროგრამით უმწეო მდგომარეობაში რეგისტრირებული მოსახლეობის მხოლოდ 51,4% სარგებლობს.

განმაზოგადებელი მაჩვენებლების სახით, რომლებიც კომპლექსურად ასახავენ საპენსიო უზრუნველყოფის დონეს, შემოთავაზებულია შემდეგი გათვლითი მაჩვენებლები. უპირველეს ყოვლისა, დანიშნული ყოველთვიური საშუალო ოდენობის პენსიის და საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის თანაფარდობა. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ოდენობა თითქმის 7-ჯერ აღემატება პენსიის საშუალო ოდენობას, ანუ შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად უფრო ცუდია პენსიონერების მატერიალური მდგომარეობა მომუშავე პირთა მატერიალურ მდგომარეობასთან შედარებით.

სოციალური დახმარებებიდან აღსანიშნავია საოჯახო დახმარება. იგი ფულადი სახის გასაცემელია, რომელსაც ყოველთვიურად ღებულობენ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გარკვეული კატეგორია, როგორიცაა, არამომუშავე პენსიონერთა ოჯახები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობებისა და მრავალშვილიანი ოჯახები. საოჯახო დახმარება 22 და 35 ლარით განისაზღვრება და მას 2011 წლის მარტის მონაცემებით საქართველოში 19441 ოჯახი ღებულობს. საოჯახო დახმარების მოცულობა ძალიან მცირეა და მისით წარმოუდგენელია თუნდაც სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილობების დაკმაყოფილება. მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერზე საოჯახო დახმარება 35 ლარია. პენსიასთან ერთად პენსიონერის შემოსავალი ჯამში 115 ლარია, რაც მაინც დიდად დანსხვავდება საარსებო მინიმუმისაგან.

განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება, რასაც საყოფაცხოვრებო სუბსიდია წარმოადგენს. იგი დიფერენცირებულია სხვადასხვა კეტეგორიების მიხედვით, თანხა განსაზღვრულია 7 ლარის, 22 ლარისა და 44 ლარის ოდენობით. სახელმწიფო სუბსიდიის მიმღებთა რაოდენობა სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით 2011 წლის მარტისათვის 76531 კაცია. საყოფაცხოვრებო სუბსიდია თავისი მოცულობით მცირეა, როგორც სხვა სახის სოციალური დახმარებანი.

საქართველოში უმწეო მდგომარეობაში რეგისტრირებულთა რაოდენობა 516464 ოჯახია, მათგან მხოლოდ 29.4% ღებულობს შემწეობას (დიაგრამა 3.2.4.). რეგისტრირებულ ადამიანთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 37.7%-ს შეადგენს. ამასთან, იმერეთის რეგიონში უმწეო მდგომარეობაში რეგისტრირებულთა რაოდენობა რეგიონში მაცხოვრებელთა 51.8%-ს შეადგენს, გურიის რეგიონში – 45.9%-ს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში – 47.7%-ს, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში – 64.4%-ს, სამეგრელო, ზემო სვანეთის რეგიონში – 40.1%-ს, სამცხე-ჯავახეთში – 41.7%-ს, შიდა ქართლში – 48.7%-ს, ქვემო ქართლში – 34%-ს, ხოლო თბილისში – 22.4%. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის 45% ღარიბია. ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები სიღარიბის მაჩვენებელთა მხრივ შემდეგნაირად ნაწილდება: ღატაკი – 34.9%, ღარიბი – 47.2%, არაღარიბი – 17.9%.

დიაგრამა 3.2.4.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობისა და საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ცვლილება

(2008-2011წ) (ყოველი წლის მარტის თვის მონაცემების მიხედვით)




წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნობა 2011 წლის მარტში 2008 წლის მარტის თვესთან შედარებით 14.3%-ით გაიზარდა. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობაც დინამიკაში იზრდება 2.5%-ით.

სოციალური დახმარებათა ოდენობა იმდენად მწირია, რომ მათი მიმღებნი საერთოდ ვერ იკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებათა მინიმუმსაც კი, რომელიც მათ ესაჭიროებათ არსებობისათვის. ამასთან, სოციალური აგენტის შეფასება უმეტეს შემთხვევაში არაა რეალობასთან ახლოს, რაც არა მხოლოდ აგენტის არაკომპეტენტურობიდანაა გამომდინარე (სარეიტინგო ქულის განსაზღვრისას „ოჯახის დეკლარაციის" ერთ-ერთ ბლოკს წარმოადგენს სოციალური აგენტის სუბიექტური მოსაზრება ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ), არამედ თვით კითხვარში არსებული საკითხიდან, რომელიც ეხება ისეთ საყოფაცხოვრებო ნივთების ქონა–არქონას, რომელიც ღარიბმა ადამიანმა მიიღო საჩუქრად, ან ძველი, გამოუყენებელი ქონების ნაშთია, როგორიცაა: გაზქურა, ტელევიზორი, ტელეფონი, მაცივარი და სხვა.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან, საარსებო შემწეობები და სხვადასხვა სოციალური დახმარებები ვერც მოსახლეობის ცხოვრების დონეს აამაღლებს და ვერც სიღარიბეს დაამარცხებს. ამიტომ საჭიროა ქვეყანაში გატარდეს სწორი, ეფექტური და შედეგიანი სოციალური პოლიტიკა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

„სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის არსი მდგომარეობს სოციალურ ჯგუფებსა და ფენებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობაში, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფაში, სოციალური გარანტიების შექმნაში, ეკონომიკური სტიმულირების ფორმირებით საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობით." (კუშლინა 2000:576)

ჩემი აზრით, სახელმწიფოს მიერ სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან უფრო მეტი სახსრების გამოყოფა სოციალურ სფეროზე;
- მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;
- საარსებო მინიმუმზე მაღალი მინიმალური პენსიის დადგენა;
- პენსიის დანიშვნა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით;
- უფასო პირველადი სამედიცინო დახმარება;
- გადასახადების გაუქმება ან შემცირება სკოლამდელ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში;
- უცხოელი მუშახელის შეზღუდვა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;
- მოსახლეობის დასაქმების რეგულირება;
- დროებით უმუშევართათვის მაღალი კომპენსაციის დანიშვნა;
- მოსახლეობის შემოსავლების რეულირება დიფერენციაციის შემცირების მიზნით;
- საშუალო და წვრილი ბიზნესის განვითარება;
- ზღვრული ფასების დაწესება პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე.

აღნიშნული ღონისძიებანი გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხსა და დონეს, შეამცირებს სიღარიბესა და მოსახლეობის ფენებს შორის დიფერენციაციას.

## 3.3. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ხელშემწყობ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის აქტუალური საკითხები

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ანხორციელებენ შესაბამის პროექტებს. მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების პროექტები ხელს უწყობს განათლების რეფორმას; აკონტროლებს ინფექციური დაავადებების გავრცელებას; აუმჯობესებს ჯანდაცვის მომსახურებას; დახმარებას უწევს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებას; აფართოებს რეოპროდუქციული ჯანდაცვის სამსახურს, აუმჯობესებს გარემოს სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

„გარდამავალ პერიოდში საქართველოს განვითარებას USAID-ის პროგრამები უწყობს ხელს. პროგრამების მეშვეობით ხორციელდება ცხოვრების დონის გაუმჯობესება, სიღარიბის აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ცვლილებების შეტანა ინსტიტუციურ, ინტელექტუალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში.

- ეკონომიკის აღორძინება
- ენერგეტიკა და გარემოს დაცვა
- დემოკრატია და მმართველობა
- ჯანდაცვა და სოციალური განვითარება
- სხვა პროექტები
- დახმარების ახალი მიმართულებები
- $1 მილიარდი დახმარება." (http://georgia.usaid.gov/ka)

პროექტი, „თანაბარი შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის", რომელსაც ახორციელებს საზოგადოება „Save the Children" (2006 წლის სექტემბრიდან – 2012 წლის სექტემბრამდე) მიზნად ისახავს შექმნას თანასწორი შესაძლებლობების გარემო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის, მათი სრულფასოვანი ჩართვით საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www. Savethechildren.or)

”განათლების მართვის პროექტის” შეიქმნა „Chemonics Internacional” (2009 წლის ივნისიდან 2012 წლის ივნისამდე), განათლების სექტორში მენეჯმენტის შესაძლებლობების განსავითარებლად, ადმინისტრატორებისათვის განათლების მართვის სასწავლო პროგრამის შემუშავების მიზნით. პროექტის მიზნებია: საქართველოს ინსტიტუციური სიმძლავრის გრძელვადიანი გაუმჯობესება განათლების სისტემის ტრანსფორმირებისა და უკეთ მართვისათვის; მენეჯმენტის, ფინანსებისა და აკრედიტაციის სფეროების საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, საგანმანათლებლო სააგენტოებისა და განათლების რესურსცენტრების მეშვეობით. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33:www. Chemonics.com).

„სოციალური ინფრასტრუქტურის პროექტის” მეშვეობით (ორგანიზაცია CHF, განხორციელების პერიოდი 2010 წლის ივლისიდან 2011 წლის ოქტომბრამდე) განახლდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და გეოგრაფიულად მოშორებულ რეგიონებში მდებარე დაზიანებულ 50 საჯარო სკოლას და 8 უპატრონო ბავშვთა სახლს. ამ პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს დაუცველი ჯგუფებისათვის გაწეულ სოციალურ მომსახურებას, რომელიც მოიცავს ეთნიკურ უმცირესობებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, ობლებს და იძულებით გადაადგილებულებს. აგრეთვე, პროექტის განხორციელებისას იქმნება მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობა საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ დეპრესიას გლობალური კრიზისისა და რეგიონული აგრარული ბაზრების დაკარგვის გამო. პროექტის განხორციელება ასეთ რეგიონებში გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.chf.ge)

„სახელმწიფო საავადმყოფოების ინფრასტრუქტურის” პროექტის მეშვეობით, რომელსაც ახორციელებს „U.S. Army Corps of Engineers” (2010 წლის მარტიდან 2011 წლის სექტემბრამდე), განახლდება უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული 3 საავადმყოფო, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და გეოგრაფიულად მოშორებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარეობს. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.usage.army.mil)

„კრედიტის გარანტია განვითარებისათვის" პროექტის ფარგლებში (2010 წლის ივლისიდან 2020 წლის ივლისამდე) USAID-იმ ხელი მოაწერა თიბისი ბანკთან განვითარებისათვის გაცემული კრედიტის გარანტიის ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც თიბისი ბანკი 8 მილიონ დოლარს სესხს მისცემს ბლოკ ჯორჯიას, რომელიც დასავლეთ საქართველოში 9 საავადმყოფოს აშენებასა და რეაბილიტაციას მოხმარდება. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.tbcbank.ge)

USAID-იმ ხელი მოაწერა თიბისი ბანკთან განვითარებისათვის გაცემული კრედიტის გარანტიის მეორე ხელშეკრულებას, რომლის პორტფელი 20 მლნ. ამერიკულ დოლარს შეადგენს, პროექტის ფარგლებში „კრედირის გარანტია საავადმყოფოების რეაბილიტაციისათვის" (2010 წლის სექტემბრიდან 2020 წლის სექტემბრამდე). სესხები, რომლებსაც თიბისი ბანკი გასცემს, განზრახულია ჯანდაცვის კერძო სექტორის მსესხებლებისათვის, რისი მეშვეობითაც ისინი აშენებენ, განაახლებენ და აღჭურვენ საავადმყოფოებსა და კლინიკებს. პროგრამის მეშვეობით ასევე დაკმაყოფილდება იმ კერძო სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საჭიროებები, რომელთაც აიღეს ვალდებულება 2011 წლის დეკემბრისათვის საქართველოს მასშტაბით ააშენონ 27 საავადმყოფო. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.tbcbank.ge)

„საქართველოს პროფესიული განათლების პროექტი", რომელსაც ახორციელებენ ამერიკული კვლევის ინსტიტუტები (2008 წლის მაისიდან 2011 წლის ივლისამდე) მიმართულია მშენებლობისა და ტურიზმის დარგებში სახელობო განათლებისა და ტრენინგების გაუმჯობესებისაკენ. პროფესიულ სკოლებსა და მომავალ დამქირავებლებს შორის უშუალო პარტნიორობის ჩამოყალიბებით სწორად განისაზღვრება ქვეყნისთვის საჭირო მუშახელი და მათი საქმიანობა. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: http://www.air.org/)

„International Organization for Migracion"(IOM) „დასაქმების კონსულტირების პროექტის" (2010 წლის მარტიდან 2012 წლის მარტამდე) მიზანია გასწიოს კონსულტაციები დასაქმების კუთხით საქართველოში მცხოვრები უმუშევარი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი იძულებით გადაადგილებული პირებისათვის; შექმნება საკონსულტაციო და რეფერალური ცენტრები, დაუკავშირდება დამსაქმებლებსა და პროგრამით მოსარგებლე პირებს; განახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.iom.ge)

საქართველოში „UNICEF''-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ბავშვებზე ზრუნვის სამსახურებისა და სისტემების გაძლიერებაა (2010 წლის აგვისტოდან 2013 წლის აგვისტომდე)., რომელიც მოიცავს დაუცველი ჯგუფებისათვის სოციალურ შეღავათებზე ხელმისაწვდომობის, ასევე ალტერნატიული ზრუნვისა და ოჯახური მხარდაჭერის სამსახურების გაუმჯობესებას, პოლიტიკის, ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას ბავშვებზე ზრუნვის სისტემაში. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.unicef.org/georgia/)

ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების პროექტის (ხორციელდება Abt.Assocciates, Inc. 2009წლის ოქტომბრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას გაატაროს ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდისკენ. კერძოდ, დაეხმარება სადაზღვევო კომპანიებს შექმნას და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მაღალხარისხიანი სადაზღვევო პაკეტები. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.abtassociates.com)

ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიმართულია მოსახლეობის დასაქმების, შემოსავლების ზრდისა და ცხოვრების დონის ამაღლებსაკენ. საქართველოში USAID-ის ზრდის სექტორის საქმიანობა მიმართულია ინსტიტუციური და ინტელექტუალური სიმძლავრის განვითარებისაკენ, როგორც სახელმწიფო სააგენტოებში, ასევე კერძო სექტორში. პროექტები შექმნილია იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ბიზნეს გარემო, გაფართოვდეს კაპიტალზე ხელმისაწვდომობა, გაძლიერდეს ბიზნესის კეთების უნარ-ჩვევები, გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის წარმადობა, გაიზარდოს შერჩეულ ბიზნეს სექტორებს შორის კონკურენცია და გაფართოვდეს ეკონომიკური შესაძლებლობები სოფლად. ეკონომიკის ზრდის ინიციატივებით აგრეთვე ხორციელდება ფართომაშტაბიანი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. იძულებით გადაადგილებულთათვის გადაიჭრება მნიშვნელოვანი პრობლემა და აფხაზეთის გამოცალკევებულ რეგიონში საზოგადოებრივი ჯგუფების მობილიზებით, უნარ-ჩვევების გამომუშავებით და საზღვრის სხვადასხვა მხარეს მყოფ პროფესიონალთა და ახალგაზრდათა დაკავშირებით ხელი შეეწყობა კონფლიქტის დარეგულირებას. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33)

ეკონომიკური კეთილდღეობის ინიციატივის პროგრამის („Deloitte Consulting LLP”) მიერ ხორციელდება 2010 წლის სექტემბრიდან დღემდე) მიზანია საქართველოს ეკონომიკის საყოველთაო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შემდეგი დახმარებების მეშვეობით: 1) ქვეყნის ეკონომიკური მმართველობის შესაძლებლობის გაფართოება და გაღრმავება; 2) აგრარული სექტორის პროდუქტიულობის გაუმჯობესება; და 3) იმ მიზნობრივად არჩეული არა სასოფლო-სამეურნეო დამატებითი ღირებულების მქონე ჯაჭვების გაძლიერება, რომელთაც ზრდის უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.deloitte.com)

USAID-ისშეთანხმება საქართველოსთვის გაწეულ დახმარებაზე მიზნად ისახავს: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეაბილიტაციას, რაც მოიცავს 2008 წლის კონფლიქტით დაზარალებულ, სულ მცირე ხუთი მუნიციპალიტეტის, საირიგაციო არხებს; 80-ზე მეტი თემისთვის დახმარების გაწევას მათი განვითარების გეგმების შედგენასა და განხორციელებაში, რათა მოხდეს სოფლის ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მწირი შესაძლებლობების მქონე, საკვებით მოუმარაგებელი, დაუცველი და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისთვის; 2008 წლის კონფლიქტით დაზარალებულთათვის საქართველოს მთავრობის მიერ აშენებული თავშესაფრების გაუმჯობესება, ადრინდელი კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შენობების გადაკეთება მუდმივ საცხოვრებლად და ზოგადად საცხოვრებელი პრობლემის მოგვარება. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33)

არაკომერციული საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციის (CNFA) სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის პროექტი, რომელიც 2012 წლის მარტში სრულდება, ქმნის ისეთ ორგანიზაციებსა და სისტემებს, რომლებიც მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო მომსახურებით დაეხმარება კერძო სექტორში მოქმედ, სიცოცხლისუნარიან მცირე ბიზნესის მფლობელებს და ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის პროდუქტიულობის ამაღლებას, კონკურენტუნარიანობასა და მოგების გაზრდას. კერძო სექტორის ორგანიზაციებს გადაეცემათ გრანტები და გაეწევათ ტექნიკური დახმარება, რითიც ისინი შესძლებენ შეიძინონ ტრაქტორები და შესაბამისი აღჭურვილობა და ფასიანი მექანიზაციით გაუწიონ მომსახურება მცირე მეურნეობის მქონე ფერმერებს. ფერმერული მომსახურება ასევე ხელმისაწვდომი იქნება იმ

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ვისაც საქართველოს მთავრობამ დაურიგა მიწის ნაკვეთები. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.amp.ge)

ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის „CTC'' მიერ განხორციელებულ პროექტი (განხორციელების ვადა სექტემბერი 2009წ. - ნოემბერი 2012წ.) ახლადდასახლებულ ტერიტორიებზე წამოწყებულ სასარგებლო საქმიანობებში იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგრად ინტეგრაციასა და დაუცველი მოსახლეობის თვითდასაქმებაში შეუწყობს ხელს: დახმარებას გაუწევს იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალ დასახლებებს შიდა ქართლის რეგიონში, ჩაუტარდეთ ტრენინგები ბიზნესის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. გრანტები გადაეცემათ იმ ბიზნესებს, რომლებიც გააძლიერებენ ახლადდასახლებულ ტერიტორიებზე წამოწყებულ სასარგებლო საქმიანობებს, ასევე ხელს შეუწყობენ მათ კრედიტზე ხელმისაწვდომობაში და ფინანსურ ინსტიტუტებთან კონტაქტის დამყარებაში. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.ctc.org.ge)

ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების (NEO) პროექტი (ახორციელებს „Chemonics International" 2011 წლის აპრილიდან-2015 წლის დეკემბრამდე) მიზნად ისახავს შემოსავლების გაუმჯობესებას სოფლად; სიღარიბის დონის შემცირებას; საკვების უსაფრთხოების გაუმჯობესებას; შერჩეულ დასახლებებში საოჯახო მოხმარებისა და სარწყავი წყლის მიწოდებაში შეფერხებების აღმოფხვრას; იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი და ძველი დასახლებებისთვის საშუალების მიცემას შეინარჩუნონ თავიანთი მეურნეობები; და იმ მოსახლეობის დახმარებას, რომლებიც დაზარალდნენ ბუნებრივი ან სხვა სახის კატასტროფებით. პროექტი გათვალისწინებულია 10 მუნიციპალიტეტისთვის და ის სარგებლობას მოუტანს 70,000 დაუცველ ოჯახს16. (http://georgia.usaid.gov/ka/node/33: www.chemonics.com)

USAID საქართველოში ახორციელებს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

USAID -იმ გამოჰყო განვითარების კრედიტის გარანტია ბაზის ბანკისთვის (სექტემბერი 2010- სექტემბერი 2014), რაც ხელს შეუწყოვს 9 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას კრედიტის სახით საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, აგრობიზნესის ჩათვლით. აგრარული სექტორის სესხები

მთელი სასესხო პორტფელის 35%-ს შეადგენს. (http://georgia.usaid.gov/ka/node/28: www.basisbank.ge)

USAID გამოჰყოფს 1 მილიონ აშშ დოლარს გარანტიის სახით ადგილობრივი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალისთვის (სექტემბერი 2010- სექტემბერი 2012). ეს საშუალებას მისცემს კრისტალს მოიზიდოს 1 მილიონი აშშ დოლარი ადგილობრივი და საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციებისგან და გამოიყენოს ეს თანხა მიკრო და მცირე საწარმოებზე სესხების გასაცემას. (http://georgia.usaid.gov/ka/node/28: http://crystal.ge)

USAID-იმ გამოჰყო 5 მილიონი აშშ დოლარი გარანტიის სახით ადგილობრივი ბანკი „კონსტანტასთვის" (სექტემბერი 2009 – სექტემბერი 2012). ეს საშუალებას მისცემს „კონსტანტას" ისესხოს 5 მილიონი აშშ დოლარი ადგილობრივი და საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციებისგან და გამოიყენოს ეს თანხა მიკრო და მცირე საწარმოებზე სესხების გასაცემად. (http://georgia.usaid.gov/ka/node/28: www.constanta.ge)

USAID-მ უზრუნველყო ბანკი „რესპუბლიკა" „განვითარების კრედიტის სესხების პორტფელის გარანტიით" და გაუწია ტექნიკური დახმარება აგრარული სესხის გაცემის პრაქტიკასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეწყობოდა კომერციული სესხების გაცემას აგრარულ სექტორში მომუშავე საწარმოებისთის. (http://georgia.usaid.gov/ka/node/28: www.republic.ge)

USAID-მ უზრუნველყო ადგილობრივი ბანკი კონსტანტა „განვითარების კრედიტის სესხების გარანტიით", რათა მან საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან მოიზიდოს ფინანსები საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. (http://georgia.usaid.gov/ka/node/28: www.constanta.ge)

პროექტების ჩამონათვალი მხოლოდ მცირედია იმათგან, რომელთაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში. მათი მიზანია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, თვითდასაქმებიდან შემოსავლების ზრდა, ცხოვრების ხარისხისა და პირობების გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა, რათა შემცირდეს ქვეყანაში სიღარიბე, ამაღლდეს ცხოვრების დონე, შემცირდეს დიფერენციაცია მოსახლეობის მეტად და ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს შორის.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის შესამცირებლად აგრარულ სექტორში განხორციელებული რეფორმებია. რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სოფლად სიღარიბის მაჩვენებლები ბევრად მაღალია, სამაგიეროდ დაბალია დასაქმების დონე, რადგან სოფლის მოსახლეობა საკუთარ მეურნეობებშია დასაქმებული და არსებობენ მხოლოდ თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლებითა და სოციალური დახმარებებით. აგრარულ სექტორზე გამოყოფილი გრანტები, აგრარული სესხები, შესაბამისი ტრენინგები ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობების განვითარებას. შედეგად, განვითარდება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები, გაიზრდება შიდა მიგრაცია ქალაქიდან-სოფლისაკენ, შემცირდება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში უმუშევრობის დონე და შესაბამისად მოსახლეობის ფენებს შორის დიფერენციაციაც.

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ახორციელებენ სხვადასხვა სახის კვლევებს, რომელთა უმრავლესობა გამოკითხვის წესით ტარდება. ამ კვლევების ნაკლი, ჩემი აზრით, რესპოდენტთა არაკომპეტენტურობაა, რადგან გამოკითხვა შემთხვევითი წესით ხორციელდება. თუ რამდენად მაღალია საქართველოში ცხოვრების ხარისხი და პირობები, რომლებიც განაპირობებენ მოსახლეობის „ბედნიერებას", ამაზე ფასეულობათა მსოფლიო გამოკვლევის 2009 წლის შედეგები მეტყველებს, რომლის მიხედვით დანიის მოსახლეობა თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობს, ხოლო საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად ბედნიერად.

ბედნიერების შეგრძნების კრიტერიუმებად განიხილებოდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, დემოკრატიზაციის დონე და სოციალური ტოლერანტობა. 97 ქვეყნის მონაცემი რანჟირებულია მოსახლეობის ბედნიერების შეგრძნების მაჩვენებელთა მიხედვით. უარყოფითი ნიშანი მოსახლეობის უმრავლესობის უკმაყოფილებაზე მიანიშნებს (ცხრილი 3.3.1)

ცხრილი 3.3.1

## მოსახლეობის ბედნიერების ზომა

| ქვეყანა | ბედნიერე-ბის ზომა | ქვეყანა | ბედნიერე-ბის ზომა | ქვეყანა | ბედნიერე-ბის ზომა |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 4.24 | მალაიზია | 2.61 | ხორვატია | 0.87 |
| პუეტრო რიკო | 4.21 | დას. გერმანია | 2.60 | მაროკო | 0.87 |
| კოლუმბია | 4.18 | ვიეტნამი | 2.52 | ინდოეთი | 0.85 |
| ისლანდია | 4.15 | საფრანგეთი | 2.50 | უგანდა | 0.69 |
| ჩრდ. ირლანდია | 4.13 | ფილიპინები | 2.47 | ზამბია | 0.68 |
| ირლანდია | 4.12 | ურუგვაი | 2.43 | ალგერია | 0.60 |
| შვეიცარია | 3.96 | ინდონეზია | 2.37 | ბურკინა ფასო | 0.60 |
| ნიდერლანდები | 3.77 | ჩილე | 2.34 | ეგვიპტე | 0.52 |
| კანადა | 3.76 | დომენიკის რესპ. | 2.29 | სლოვაკია | 0.41 |
| ავსტრია | 3.68 | იაპონია | 2.24 | უნგრეთი | 0.36 |
| ელ სალვადორი | 3.67 | ესპანეთი | 2.16 | მონტენეგრო | 0.19 |
| მალტა | 3.61 | ისრაელი | 2.08 | ტანზანია | 0.13 |
| ლუქსემბურგი | 3.61 | იტალია | 2.06 | აზერბაიჯანი | 0.13 |
| შვედეთი | 3.58 | პორტუგალია | 2.01 | მაკედონია | -0.06 |
| ახალი ზელანდია | 3.57 | ტაივანი | 1.83 | რუანდა | -0.15 |
| აშშ | 3.55 | აღმ. გერმანია | 1.78 | პაკისტანი | -0.30 |
| გვატემალა | 3.53 | სლოვენია | 1.77 | ეთიოპია | -0.30 |
| მექსიკა | 3.52 | განა | 1.73 | ესტონეთი | -0.36 |
| ნორვეგია | 3.50 | პოლონეთი | 1.66 | სერბეთის ბოსნია | -0.45 |
| ბელგია | 3.40 | ჩეხეთის რესპ. | 1.66 | ლიტვა | -0.70 |
| ბრიტანეთი | 3.39 | ჩინეთი | 1.64 | ლატვია | -0.75 |
| ავსტრალია | 3.26 | მალი | 1.62 | რუმინეთი | -0.88 |
| ვენესუელა | 3.25 | ყირგიზეთი | 1.59 | რუსეთი | -1.01 |
| ტრინიდადი | 3.25 | იორდანი | 1.46 | საქართველო | -1.01 |
| ფინეთი | 3.24 | საბერძნეთი | 1.45 | ბულგარეთი | -1.09 |
| საუდის არაბეთი | 3.17 | სამხ. აფრიკა | 1.39 | ერაყი | -1.36 |
| ტაილანდი | 3.02 | თურქეთი | 1.27 | ალბანეთი | -1.44 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კვიპროსი | 2.96 | პერუ | 1.24 | უკრაინა | -1.69 |
| ნიგერია | 2.82 | ჩრდ. კორეა | 1.23 | ბელორუსი | -1.74 |
| ბრაზილია | 2.81 | ჰონ კონგი | 1.16 | მოლდოვა | -1.74 |
| სინგაპური | 2.72 | ირანი | 1.12 | სომხეთი | -1.80 |
| არგენტინა | 2.69 | ბანგლადეში | 1.00 | ზიმბაბვე | -1.92 |
| ანდორა | 2.64 | ბოსნია | 0.94 | **ბედნიერების საშ. მაჩვენებელი** | 1.57 |

წყარო: National Science Foundation

„ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის" (NDI) მიერ 2011 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში საზოგადოებას სამი მთავარი პრიორიტეტი აქვს: სამუშაო ადგილები, ფასების ზრდა და ტერიტორიული მთლიანობა. გამოკითხულთა 61%-ს პრიორიტეტულ საკითხად სამუშაო ადგილების შექმნა მიაჩნია, 39%-ს ფასების ზრდა, 38%-ს ტერიტორიული მთლიანობა. გამოკითხულთა 55% ფიქრობს, რომ პოლიტიკოსები სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ არასაკმარისად საუბრობენ, ხოლო 62%-ის აზრით არ საუბრობენ ფასების ზრდაზე. (http://civil.ge/eng/_print.php?id=23317) გამოკითხვის შედეგები მეტყველებს მოსახლეობის უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალ დონეზე.

ევროსტატმა და შრომის საერთაშორისო შედარებების განყოფილებამ მოახდინა მსოფლიო ქვეყნების მიხედვით უმუშევრობის დონის კვლევა და შეპირისპირება. 2009 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოში უმუშევრობის დონე 16.9 %-ს შეადგენს, აზერბაიჯანში – 6.0 %-ს, ყაზახეთში – 6.1 %-ს, უზბეკეთში 8 %-ს, უკრაინაში – 9.1 %-ს, რუსეთში (2011 წლის მიხედვით) – 7.6 % ს და ა.შ. როგორც ვხედავთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის უმუშევრობის დონე საქართველოში საკმაოდ მაღალია, რაც მოსახლეობის შემოსავლებსა და შესაბამისად ცხოვრების დონეზე აისახება და გამოხატულებას დიფერენციაციაში ჰპოვებს. (www.holmes.ge/search.htm?geo=on&q)

გაერთიანებულმა ერების ორგანიზაციამ მსოფლიოს ქვეყნებში ქვეყნების ნაციონალური ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩატარებული კვლევების შედეგად, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშა და გამოაქვეყნა ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი.

ადამიანის პოტენციალური განვითარებია ინდექსი პაკისტანელი ეკონომისტის მახბუბ ალ-ხაკის მიერ. 1990 წლიდან ინდექსი გაეროს მიერ პარქტიკაში იქნა დანერგილი და იანგარიშება ყველა ქვეყნისათვის. ინდექსი განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონისა და ფაქტიური შემოსავლების მიხედვით ქვეყნის განვითარების დონეს შემდეგი მიმართულებებით:

1. ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის საფუძველზე;
2. განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რომლის საზომად მოზრდილი მოსახლეობის წიგნიერება და ერთობლივი განათლების მომცველობის კოეფიციენტი გამოიყენება;
3. ღირსეული ცხოვრების დონე, რომელიც განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით ერთ სულ მოსახლეზე აშშ. დოლარებშიმსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით.

ინდიკატორები სტანდატიზირდება და ღებულობს რიცხვით მნიშვნელობას 0-დან 1-მდე. მათი საშუალო არითმეტიკული კი ადამიანის პოტენციალური განვითარების ერთობლივი მაჩვენებელია მსოფლიოს მასშტაბით. ა.პ.გ. ინდექსის მიხედვით რეიტინგის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა, სამოქალაქო თავისუფლება, ადამიანის ღირსება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, სოციალური დაცვა, ჯანდაცვის მაჩვენებელი, მოსახლეობის კულტურული განვითარება, კრიმინოგენული სიტუაცია, ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი წლების მიხედვით ასახულია დიაგრამაში 3.3.2.

დიაგრამა 3.3.2

**ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი**

| | 2000 წელი | 2005 წელი | 2007 წელი | 2008 წელი | 2009 წელი | 2010 წელი | 2011 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 0.643 | 0.689 | 0.715 | 0.719 | 0.712 | 0.714 | 0.716 |
| აზერბაიჯანი | ... | ... | ... | ... | ... | 0.699 | 0.700 |
| საქართველო | ... | 0.707 | 0.724 | 0.722 | 0.724 | 0.729 | 0.733 |
| ნორვეგია | 0.913 | 0.938 | 0.942 | 0.941 | 0.941 | 0.941 | 0.943 |
| რუსეთის ფედერაცია | 0.691 | 0.725 | 0.742 | 0.748 | 0.747 | 0.751 | 0.755 |
| უკრაინა | 0.669 | 0.712 | 0.725 | 0.729 | 0.720 | 0.725 | 0.729 |

http://hdrstats.undp.org/en/tables/

საქართველო, ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსის მხრივ კლასიფიცირებულ ჯგუფში, უახლოვდება უკრაინის, სომხეთისა და რუსეთის შესაბამის მნიშვნელობებს, უსწრებს აზერბაიჯანსა და დიდად ჩამორჩება ადამიანის პოტენციალური განვითარების დონით ნორვეგიას, რომელიც უკვე რამოდენიმე წელია სარეიტინგო სიის ლიდერია, ხოლო ა.პ.განვითარების მხრივ ნიგერია საერთო რეიტინგში ბოლო ადგილასაა, რომლის ინდექსი გასნისაზღვრა 0.34-ით. საქართველო ადამიანის პოტენციალური განვითარების მხრივ საშუალო დონის ქვეყნებშია შესული.

ჩემი აზრით, სხვაობა, რომელიც საგრძნობია ჩემს და გაეროს ექსპერტების მიერ გაანგარიშებულ ადამიანის პოტენციალურ ინდექსების მნიშვნელობებს შორის, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს გარდა, როგორიცაა სამოქალაქო თავისუფლება, ადამიანის ღირსება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, სოციალური დაცვა, ჯანდაცვის მაჩვენებელი, მოსახლეობის კულტურული განვითარება, კრიმინოგენული სიტუაცია, ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა. გამოწვეულია მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისითაც, რომელიც გაეროს კვლევებში ასახვას არ ჰპოვებს.

რაც შეეხება მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის საკითხს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაადგინა, რომ მთელს

მსოფლიოში მოქალაქეთა შემოსავლებს შორის უთანასწორობა თანდათანობით მატულობს. ბოლო ათწლეულებში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობის ღარიბ ფენებზე მნიშვნელოვნად არ ასახულა. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავება საშუალოდ 10%-ით გაიზარდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა აშშ-ში, გერმანიაში, ფინეთში, ისრაელში, ლუქსემბურგსა და ახალ ზელანდიაში. თუმცა, მოსახლეობის ყველაზე მდიდარი ნაწილის შემოსავლები ყველაზე ღარიბისას 25-ჯერ აღემატება მექსიკასა და ჩილეში, 14-ჯერ თურქეთსა და ისრაელში. შემოსავლებში შედარებით მცირე განსხვავებაა დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიასა და ჩეხეთში.

სოციალური უთანასწორობის ზრდა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმოებისა და მომსახურების სფეროში მაღალტექნოლოგიური პროცესების დანერგვა და შესაბამისად მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებზე მოთხოვნაა. კვლევის ავტორები თვლიან, რომ შემოსავლებს შორის განსხვავების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გლობალიზაციაა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანალიტიკოსთა აზრით, სოციალური უთანასწორობისწორობის შემცირება სამი პირობის დაცვითაა შესაძლებელი. პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს შრომის ბაზრის რეფორმა მშრომელთათვის თანაბარი პირობების შექმნის მიზნით. მეორე, განათლების სისტემის შეცვლას ითვალისწინებს – ყველა მსურველისათვის მაღალი კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობის მხრივ. მესამე პირობა კი მდიდრებიდან ღარიბებზე შემოსავლების გადანაწილებაა, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენის განსხვავებული გადასახადებით დაბეგვრით იქნება შესაძლებელი.

ექსპერტთა აზრით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის დიფერენციაციის შემცირებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლების სფეროში ინვესტირება, რადგან სწორედ განათლების ხარისხი განაპირობებს მთელს მსოფლიოში უბრალო მუშის დონეზეც კი ხელფასის ზრდას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, ცხოვრების ხარისხის მიხედვით საუკეთესო ქვეყნად ავსტრალია დაასახელა, სადაც

აღნიშნეს, რომ ყველაზე მაღალია განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის დონე. (www.bfm.ge/society/3613-k.html)

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები საქართველოში სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელზე, მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრ უთანაბრობასა და ცხოვრების დონის დიფერენციაციაზე მიუთითებს, რომლის დასაძლევად ქვეყანაში ხორციელდება სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები და პროექტები.

# დასკვნა

1. პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობასა და სიზუსტეზეა დამოკიდებული მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის კვლევის შედეგების სისწორე. პირველ რიგში, აუცილებელია სტატისტიკური კვლევის მწარმოებელ პირთა კომპეტენტურობის განსაზღვრა, რადგან, შერჩევითი დაკვირვების შედეგად მოპოვებული მონაცემები მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა შესახებ უტყუარ ინფორმაციას არ გვაძლევს. დაკვირვების ერთეულები, როგორიცაა უკიდურეს გაჭირვებაში – სიღატაკეში მცხოვრები პირები, ან პირიქით, ძალიან დიდი შემოსავლის მქონენი, ხშირად შერჩევაში ვერ ხვდებიან. საჭიროა დაკვირვების ერთეულთა შერჩევა სწორად განხორციელდეს. რეალურად, საქართველოში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის უფრო მძლავრი დიფერენციაციაა, ვიდრე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ მონაცემებშია ასახული. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღებას სტატისტიკური რეგისტრის შემოღება შეუწყობს ხელს. კანონში სტატისტიკის შესახებ კი საერთოდ არ ეთმობა ადგილი სტატისტიკურ რეგისრტებსა და მათ მნიშვნელობას სტატისტიკური გამოკვლევების დაგეგმვაში.
2. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებში, სტრუქტურულ ჭრილში, ერთ სულ მოსახლეზე იზრდება ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები 2010 წელს (შემოსავლების მთლიანი მოცულობის 73.9 % უჭირავს) 2008 წელთან შედარებით 21.9%-ით. მისი მოცულობის ზრდა განპირობებულია დაქირავებული შრომიდან შემოსავლების ზრდის საფუძველზე, რომელიც მთლიანი შემოსავლების 31.4%-ს შეადგენს და გაზრდილია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 23.8%-ით. დინამიკაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება შემოსავლები მიღებული პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების სახით. 2010 წელს 2008 წელთან შედარებით იგი იზრდება 32.6%-ით. მოსახლეობის შემოსავლები ასევე გაზრდილია ახლობლებისაგან აღებული ფულისა და

უცხოეთიდან მიღებული გზავნილების საფუძველზე. უმნიშვნელოდაა გაზრდილი მოსახლეობის შემოსავლები თვითდასაქმებიდან, რომელიც მთლიანი შემოსავლების 8.5%-ს შეადგენს და 2%-ით მეტია წინა პერიოდთან შედარებით.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსახლეობის შემოსავლების გაზრდის მიზნით, სტრუქტურულ ჭრილში, საჭიროა თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება. სოფლის მოსახლეობაში, სადაც სიღარიბის დონე მაღალია, შემოსავლის წყაროს თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგებზე მეტი დაფინანსების გამოყოფა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა.

3. საქართველოს მოსახლეობის ხარჯების შესწავლისას გაირკვა, რომ 200 ლარამდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობების ხარჯებში სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი შეადგენს 44.7%-ს; მაშინ, როდესაც 2000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები თავისი დანახარჯების მხოლოდ 16.1%-ს ხარჯავენ ამავე ნაწარმის შესაძენად. ე.ი. დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობები მთლიანი ხარჯების თითქმის ნახევარს ხარჯავენ სურსათის შესაძენად. აღნიშნული სხვაობა მოსახლეობის ცხოვრების დონის მძლავრ დიფერენციაციაზე მეტყველებს. ამასთან, სწორედ სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე მოსახლეობა მთლიანი ხარჯების თითქმის მესამედს 29%-ს სწევს. ე.ი. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მძიმე სოციალურ პირობებში უწევს ცხოვრება, თანაც, დაბალშემოსავლიან და მაღალშემოსავლიან ოჯახებს შორის დიფერენციაციის დონეც მაღალია.
4. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესასწავლად ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიები. ნაშრომში განხილულია მოსახლეობის „ცხოვრების დონისა" და მოსახლეობის „ცხოვრების ხარისხის" სტატისტიკური მაჩვენებლები. „ცხოვრების დონის" კატეგორია უფრო ამომწურავად ახასიათებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. მის საფუძველს წარმოადგენს წარმოების შემოსავლებისა და მოხმარების რაოდენობრივი პარამეტრები. „ცხოვრების ხარისხი" კი სინთეზური მაჩვენებელია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ახასიათებს როგორც თითოეული ადამიანის, ასევე მთლიანი საზოგადოების

ფიზიკური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს. ცნება „ცხოვრების ხარისხი", ფართო გაგებით, დამატებით აერთიანებს საცხოვრებელ პირობებს, შრომის და დასაქმებულობის, ყოფა-ცხოვრების და თავისუფალი დროის პირობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, განათლებას და ა.შ. ცალკეული პირის და მთლიანობაში მოსახლეობის ცხოვრების დონე დამოკიდებულია მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეზე და განისაზღვრება მისი რესურსებით და შესაძლებლობებით. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესასწავლად აუცილებელია ორივე მაჩვენებელის კომპლექსური გამოყენება. დისერტაციაში „ცხოვრების ხარისხის" სტატისტიკური ანალიზია მოცემული, რომელთა გარეშეც ცხოვრების დონის დიფერენციაციის შესწავლა ყოვლად წარმოუდგენელია.

5. ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორი – ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენადაა ადამიანი მოცემულ ქვეყანაში სულიერად ამაღლებული და მაღალზნეობრივი. მისი განმსაზღვრელი სიცოცხლის ხანგრძლივობის სუბინდექსის მნიშვნელობა საქართველოში 0,82-ის ტოლია. მთლიანი შიდა პროდუქტის სუბინდექსი – 0,47-ია. განათლების დონის კი – 0,6. მოსახლეობის პოტენციალური განვითარების ინდექსი შესაბამისად საქართველოსათვის – 0,63-ს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობა თავისი პოტენციალური განვითარების მაჩვენებლით განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებლებთანაა მიახლოებული. ამასთან, ადამიანის პოტენციალური განვითარების დონის კვლევისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ წიგნიერების კვლევის შედეგებით ქართველი მოსწავლეები განათლების დონით, მსოფლიოს 45 ქვეყნის მონაცემების მიხედვით, ბოლო ოთხეულში არიან (PIRLS-ის კვლევა) წიგნიერების კვლევის შედეგებში რუსეთი და ჰონკონგი ლიდერობენ. განათლების დაბალი დონის ფაქტორად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ღარიბი მოსახლეობის ნაწილს არ აქვს სასწავლო ნივთების შეძენისა და სწავლის საფასურის გადახდის საშუალება.

„ამასთან, აღსანიშნავია უმაღლეს სასწავლებლებისათვის გამოყოფილ თანხებში ცვლილებანი, რომ 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო პროგრამისათვის „პრეზიდენტის სტიპენდია ბაკალავრიატის ყველა წარჩინებულ სტუდენტს" 1 მლნ. 800 ათასი ლარია

გათვალისწინებული, მაშინ, როცა 2009 წელს ეს თანხა 2 მლნ. 106750 შეადგენდა. ასევე, მშობელთა მზრუნველობას მოკლებულებმა და სოციალურად დაუცველმა სტუდენტებმა სახელმწიფოს 50 ლარიანი დახმარება დაკარგეს. „ბავშვთა ზრუნვის" ფარგლებში მოქმედი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლის შემდგომი განათლების" ქვეპროგრამა 2009 წელს შეწყდა." (www.faqt.ge20102.02) მოსახლეობის პოტენციალური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინდიკატორი განათლების დონეა. ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ კიდევ უფრო მეტი დაფინანსების გამოყოფა განათლების სფეროზე.

6. განსაკუთრებულად საყურადღებოა საარსებო მინიმუმის განსაზღვრის მეთოდი. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების საფუძვლად მიჩნეულია აღებულ იქნეს არა ფაქტობრივი მოხმარების სიდიდე, არამედ სასურსათო კალათის ნორმატიული მაჩვენებელი, რომელიც, თავის მხრივ, დაეყრდნობა კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს, შესაბამისი სასურსათო პროდუქტების მოხმარების კალორიულობის გათვალისწინებით, რაც ადამიანის სრულფასოვანი კვებისა და შესაბამისად არსებობის საშუალებას იძლევა. რეალური მაჩვენებელი ასახავს ქვეყანაში სიღარიბის დონეს და საშუალებას იძლევა მოსახლეობის დაუცველი ფენებისათვის სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში.
7. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონეში მნიშვნელოვან დიფერენციას იწვევს. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 13.3%-ს აქვს 101 ლარამდე შემოსავალი, ხოლო 5001 ლარზე მეტ შემოსავალს ღებულობს მოსახლეობის 0.1%. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დეცილური კოეფიციენტი ანუ შეფარდება მდიდართა და უღარიბესთა თვიურ დანახარჯებს შორის მერყეობს 10-დან 49-მდე. როგორც ვხედავთ, მაჩვენებლებს შორის სხვაობა დიდია, რაც დიფერენციაციის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელი რთულად პროგნოზირებადია. მაგრამ, დეცილური კოეფიციენტის ზრდა უმდიდრესთა და უღარიბესთა შორის ცხოვრების დონის სხვაობის ზრდაზე მიგვითითებს.
8. საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 2006 წელს 0.53-ს შეადგენდა, 2008 წლის დასაწყისისათვის იგი 0.51-მდე შემცირდა, 2009 წლისათვის კი მისი მნიშვნელობა ისევ 0.53-ით განისაზღვრა, რაც მაღალშემოსავლიან და

დაბალშემოსავლიან მოსახლეობას შორის არსებული დიფერენციაციის მაღალ მაჩვენებელზე მეტყველებს.

9. შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაცია განსაკუთრებით გამოკვეთილია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. შემოსავლების დაბალი დონით ხასიათდება სოფლის მოსახლეობა, არადა შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული. სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს აგროსექტორის განვითარებას, რომლის ჩამოყალიბებაც ხელს შეუწყობს შრომის მწარმოებლურობისა და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ამიტომ, საჭიროა რეგიონების მიხედვით სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარება, რომელთათვისაც ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიცაა მოცემულ რეგიონში. ამასთან, უნდა შეიზღუდოს იმ პროდუქციის იმპორტი, რომელიც იწარმოება საქართველოში და გაიზარდოს საექსპორტო პროდუქცია. (როგორც ჩაის ბაზრის მარკეტინგული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი უპირატესობას საქართველოში წარმოებულ პროდუქციას ანიჭებს. რობიტაშვილი 2009:221). ზოგადად, უნდა მოხდეს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. გატარებული ღონისძიებები საგრძნობლად გაზრდის სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს და შეამცირებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შორის არსებულ დიფერენციაციის დონეს.

10. საქართველოს მოსახლეობის დიფერენციაციის უკეთ დასახასიათებლად მიზანშეწონილი იქნება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის შინამეურნეობათა კვლევის ცალკეული კრიტერიუმების დადგენა, რადგან ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება. სოფლის მოსახლეობის შემოსავლებში საკუთარი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები სჭარბობს. მოსახლეობის დიფერენციაციის სურათის ასახვისათვის ცალ-ცალკე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის დაკვირვების საერთო ფორმებთან ერთად საჭიროა ცალკე დამოუკიდებელი კითხვარისა და კრიტერიუმების შემუშავება. საშუალო დონის მაცხოვრებლად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელსაც აქვს საცხოვრისი, ფლობს ერთ ჰექტარ მიწას, როგორც მარცვლეული კულტურების, ასევე

ბოსტნეულისა და ხეხილის მოსაყვანად, შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით; ჰყავს მსხვილფეხა საქონელი – ორი მაინც, რათა უწყვეტად უზრუნველყოფილი იყოს წლის განმავლობაში რძითა და რძის პროდუქტებით, ან წვრილფეხა 4 – 6 სული საქონელი ასევე ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე; და 30 – 50 ფრთა ფრინველი კვერცხითა და ხორცით უზრუნველყოფის მიზნით. ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში შინამეურნეობა შეიძლება საშუალო ფენას მივაკუთვნოთ, ხოლო ნაკლები ან მეტი საკუთრების ფლობის შემთხვევაში, შესაბამისად დაბალშემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის ფენები გამოვყოთ.

11. დასაქმების პრობლემა და ზოდადად უმუშევრობა, რომელიც დღეს ასე აქტუალურია ჩვენს ყოფიერებაში, მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გვევლინება. ადამიანთა დიდი ნაწილი, რომელთაც შესწევთ უნარი იმუშაონ, აქვთ შესაბამისი ცოდნა და განათლება, დაუსაქმებელია. დღესდღეობით საქართველოში ასეთი 316,9 ათასი ადამიანია. მათი რიცხვი კი დროთა განმავლობაში მატულობს. დასაქმების პრობლემის გადაჭრა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. უმუშევრობის დაძლევის მრავალი გზა არსებობს, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება, ტურიზმის განვითარება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სხვა. ამასთან, ინვესტორებისათვის მთავარი პირობა უნდა იყოს ადგილობრივი კადრების დასაქმება. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა. მცირე ბიზნესზე მოდის სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი წილი და იგი საშუალო ფენის ფორმირების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, მიღწეული იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის კლება. ასევე ეფექტურია ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განხორციელება, რაც საფუძველია ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა. ტურისტული კომპლექსების მშენებლობებსა და ტურისტულ კომპლექსებში ახალი სამუშაო ადგილები ნაწილობრივ გადაჭრის დასაქმების პრობლემას.

12. უმუშევრობა სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს როგორც ეკონომიკური (დასაქმებიდან შემოსავლების არქონა, პროფესიული დისკვალიფიკაცია, ა. შ.), ისე სოციალური (ფსიქიკური, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესება)

და პოლიტიკური (აგრესიული ადამიანების რაოდენობის ზრდა) თვალსაზრისით. უმუშევრობა იწვევს კვალიფიციურ მუშაკთა გადინებას საზღვარგარეთ ისეთ სფეროებში დასაქმების მიზნით, სადაც არ მოითხოვება შესაბამისი ცოდნა. შედეგად უარესდება საზოგადოების საგანმანათლებლო და პროფესიონალური პოტენციალი, სამეცნიერო დარგები კი დეგრადაციას განიცდიან, ცხოვრების დაბალი დონის გამო ეცემა მოსახლეობის შრომითი აქტივობა, უარესდება ჯანმრთელობა, მცირდება შობადობა, რასაც მივყავართ დემოგრაფიულ კრიზისამდე.

13. საჭიროა უმუშევრების სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების გატარება. საქართველოში არაა უმუშევრობის დაზღვევის სისტემა. უმუშევრობის დაზღვევის სიტემის არსებობა სამუშაოდან დათხოვნილ პირს გარკვეული დროით უზრუნველყოფს დახმარებით, რომელიც დაეკისრება თვით დამსაქმებელს, დასაქმებულის შენატანების საფუძველზე.

14. საქართველოს სტატისტიკის მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერაა იდენთიფიცირებული 2011 წლისათვის 516464 ოჯახი. რეგისტრირებული მოსახლეობის ხვედრითი წილი 37.7%-ს შეადგენს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. მათგან კი მხოლოდ 29.9% ღებულობს შემწეობას, რომელიც იმდენად მცირეა, რომ მოთხოვნილებათა მინიმუმის დაკმაყოფილებაც შეუძლებელია. ამიტომ, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯების წილი უნდა გაიზარდოს.

15. პენსიონერების შენახვის უზრუნველყოფის აუცილებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებაზე არსებული დატვირთვის შესაფასებლად, საჭიროა განისაზღვროს პენსიონერების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. პენსიონერთა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 2009 წლისათვის 19.1%-ით განისაზღვრა, 2010 წლისათვის შემცირდა 0.1%-ით. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობაში პენსიონერთა წილი 2009 წელს 28.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2009 წლის მონაცემებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თანაფარდობა პენსიონერთა რაოდენობასთან 41.7%-ს შეადგენს. საზოგადოებაზე პენსიონერთა შენახვის დატვირთა საკმაოდ

მაღალია, რადგან მოსახლეობის შრომისუნარიან და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე პენსიონერთა დიდი ხვედრითი წილი მოდის, რაც მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაღალი მაჩვენებლით აიხსნება. საქართველო დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს 228 ქვეყნიდან 29 ადგილზეა. დაბერებულად ითვლება მოსახლეობა, თუ 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი აღემატება 7%-ს. საქართველოში ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობას საერთო რიცხოვნობაში 19% უჭირავს. მოსახლეობის დაბერებას განაპირობებს შობადობის დაბალი დონე და გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება. მოსახლეობის დაბერების ფაქტორს ქვეყანაში დაბალი ცხოვრების დონე წარმოადგენს.

16. 2004-2010 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა თითქმის ორჯერ გაიზარდა, მაგრამ მისი დიდი ნაწილი მოხმარდა სახელმწიფოებრივი მმართველობის, თავდაცვის, უშიშროების და სხვა ზოგადსახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრას. რაც შეეხება შემოსავლებს, რომელიც ოჯახში უნდა დაიხარჯოს, აქ ზრდის მაჩვენებელი მცირეა. უკეთესი იქნება თუ გაწეული ხარჯების უფრო მეტი წილი ისევ სოციალურად დაუცველ ფენებს მოხმარდეთ.

17. ღარიბებისადმი დახმარების მოქმედი პროგრამების განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება დაუცველობის ბალური შეფასების პირობებში ბავშვთა დახმარებისა და ღარიბებზე დახმარების პროგრამების ინტეგრაციას, რომლის დროსაც შინამეურნეობას ქულების რაოდენობა უნდა მიენიჭოს არა აქტივების ფლობის, არამედ ოჯახში ბავშვთა და შრომისუუნაროთა რაოდენობის გათვალისწინებით. სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის, უკვე რამდენიმე წელია არსებობს. გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით მეტისმეტად შეჭირვებულთა ოჯახები სახელმწიფოსგან ყოველთვიურად ფულად დახმარებას იღებენ და ამასთანავე, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებსა თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ.

აღსანიშნავია, სოციალური აგენტი, ოჯახში მისვლის დროს აღწერს თითოეულ საოჯახო ნივთსა თუ ქონებას და მათ გარკვეულ ქულას ანიჭებს. ოჯახი, რომელიც დააგროვებს 57 001 სარეიტინგო ქულას, ღებულობს სოციალურ დახმარებას სოციალური მომსახურეობის

სააგენტოში განაცხადის შეტანიდან მეოთხე თვეს. მაგრამ ოჯახები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებს არ მიეკუთვნეს აცხადებენ რომ კრიტერიუმები მეტად მკაცრია. რადგან, ბალების მინიჭების დროს, გათვალისწინებულია ოჯახის საკუთრებაში არსებული ისეთი „ფუფუნების" ელემენტები, როგორებიცაა ფარდა, ტელევიზორი, ამორტიზირებული მაცივარი და სხვა, რომელთა გამოც ღარიბები ვერ ხვდებიან დახმარების პროგრამაში. ამიტომ, საჭიროა შესაბამისი კრიტერიუმების კიდევ გადახედვა და მათში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

18. პროგნოზირების სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ მოსახლეობის შემოსავლები დინამიკაში გაიზრდება, თუ მასზე შემთხვევითი, უარყოფითი ფაქტორები არ მოახდენენ გავლენას. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს ინფლაცია წარმოადგენს. ინფლაციის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამიტომ შემოსავლების ზრდა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მნიშვნელოვნად არ აისახება. მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად და დიფერენციაციის შესამცირებლად სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამები და პროექტები დაეხმარება.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაძე...2001 : აბესაძე ნ., მესხიშვილი დ., „მოსახლეობის დიფერენციაციისა და მოხმარების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი", ეკონომიკის აქტუალური საკითხები (სამეცნიერო შრომათა კრებული), XIV გამოშვება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. გაბიძაშვილი...2007 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში", გამომც. „ზეონი", თბილისი
3. გაბიძაშვილი...1998 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „სტატისტიკის მოკლე კურსი", სახელმძღვანელო, თსუ გამომცემლობა, თბილისი
4. გაბიძაშვილი...2005 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „სტატისტიკის თეორია", სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი", თბილისი.
5. გაბიძაშვილი 2005 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „მათემატიკური სტატისტიკა ეკონომიკაში", სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი.
6. გაბიძაშვილი 2008 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში", ბიზნესსა და მენეჯმენტში, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი.
7. გაბიძაშვილი 2004 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „ფისკალური სტატისტიკა", თბილისი.
8. გაბიძაშვილი 2009 : გაბიძაშვილი ბიკენტი, „ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პრობლემები საქართველოში", გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ქუთაისი.
9. გაბიძაშვილი...2003 : გაბიძაშვილი ბ., კირვალიძე ზ., „სიღარიბე საქართველოში", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

10. გელაშვილი 1993: გელაშვილი ს., „სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება'', ლექციების მოკლე კურსი, ნაწ. I, თბილისი.
11. გოგოლაური 2001: გოგოლაური ნ., „შრომის ბაზარი და მისი გავლენა მოსახლეობის დასაქმებაზე'', სამეცნიერო შრომათა კრებული III (XXVI), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
12. გრიშიკაშვილი2010: გრიშიკაშვილი ა., „საქართველო გლობალურ სამყაროში'', გამომცემლობა „ცის ნამი'' თბილისი.
13. ვარდიშვილი...2003: ვარდიშვილი ს., კუსრაშვილი ე., „მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის დონე და გამომწვევი მიზეზები'', მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №10(71).
14. ვეკუა 2010: ვეკუა დ., „დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელების გზები და პერსპექტივები საქართველოში'', ინოვაციები ბიზნესში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი'', თბილისი.
15. ვირსალაძე 2002: ვირსალაძე ნ. „მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში'', ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი.
16. თორია 2007: თორია მ., „შრომის საერთაშორისო ბაზარი და მისი გავლენა სამუშაო ძალის მიგრაციაზე'', სოციალური ეკონომიკა, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, მაისი-ივნისი, თბილისი.
17. ვირკვაია 2003: ვირკვაია მ., „სოციალური დაცვა: ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო?'', მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №9(70), თბილისი.
18. კუხიანიძე-ახვლედიანი 2009: კუხიანიძე-ახვლედიანი ნ., „უმუშევრობა და დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში'', ეკონომიკა, ყოველთვიური საერთაშორისო

რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №5-6, თბილისი.

19. მენაბდე 2001: მენაბდე გ., „სასურსათო ბაზარი და მოსახლეობის ცხოვრების დონე", სამეცნიერო შრომათა კრებული III (XXVI), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

20. მესხია...2004: მესხია ი., გაბელაშვილი კ., „მოსახლეობის ცხოვრების დონე" (ანალიზი და პროგნოზები), თბილისი.

21. რობიტაშვილი 2009: რობიტაშვილი ნ., „მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის გაანგარიშების სტატისტიკური მეთოდის შესახებ", ეკონომიკა, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №5-6, თბილისი.

22. რობიტაშვილი 2010: რობიტაშვილი ნ., „მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სტატისტიკა", ეკონომიკა, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №3-6, თბილისი.

23. რობიტაშვილი 2009: რობიტაშვილი ნ., „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური ანალიზი", გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ქუთაისი.

